სამეცნიერო ჟურნალი: ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება

SCIENTIFIC MAGAZINE: NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING AND RESEARCH CENTRE

შრომების კრებული N3
2019

სამეცნიერო ჟურნალი: ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება

SCIENTIFIC MAGAZINE: NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING AND RESEARCH CENTRE

НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ: НАЦИОНАЛЬНАЯ И КОРПОРАТИВНАЯ БЕЗОПАСТНОСТЬ

შრომების კრებული N3, 2019

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი

SCIENTIFIC MAGAZINE OF THE NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING AND RESEARCH CENTRE

НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ЦЕНТРА НАЦИОНАЛЬНОЙ И КОРПОРАТИВНОЙ БЕЗОПАСТНОСТИ

ISSN 2449-3074

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო ცენტრის მიერ

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება შრომების კრებული N3, 2019

UDC (უაკ) 351.86+351.746 ე-811 ISSN 2449-3071

მთავარი რედაქტორი:

დავით კუხალაშვილი-ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

თენგიზ ენდელაძე-ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

ოთარ ქოჩორაძე-ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

პასუხისმგებელი მდივანი:

სალომე გუმბერიძე - საჯარო მმართველობის დოქტორი

თამარა ტარტარაშვილი-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

სარედაქციო კოლეგია:

მარატ ციცქიშვილი-ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკ. დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

ვახტანგ მაისაია-პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჯაბაური-ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

დავით ლელაძე-საჯარო მმართველობის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოცირებულიპროფესორი

მზევინარ გურული-კუხალაშვილი - აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

თამარ ბრეგაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ემზარ საბანაძე- საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს

e-mail: infonsc2016@gmail.com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე:

http://nsc.ge/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%a4%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%90/

აიპ „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრი“ 2016 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. ცენტრის ძირითად მიზანს ეროვ-ნული უსაფრთხოების კუთხით ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, ხოლო სასწავლო პროცესის ამოცანას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში თითოეული მოქალაქის როლის გათვითცნობიერება წარმოადგენს.

ცენტრის ლექტორებს (ტრენერებს) ეროვნული უშიშროების კუთხით გააჩნიათ მრავალწლიანი როგორც პრაქტიკული ისე სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება.

განვლილ პერიოდში ცენტრის მიერ ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ჩატარებული იქნა, როგორც ტრენინგები, ისე საჯარო ლექციები და სამეცნიერო კონფერენციები, გამოიცა შრომათა კრებულები. ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო-ანალიტიკურ გადაცემებში, რომელშიაც უცხო ქვეყნების მხრიდან საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დამაზიანებელ სადაზვერვო ინტერესებზე და ქმედებებზე იყო საუბარი.

გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლესს სასწავლებლებთან. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელების სტუდენტების, მაგისტრანტების და დოქტორანტების მონაწილეობით წარმატებით განხორციელდა სტაჟირების პროგრამები.

ცენტრის მიერ მომზადებულია პროგრამები, რომლებიც როგორც სახელმწიფო მოხელეების, ისე კორპორაციულ სექტორში დასაქმებული პირების, ზოგადად საზოგადოების ყველა ფენის ცნობიერების დონის ამაღლებას ემსახურება, სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული ისეთი ქმედებების მიმართ, როგორიცაა: სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა, კორპორაციული ჯაშუშობა, პირადი უსაფრთხოება და სხვა.

თანამედროვე საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების დაძლევის კუთხით დასახული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის უპრიანი არის ისეთი სამეცნიერო დარგების ჩამოყალიბება, როგორიცაა დაზვერვა, კონტრდაზვერვა, კორპორაციული უსაფრთხოება, რომელთა მიზანი იქნება მოამზადოს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტები და მკვლევარები. დასახული სტრატეგიის განხორციელებაზე ხელშეწყობა შესაძლებელია „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის“-(NSC) ბაზაზე, რომლის თანამშრომელთა მრავალწლიანი პრაქტიკული, თეორიული და მეცნიერული გამოცდილება იძლევა ამის გარანტიას.

ჩვენ გვიყვარს საქართველო და ვთვლით გვაქვს ვალდებულება ვიზრუნოთ მის უსაფრთხოებაზე.

გისურვებთ წარმატებებს.

ცენტრის სახელით მადლობა მოვახსენო სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიების ძირითად დონორს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს და მის რექტორს.

დავით კუხალაშვილი
ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების
სასწავლო-კვლევითი ცენტრის დირექტორი

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი
თენგიზ ენდელაძე-ისტორიის დოქტორი

ტრანსპორტის ობიექტების უშიშროების კონტრსადავერვო უზრუნველყოფის საკითხისათვის

ტრანსპორტი, როგორც მატერიალური წარმოების დარგი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის მეურნეობის, თავდაცვისუნარიანობის, ბიზნესის განვითარება-განმტკიცების საქმეში. ამიტომაა, რომ ტრანსპორტი მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს უცხო ქვეყნების დაზვერვებისათვის, საერთაშორისო თუ შიდა ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, როგორც მასზე ინფორმაციის მოპოვების, ასევე საბოტაჟური (დივერსიული), ტერორისტული აქტების განხორციელების თვალსაზრისით. სწორედ ამითაა განპირობებული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა
საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, კონტრდაზვერვა

ტრანსპორტი, როგორც მატერიალური წარმოების დარგი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის მეურნეობის, თავდაცვისუნარიანობის, ბიზნესის განვითარება-განმტკიცების საქმეში.

ტრანსპორტის ობიექტებზე თავს იყრის მნიშვნელოვანი, მათ შორის საიდუმლო ინფორმაციები, როგორც ტრანსპორტის, ასევე მეურნეობის სხვა დარგების, შეიარაღებული ძალების, სხვა ძალოვანი სტრუქტურების, კორპორაციული სექტორის (მათ შორის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურების) შესახებ. ამიტომ არის, რომ უცხო ქვეყნების სახელმწიფო თუ კერძო დაზვერვებისათვის, საერთაშორისო თუ შიდა ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, ტრანსპორტი მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ისინი ცდილობენ მოიპოვონ ინფორმაციები მთლიანად სატრანსპორტო სისტემის, მისი ტექნიკური აღჭურვილობის, მნიშვნელოვანი და დივერსიული თვალსაზრისით მოწყვლადი ობიექტების, გზების გამტარუნარიანობის, ახალმშენებლობების, ომის შემთხვევაში სამობილიზაციო შესაძლებლობების, გადაზიდვების მოცულობის, ხასიათისა და მიმართულებების შესახებ, როგორც მშვიდობიანობის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების გართულების, კრიზისული სიტუაციების, სამხედრო სწავლებებისა და მანევრების დროს. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარე, ტრანსპორტის ობიექტებზე დაკვირვების გზით ღებულობს სადაზვერვო ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკური, თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობისა და შეიარაღებული ძალების, ბიზნესკომპანიების შესახებ, როდესაც ეს უკანასკნელები სატრანსპორტო საშუალებებს იყენებენ ტვირთების გადასაზიდად.

გეგმავენ რა საბოტაჟურ (დივერსიულ) და ტერორისტულ აქტებს ტრანსპორტის ობიექტებზე, მოწინააღმდეგე ცდილობს ისინი განახორციელოს, როგორც სახელმწიფო ისე კერძო საჰაერო და საზღვაო ხომალდების, ავტოტრანსპორტის მიმართ, როგორც მათი საზღვარგარეთ, ასევე მიწერის ქვეყანაში ყოფნის დროს. ისინი ასევე აწარმოებენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ქვეყანაში არსებული სატრანსპორტო და სხვა ფირმების იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც დაკავებული არიან საერთაშორისო გადაზიდვებით, უცხოელების გადაზიდვებით, უცხო სახელმწიფოების ავიატორებისა და მეზღვაურების მომსახურებით ქვეყნის ტერიტორიაზე. მოწინააღმდეგისათვის არც კიბერშეტევების განხორციელებაა უცხო.

სახელმწიფო ან/და კორპორაციული უშიშროების ან/და უსაფრთხოების სამსახურების კონტრმზვერავების ან/და სპეციალისტების მიერ სატრანსპორტო ობიექტების დაცვის მიზნით განხორციელებული კონტრსადაზვერვო მუშაობის დროს გასათვალისწინებელია ტრანსპორტზე განსაკუთრებით საშიში და სხვა სახელმწიფო დანაშაულებების შესაძლო ჩადენა ცალკეული არაკეთილგანწყობილი პირების მიერ.

ვითარებიდან, კერძოდ კი მოწინააღმდეგის მისწრაფებებიდან გამომდინარე, ტრანსპორტის ობიექტები, რომლებიც დაცვას ექვემდებარებიან, პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც მოწინააღმდეგისათვის სადაზვერვო ინტერესს წარმოადგენენ, იქ არსებული საიდუმლო/კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციების შეგროვების თვალსაზრისით. ესენია:

- სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო ფლოტის, რკინიგზის სამსახურების დანაყოფები, რომლებიც ფლობენ საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებს, ახორციელებენ სპეციალურ გადაზიდვებს;
- სატრანსპორტო და სხვა დანაყოფები, რომლებიც დაკავებულნი არიან ლიტერული, სპეციალური და სამხედრო გადაზიდვების განხორციელებით;
- სატვირთო და ტექნიკური სამსახურები აეროპორტებში, პორტებში, რკინიგზის სადგურებში, ასევე სპეცტვირთების დატვირთვის, გადმოტვირთვის, გადამისამართების პუნქტები;

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც მოწინააღმდეგისათვის ინტერესს წარმოადგენენ მათზე საბოტაჟური (დივერსიული) აქტების მოწყობის თვალსაზრისით:

- აეროპორტები, საზღვაო პორტები, სატრანსპორტო დანაყოფები, სადაც სატრანსპორტო საშუალებებს ამზადებენ სპეციალური და ლიტერული სამგზავრო გადაზიდვებისათვის;
- მატარებლები, გემები, თვითმფრინავები, რომლებიც ახორციელებენ სპეციალურ ლიტერულ სამგზავრო გადაზიდვებს, საზღვარგარეთ მიმავალი ცალკეული სატრანზიტო საშუალებები;
- ხიდები, გვირაბები, საწვავ-საპოხი მასალების საწყობები, ენერგო ქვესადგურები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, საავიაციო-ტექნიკური ბაზები, სარკინიგზო კვანძები და ა.შ., რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტრანსპორტის უწყვეტ რეჟიმში მუშაობის საქმეში;

მესამე ჯგუფს განეკუთვნებიან ის სატრანსპორტო ობიექტები, რომლებზედაც (ან მათ გარემოცვაში) ჩამოყალიბებულია ისეთი პირობები, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარეს აძლევს საშუალებას ჩაატაროს ცალკეული ძირგამომთხრელი სადაზვერვო, იდეოლოგიური და სხვა ხასიათის აქციები (ვიზუალური დ ტექნიკური დაზვერვის წარმოება, აგენტურასთან შეხვედრის ოპერტაციის ჩატარება და ა.შ.). ასეთ ობიექტებს განეკუთვნებიან ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც ქვეყნის ტერიტორიაზე გადაჰყავთ უცხოელები, რკინიგზის სადგურები, პორტები, აეროპორტები, მგზავრთა გაჩერებისა და მომსახურების სხვა ადგილები, ასევე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც საზღვარგარეთის რეისებს ასრულებენ.

ტრანსპორტის ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტის სრულად იზოლირება გარემომცველი მოსახლეობიდან, ვიზუალური და ტექნიკური თვალთვალიდან, მათი განლაგებიდან და ექსპლუატაციის პირობებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ამიტომ, სახელმწიფო ან/და კორპორაციული უშიშროების ან/და უსაფრთხოების სამსახურების კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ტრანსპორტის ობიექტების გარემოცვაში მოწინააღმდეგის აგენტებისა და სხვა ბოროტმზრახველთა გამოვლენასა და მათი ძირგამომთხრელიელი საქმიანობის აღკვეთას.

საწარმოს საქმიანობის ხასიათიდან, ასევე ტრანსპორტის ობიექტების და მათ გარემოცვაში არსებული ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები წყვეტენ ისეთ ამოცანებს როგორებიცაა:

-მოწინააღმდეგის იმ აგენტების საქმიანობის გამოვლენა და აღკვეთა, რომლებიც აგროვებენ ჯაშუშურ ინფორმაციებს ტრანსპორტის ობიექტებზე მათი განთავსების რაიონებში, სპეციალური, სამხედრო, მსხვილ ბიზნეს გადაზიდვების მარშრუტებზე;

-ტრანსპორტის მუშაკებს შორის დამნაშავე პირების გამოვლენა და მათ მიერ წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთა და თავიდან აცილება;

-სახელმწიფო, სამხედრო და კომერციული საიდუმლოების უზრუნველყოფა, მათ შორის ტექნიკური დაზვერვის საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებებში მონაწილეობა;

-ქვეყანაში სამოგზაუროდ, ასევე ტრანსპორტის დელეგაციების, უცხოური გემებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟების შემადგემლობაში ჩამსულ უცხოელთა შორის მოწინააღმდეგის აგენტების გამოვლენა და მათ მიერ წარმოებული დამაზიანებელი საქმიანობის აღკვეთა და თავიდან აცილება;

-ტრანსპორტის ობიექტებზე საბოტაჟური აქტების თავიდან აცილება. იმ პირთა გამოვლენა და საქმიანობის თავიდან აცილება, რომლებიც ხელს უწყობენ საგანგებო შემთხვევების დადგომას;

-სატრანსპორტო საშუალებების გატაცებისა და საჰაერო მეკობრეობის თავიდან აცილება;

-სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით მოსარგებლე დამნაშავეთა ძებნა;

-სალიტერო სამგზავრო მატარებლების, თვითმფრინავების, გემების უსაფრთხო გადაადგილების, ასევე სამხედრო გადაზიდვების, სპეციალური ტვირთების საიდუმლოდ ტრანსპორტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

-საზღვარგარეთ მიმავალ ტრანსპორტის მუშაკთა მხრიდან განსაკუთრებით საშიში და სხვა სახელმწიფო დანაშაულებების თავიდან აცილება;

-ანტიკონტრაბანდულ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება;

-ტრანსპორტის ობიექტების ხელმძღვანელებისათვის დახმარების გაწევა მუშა-მოსამსახურეთა შორის ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით;

-ტრანსპორტის ობიექტების დაცვის მიზნით უშიშროების ზომების შემუშავება და მომზადება.

ზემოაღნიშნული უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები ამა თუ იმ ხარისხით დამახასიათებელია ყველა სახის ტრანსპორტის ობიექტებისათვის, მაგრამ, თითოეული სახეობის ტრანსპორტზე ყალიბდება სხვადასხვაგვარი ოპერატიული ვითარება და ცხადია ცალკეული აღნიშნული ამოცანები, კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაა. ამიტომ ხდება ცვლილებების შეტანა განსახორციელებელი ღონისძიებების თანმიმდევრობაში, მოცულობაში, რის კვალობაზეც წარმოიშვება სხვა კერძო ამოცანები.

ტრანსპორტის ობიექტებზე უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ოპერატიულ ძალებსა და საშუალებებს ძირითადად იყენებენ ისე, როგორც სხვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებზე. ამასთან, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს გარკვეულ თავისებურებებს. ასე მაგალითად, კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები უშუალოდ მონაწილეობენ სპეციალიური გადაზიდვების, ლიტერული სამგზავრო მატარებლების, თვითმფრინავებისა და გემების საიდუმლო და უსაფრთხო გადაადგილებაში: ორგანიზაციას უკეთებენ საბოტაჟური თვალსაზრისით მოწყვლადი და საშიში უბნების ფიზიკურ დაცვას სატრნსპორტო საშუალებების გადაადგილების მარშრუტზე, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში მიჰყვებიან რეისში.

გარე მეთვალყურეობის სამსახურის მუშაკები, მოქმედებენ რა ვაგონების, გემების,

თვითმფრინავების ზომით შეზღუდულ სათავსოებში, ვაგზლებსა და პორტებში, ხალხის ნაკადში, იყენებენ ამ პირობებისათვის შესაფერის კონსპირაციის ხერხებს, დაუყონებლივ ადგენენ იმ მგზავრებს, რომლებსაც საეჭვო კონტაქტები ჰქონდათ, ხოლო ტექნიკური სამსახურის თანამშრომლები თავიანთ საშუალებებს უხამებენ კონკრეტულ პირობებს.

ტრანსპორტზე უშიშროების უზრუნველყოფის ძირითად საშულებას წარმოადგენენ, როგორც აგენტები ისე ნდობით აღჭურვილი პირები (სანდო პირები). მათი შეძენა, როგორც წესი, ხდება იმ ტრანსპორტელთა რიგებიდან, რომლებიც მუშაობენ მოწყვლად ობიექტებსა და უბნებზე, რომლებსაც სამსახურებრივად შეხება აქვთ სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებასთან, უცხოელებთან, ასევე ვაგზლებისა და პორტების მორიგეებთან, რესტორნების, სხვა კვების ობიექტების თანამშრომლებთან, ვაგონების გამცილებლებთან, თვითმფრინავებისა და გემების ეკიპაჟების წევრებთან.

საიდუმლო და სანდო პირების დახმარებით კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები შეისწავლიან ოპერატიულ ვითარებას ტრანსპორტის ობიექტებზე, გამოავლენენ მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებულ და ასევე ბოროტმზრახველ პირებს ტრანსპორტის მუშაკთა და მგზავრთა შორის, მათი მხრიდან შესაძლო ძირგამომთხრელი საქმინობის ფაქტებს, ეძებენ სახელმწიფო ძებნილებს, ახორციელებენ სახელმწიფო, სამხედრო და კომერციული საიდუმლოების დაცვის, საგანგებო შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებებს, ასევე გამოავლენენ სპეციალური გადაზიდვების წესების დარღვევის ფაქტებს (რამდენად მალულად, დაშიფრულად და შენიღბულად ხდებოდა იგი), იკვლევენ იმ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მათ გადაადგილებას და ა.შ.

კონტრსადაზვერვო მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონტრმზვერავის ან/და სპეციალისტის კოორდინაციას ობიექტის ადმინისტრაციასთან, პოლიციის, საზღვრის დაცვის და სხვა სამსახურების ადგილობრივ დანაყოფებთან.

რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე ჯერ კიდევ ხდება მნიშვნელოვანი რაოდენობის საგანგებო შემთხვევები, ავარიები, კატასტროფები, რომლებიც თავისი ხასიათითა და ტრაგიკული შედეგებით განსხვავდება სხვა ობიექტებზე მომხდარი შემთხვევებისაგან. ის, რომ მატარებლებისა და გემების უსაფრთხო მოძრაობა, თვითმფრინავების ფრენა დიდ წილად დამოკიდებულია ექსპლოატაციის რეჟიმის ნორმებისა და წესების უპირობო შესრულებაზე, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების მაღალ ხარისხზე, შესაძლოა გამოყენებული იქნას მოწინააღმდეგის მიერ საბოტაჟური (დივერსიული) აქტების შესასრულებლად, ამასთან სპეციალური საშუალებების გამოყენების გარეშე. საგანგებო შემთხვევებთან ასეთი პირების კავშირის გამოვლენის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ თავიანთი წინასწარ განზრახვითი ძირგამომთხრელი ქმედებები წარმოაჩინონ უმნიშვნელო საწარმოო დარღვევებად ან გულგრილობის შედეგად გამოწვეულ სამსახურებრივ დანაშაულად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტზე საგანგებო შემთხვევების გამოძიების დროს, პირდაპირი მონაცემების მიღება, რომლებიც მიუთითებენ საბოტაჟურ (დივერსიულ) ქმედებაზე, იშვიათად ხდება. რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება კატასტროფებისა და ავარიების ნამდვილი მიზეზების დადგენა.

საგანგებო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები თავიანთ ძალისხმევას პირველ რიგში მიმართავენ იმ პირთა გამოვლენისაკენ, რომლებსაც განზრახული აქვთ საბოტაჟის (დივერსიის) განხორციელება, ან რომლებიც ცდილობენ კატასტროფების, ავარიების

გამოწვევას, ან/და ქმნიან საამისო წინაპირობებს. ამ შემთხვევაში, ისინი ხელმძღვანელობენ სხვადასხვა დანაშაულებრივი მოტივებით (ხულიგნური განზრახვები, შურისძიება ადმინისტრაციაზე, მგზავრების გაძარცვა, ტვირთების დატაცება და ა.შ.).

ტრანსპორტზე დივერსიის (საბოტაჟის) წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების დროს, კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები, სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებენ სატრანსპორტო საშუალებების უშიშროების უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებების მწყობრიდან გამოყვანასთან ან დაზიანებასთან დაკავშირებული ფაქტების დროულ გამოვლენას, ანალიზს და შემოწმებას, ასევე ავარიებისა და კატასტროფების წინაპირობების გამოვლენას (სატრანსპორტო საშუალებების უხარისხო შეკეთება, რკინიგზის მაგისტრალების ცუდად შენახვა).

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტრანსპორტზე საგანგებო შემთხვევათა დიდი უმრავლესობა ხდება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უზრუნველმყოფი სამსახურების თანამშრომელთა მხრიდან ექსპლოატაციის ტექნიკური და სამსახურებრივი დისციპლინის ნორმების უხეში დარღვევების შედეგად, ასევე ტექნიკური მომსახურებისა და რკინიგზის მაგისტრალის, მოძრავი შემადგენლობის, საზღვაო პორტისა და აეროპორტის აღჭურვილობის, გემებისა და თვითმფრინავებისადმი ან/და შვეულმფრენებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო.

საგანგებო შემთხვევებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოების სპეციალისტების მიერ ტრანსპორტის ობიექტებზე გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური ხასიათის სამუშაოების ჩატარება. უსაფრთხოების სპეციალისტებს შეუძლიათ გამოავლინონ და დროულად აღმოფხვრან საგანგებო შემთხვევების წინაპირობები. ამ უკანასკნელის გამოვლენის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ საიდუმლო და სანდო პირებს იმ სპეციალისტთა რიგებიდან, რომელთაც ძალუძთ შეაფასონ არასასურველი პირები, გამოააშკარავონ ცალკეულ სამსახურებში არსებული ნაკლოვანებები და დაუდევრობები. კონტრმზვერავები ან/და სპეციალისტები ვალდებულნი არიან მსგავსი ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციების მიღების შემთხვევაში დაუყონებლივ შეატყობინონ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ამავე დროს მიიღონ ზომები მათი აღმოფხვრისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ენდელაძე. საგარეო დაზვერვის სამსახურები. თბილისი 2007 წელი.
2. თენგიზ ენდელაძე. კონტრდაზვერვა-სახელმწიფო, კორპორაციული და ინფორმაციული უშიშროების ინსტრუმენტი. თბილისი 2019 წელი.

THE NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING AND RESEARCH CENTRE

Tengiz Endeladze-Doctor of History

For the Safety of Transportation facilities

Summary

Transport, as a field of material production, plays an important role in the development and reinforcement of any country`s agriculture, economy or defence capabilities. That is the reason why transportation is of great interest for foreign intelligence services as well for international or domestic terrorist organisations in terms of obtaining information and carrying out acts of sabotage and terrorism. According to above-mentioned facts, it is necessary

to ensure the safety of transport infrastructure.

Keywords: Intelligence, Counter Intelligence

Научно-исследовательский центр национальной и корпоративной безопасности

Тенгиз Енделадзе-доктор истории

Для вопроса контрразведивательного обеспе ения безопасности обьектов транспорта

Резюме

Транспорт, как отрасль материального производства, весомую ролЬ играет в развитии и в укреплении хозяиства, обороноспособности, бисзнеса любого государства. Поетому, транспорт предстовлЯет особый интерес иностранных разведок и террористицеских организацйй как в плане добывании информации, так и осушествлении саботажных (диврсионных), террористиеских актов. Именно етим и определятса необжодимость обеспе ения безопасности инфраструктуры транспорта.

Ключевые слова: Разведка, Контрразведка

ნინა ხატიაშვილი

საჯარო სამსახური როგორც მოქალაქეთა ღირებულებათა სისტემის ფორმირების საშუალება და მისი როლი სახელმწიფოს უსაფრთხოებაში

სტატიაში განხილულია საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგი, მისი დინამიკა, საზოგადოებისა და საჯარო მოხელეთა მიერ სახელმწიფო ინსტიტუციების ფუნქციონირების ხარისხის აღქმადობის მნიშვნელობა საზოგადოების ღირებულებათა და სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემებში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ინსტიტუციები, ღირებულებები, ფორმირება სახელმწიფო უსაფრთხოება

სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის აუცილებელ მრავალ ფაქტორთაგან უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს ფუნქციონირების პროცესებში მოქალაქეების ჩართულობის ხარისხი, რაც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მხარეებს. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია საზოგადოების წევრების მოტივაციით, გადაწყვეტილებითა და ქმედებით, დაუკავშიროს საკუთარი თავი სახელმწიფოს, გულწრფელად ჩადგეს მის მსახურებაში.

სახელწმიფო ინსტიტუციებში დასაქმებული პირების რაოდენობა, ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენს (საქართველოს მოსახლეობა 2017 წლის მონაცემებით შეადგენდა 3 729.6 ადამიანს. მათი 65.8 % შრომისუნარიანი მოქალაქიდან დასაქმებულია დაახლოებით ნახევარი-1 706 600 ადამიანი, რომელთა 16,6 %, ინსტიტუციური სექტორების მიხედვით შესრულებული სტატისტიკის თანახმად, მუშაობს სახელმწიფო სამსახურში). მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ინსტიტუციები ასრულებენ ძალზე მნიშვნელოვან როლს როგორც ფორმალური ფუნქციონირებით, ასევე სახელმწიფოს შესახებ მოქალაქეების აზრის ჩამოყალიბების საქმეში. არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მოსაზრება და დამოკიდებულება სამსახურის მიმართ. იგი ისახება როგორც მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, ასევე სამომავლოდ მოქალაქეების საჯარო სამსახურისა და სახელმწიფოსადმი მიმართების წინაპირობასაც წარმოადგენს.

განვიხილავთ უკანასკნელი ორი ათწლეულის პერიოდში საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუციების ფუნქციონირების შესახებ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს, რაც გვაძლევს საშუალებას, დროით განზომილებაში წარმოვადგინოთ კვლევის ობიექტი და გავეცნოთ ცვლილებათა დინამიკას.

1999 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმასრულებელ ხელისუფლებაში მართვის ყველაზე მთავარ ნაკლოვანებად დასახელდა (პროცენტობით პასუხთა ჯამთან): პიროვნული ფაქტორები, მართვის ნაკლოვანებები და უკანონობა. მათგან პირველი, რომელშიც თავის მხრივ გაერთიანებული იყო: პროფესიონალიზმი, წარსულის მენტალიტეტი, მოტივაციის დაბალი დონე, პატიოსნება, ახალი თაობის მოსვლა, სახელმწიფოებრივი აზროვნება, დაასახელა გამოკითხულთა 22%-მა. პასუხი „მართვის ნაკლოვანებები“ მოიცავდა: უსისტემობას, სტრატეგიის და მიზნის არარსებობას, უპასუხისმგებლობას, უკონტროლობას, უდისციპლინობას, ხელმძღვანელთა უუნარობას, არქაულ მეთოდებს მართვასა და მუშაობაში, შრომის დაბალი კულტურას, კადრების შერჩევის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს. ეს შედეგი დააფიქსირა გამოკითხულთა 46%-მა. უკანონობა, რომელიც აერთიანებდა კანონის უპატივცემულობას, კორუფციას, ნათესაურ-მეგობრულ კავშირებს, კლანურობას, პროტექციონიზმს, მართვის მთავარ პრობლემად მიიჩნია გამოკითხულთა 32 %-მა.

2014 წელს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციების მთავარ პრობლემებად რესპოდენტებმა დაასახელეს: კომპეტენციის ნაკლებობა, ინიციატივის ნაკლებობა და ნეპოტიზმი. ქვედა და საშუალო რგოლის თანამშრომლები თვლიან, რომ საჯარო მოხელეები თითქმის ყველა სამინისტროში გრძნობენ ზეწოლას მაღალი რგოლის მენეჯმენტის მხრიდან, არ არსებობს მწყობრი სისტემა. გამოკითხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ საჯარო სამსახურში დაქირავების დროს ხშირად ირღვევა სამართლიანობის პრინციპი, რის

მიზეზსაც ნეპოტიზმი წარმოადგენს, რომ არ არსებობს კონკურსის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების გარანტია. ნეპოტიზმის გამო არასამართლიანად წარმოებს თანამშრომელთა დაწინაურებაც.

2015-2015 წელს, 2013 წელთან შედარებით ორჯერ მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ ღალჩინოსნების მიერ თანამდებობის პირადი მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევები გავრცელებულია, ან-ძალიან გავრცელებული (2015 წელს-25% (ძალიან გავრცელებული-4%, გავრცელებული-21%), 2013 წლის ანალოგიური მონაცემი უტოლდებოდა 12%-ს (ძალიან გავრცელებული-3%, გავრცელებული - 9%). შესაბამისად, შემცირებულია რაოდენობა იმ პირებისა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მაღალჩინოსნების მხრიდან თანამდებობის პირადი მიზნებისთვის გამოყენება „უფრო არ არის გავრცელებული, ვიდრე გავრცელებულია“ (2015 წ. – 11%, 2013 წ. – 17%) ან საერთოდ არ არის გავრცელებული (2015 წ. - 6%, 2013 წ. – 6%)).

2017-საჯარო სამსახურში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ პროფესიონალიზმის ნაკლებობა, მოსამსახურეთა მხრიდან კოლეგების პროფესიონალიზმის დაბალი აღქმა დასახელდა. საჯარო სამსახურში არსებულ, ძირითად პრობლემებზე საუბრისას რესპონდენტების მიერ არაპროფესიონალიზმთან ერთად კვლავ დასახელებულია ნეპოტიზმი, რომელიც აღქმულია, როგორც პროფესიონალი კადრების ნაკლებობის ძირითადი მიზეზი.

კადრების შერჩევისა და დათხოვნის პროცესის აღქმადობა გამოკითხულ რესპოდენტთა მიერ დაახლოებით ერთნაირად არის აღქმული. სამსახურიდან განთავისუფლების საკითხზე „გამოკითხულთა 61% თვლის, რომ საჯარო უწყებებში თანამშრომელთა დათხოვნის პროცესი კანონის მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება. 13% კი აღნიშნული მოსაზრების წინააღმდეგია.“ სამსახურებრივი დაწინაურების ობიექტურობაში ეჭვი შეაქვს გამოკითხულთა 52%-ს. თანამშრომლებს შორის საქმის სამართლიანად გადანაწილებულაში არ არის დარწმუნებული გამოკითხულ მოხელეთა 48%. ამასთანავე, აღინიშნება რეგიონებში ჩატარებული კვლევებისას მიღებული მეტად კრიტიკული შეფასებები.

წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ საჯარო სექტორში პრობლემათა სპექტრი შეცვლილი არ არის. რაოდენობრივი მონაცემების შედარების სირთულე დაკავშირებულია კვლევისას განსხვავებული მეთოდოლოგიის არსებობასთან. თუმცა ცალკეულ გამოვლენილ პრობლემათა ხვედრითი წილი, რომელთა მიზეზადაც გამოკითხულმა პირებმა დეპოტიზმი და არაპროფესიონალიზმი დაასახელეს, 1999 და 2017 წელს ჩატარებული გამოკითხვების თანახმად თითქმის იგივეა-22% და 21%. უნდა აღინიშნოს, რომ დაფიქსირებული იყო საჯარო სამასახურისადმი ნდობის მატების პერიოდი, რაც სავარაუდოდ, ახალი ხელისუფლებისადმი ნდობის ლიმიტებს უკავშირდებოდა.

ამასთანავე, საგულისხმოა საკუთარი სამსახურის შესახებ თავად საჯარო მოხელეთა დაბალი აღქმადობა. კითხვაზე „ენდობა თუ არა ხალხი საჯარო სამსახურს“, გამოკითხულ მოხელეთა 54% პასუხობს, რომ არ არის დარწმუნებული ასეთი ნდობის არსებობაში.

ნეპოტიზმისადმი საზოგადოების განწყობის შესწავლის მიზნით სამიოდე წლის წინ **ჩატარდა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ გამოკითხულ პირთა მხოლოდ 5% ამართლებდა თანამდებობის პირების მხრიდან ღია კონკურსის გარეშე თავიანთი ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმებას.** ამავე დროს, **გამოკითხულთა 68%-ისთვის თანამდებობის პირების მიერ ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმება ნაწილობრივ (20%) ან საერთოდ (48%) გაუმართლებელი იყო.** ნაწილობრივ გამართლებულად, ნაწილობრივ კი გაუმართლებლად თანამდებობის პირების მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებას საჯარო სექტორის შემთხვევაში მოქალაქეთა 17%, კერძო სექტორის შემთხვევაში კი 25% მიიჩნევდა.

ფსიქოლოგთა მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, „საქართველო წარმოადგენს კლასიკურ „მცირეჯგუფოვან, კოლექტივისტურ კულტურას“, სადაც ძირითად სოციალურ ერთეულს შეადგენს ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობთა წრე და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სწორედ ამ ჯუფებში არსებული ნორმები და თითქმის არ ვრცელდებოდა უფრო დიდ სოციალურ ერთობაზე. სახელმწიფოებრივი აზროვნება, სახელმწიფოს წევრად საკუთარი თავის აღქმადობა გაიგივებულია

იდენტობის უფრო მაღალ დონესთან. იდენტობის ჩამოყალიბებაში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეძენილი გამოცდილება, რომელიც საკვლევი თემის ფარგლებში კონცენტრირდება სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი საზოგადოების წევრების ნდობის ხარისხის ირგვლივ. გარდა ინსტიტუციების ფუნქციონირების დაბალი შეფასებისა, არასახარბიელოა საქართველოში დემოკრატიის აღქმედობაც. გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (35.8%) მიაჩნია, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის. 33.1 % მიიჩნევს, რომ დემოკრატია არის, ხოლო 33 % თავს იკავებს პასუხისაგან. რესპოდენტთა უმრავლესობა (69.4%) ნიჰილისტურად არის განწყობილი საკუთარი შესაძლებლობებისადმი მთავრობის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით-თვლის რომ „მისნაირ ადამიანს“ არ შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. ამასთანავე, ასაკობრივ ჭრილში განხილვისას, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება უიმედობის გამომხატველი პასუხები. გამოკითხულ პირთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება თითქმის არ ითვალისწინებს ხალხის აზრს (48.6 %) და რომ კანონის წინაშე საქართველოს მოქალაქეები არ არიან თანასწორნი (57.2%). ასევე, უმრავლესობის პასუხების მიხედვით, საქართველოში ადამიანის უფლებები არ არის დაცული (48.2%). როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საკმაოდ მაღალია მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოს ფუნქციონირების სეგმენტებში ნეგატიური აღქმადობა. საჯარო მმართველობის ქართველი დოქტორანტების პასუხები შეკითხვაზე, თუ რა არის ქართული სახელმწიფო დღეს, რამდენიმე ჯგუფად ჩამოყალიბდა. პირველი ადგილი დაიკავა სახელმწიფოსადმი მოქალაქეების მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ, მომდევნო ადგილზე იყო სამართლიანობის უზრუნველყოფა, ყველაზე ბოლოს-სახელმწიფოს მცდელობა დაიცვას მოქალაქეების ინტერესები. მეცნიეერბის აზრით, სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში აქტიორები არიან როგორც მმართველი ელიტა, მიღებული გადაწვეტილებებითა და პირადი მაგალითით, ასევე სამოქალაქო საზოგადოება, რომლის წევრებსიც აცნობიერებენ სამოქალაქო როლსა და ადგილს სახელმწიფოს ცხოვრებაში. სახელმწიფომ თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს მათი სასიცოცხლო ენარგიის გამოყენების თანაბარი შესაძლებლობებისა და ჩართულობის მაქსიმალური ხარისხის პირობები.

საზოგადოების აზრის კვლევა, მოქმედი რეგულაციების პირობებში ნაკლებად წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობითი სისტემის მექანიზმს. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ითვალისწინებს მოხელეთა შეფასებას შიდასტრუქტურული იერარქიის ფარგლებში, სადაც ინსტიტუციის გარეთ არსებული მოსაზრება წარმოადგნეს უკუკავშირის მექანიზმის შემადგენელ ნაწილს. სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების შესრულება, შედეგების ინდიკატორები ძირითადად პროგრამების რეალიზების რიცხოვრივ მონაცემებს შეიცავს და მათი, ისევე როგორც ხარისხობრივი მაჩვნებლების დათვლა ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა. უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი აზრის დაგეგმილი/მიმდინარე კვლევები უმაღლესი განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებებით, ასევე-გადამხდელთა და იუსტიციის სახლში სერვისების მიმღებ პირთა კმაყოფილების ხარისხის კვლევა, რომლის შედეგიც მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ მაღალია (86%).

პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერი ჯ. როულსი მიიჩნევს, რომ იდეალურად სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას ყოველთვის დააბრკოლებს ადამიანის ბიოლოგიური ბუნება, ამდენად უფრო მნიშვნელოვანია ასეთი საზოგადოებისადმი სწრაფვა, მისი ფორმირების პროცესი, როგორც დინამიური მოცემულობა, ვიდრე თავად იდეალური საზოგადოება, როგორც ამ პროცესის შედეგი. მუდმივი გაუმჯობესების პროცესის შენარჩუნებაში კი სახელმწიფო ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი უკავიათ. ჯონ როულსის მიზანია, თანამედროვე პირობებში აღადგინოს და შეინარჩუნოს ადამიანების რწმენა გონიერი მმართველობის არსებობასთან და მის შესაძლებლობებთან. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები მოქალაქეების სახელმწიფოსთან იდენტობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. „სახელმწიფოებრიობა, როგორც ღირებულება, გულისხმობს პიროვნებისათვის საკუთარი ქვეყნის ერთიან მთლიანობად აღქმას და ამ მთლიანობის დაცვის ვალდებულებას. იგი ასევე გულისხმობს მოქალაქეების მიერ საკუთარი თავის მიკუთვნებას მოცემული ქვეყნისადმი. სახელმწიფოებრიობის ღირებულების გათავისება ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარ ბედს

უკავშირებს ქვეყნის ბედს, ითავისებს ქვეყნის კულტურას, მის ისტორიას და მომავალს - ხდება ქვეყნის მოქალაქე".

სოციოლოგიის კლასიკოსები მიიჩნევენ, რომ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეძენილი გამოცდილება. „ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია ფსიქოლოგიური ცვლილების გამოწვევა, საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორისაა: მოთხოვნილებები, ბრძოლა არსებობისთვის, გარემოს ზემოქმედება, ცოდნისა და წარმოების მიღწევები, აღზრდა, რწმენები და სხვა." „ღირებულებები ყალიბდება პირველ ყოვლისა წინაპრების ზეგავლენით, მეორე ფაქტორია მშობლების გავლენა, ყველაზე სუსტი მნიშვნელობისაა გარემოს ზემოქმედება. ეს არის უკანასკნელი ფაქტორი, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ სხვადასხვა სახის ფიზიკური და მორალური ზემოქმედება, რომელსაც ადამიანი ცხოვრების მანძილზე განიცდის. ამასთან, გარემოს ზემოქმედებას რეალური შედეგი აქვს მაშინ, როდესაც მისი მოქმედება და მემკვიდრეობითობა ერთი მიმართულებით გროვდება."

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოების წევრების მიერ შეძენილი ცხოვრებისეული გამოცდილება უკავშირდებოდეს პუბლიკაციის დასაწყისში მოყვანილი გამოკითხვის შედეგების თანახმად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე სახელმწიფოს რეაგირებას. კერძოდ, სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ადმინისტრირების აპარატი, წახალისებისა და დასჯის მექანიზმების მეშვეობით, უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეებისთვის პოზიტიურად და ნეგატიურად შეფასებადი ღირებულებების მიწოდებას. ზემოთქმული ვრცელდება სახელმწიფო თანამდებობის პირების პირად, პოზიტიურ მაგალითებზეც. ქართველთა ფსიქო-სოციალური ტიპიდან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილია საჯარო სამსახურში მართვის კანონის დაკონკრეტება-დებულებების, ინსტრუქციების, გეგმების დეტალიზება და მათ შესრულებაზე მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების გააქტიურება. აღნიშნულისთვის მიზანშეწონილია საზოგადოებრივი აზრის კვლევის პრაქტიკის აქტიურად გამოყენება და მიღებული შედეგების გათვალისწინება, რაც თავის მხრივ ჩასატარებელი სამუშაოების ერთიან მეთოდოლოგიაზე და კვლევის განმახორციელებელი ობიექტისადმი წაყენებული სტანდარტზე ჩამოყალიბებასაც მოიცავს.

ინსტიტუციათა ფუნქციონირების მაგალითზე დაგროვებული ცხოვრებისეული გამოცდილების მეშვეობით, რაც ქმედებისა და შედეგის ურთიერთკავშირს გულისხმობს, ყალიბდება საზოგადოების ფასეულობათა სისტემა - ერთგვარი რწმენა იმის შესახებ თუ რა არის მისაღები და მიუღებელი. სახელმწიფო ორგანიზაციები წარმოადგენენ მაგალითს, რომლებიც საზოგადოებაში სახელმწიფოსადმი ნდობას წარმოშობენ და ამტკიცებენ. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურებში არსებული მანკიერი მხარეების გამოსწორება და მართვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება.

ნაშრომის შედეგები :

- სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების ფასეულობათა სისტემას;
- სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი ნდობა განაპირობებს მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ აზროვნებას;
- სახელმწიფო ინსტიტუციების ფუნქციონირების აღქმადობის თვსისობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები განპირობებულია ორგანიზაციის საქმიანობის პროცესის და შედეგის, ასევე იქ დასაქმებული პირებისა და ხელმძღვანელი მუშაკების პირადი მაგალითით;
- საქართველოში, სახელმწიფო ორგანიზაციების ფუნქციონირების შესახებ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ინსტიტუციებისადმი ნეგატიური აღმადობის შემცველი მნიშვნელოვანი შედეგით ხასიათდება;
- მმართველობის არსებულ სისტემაში საზოგადოებივი აზრის (სახელმწიფო სამსახურის შესახებ) კვლევის წარმოება ნაკლებადაა აპრობირებული;
- სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი შესაძლოა გახდეს მოქალაქეთა ნიჰილიზმის მიზეზი და აისახოს მათ სახელმწიფოსადმი იდენტურობის კავშირის შესუსტებაში;

რეკომენდაციები :

- სახელმწიფო სამსახურში სახელმწიფო ინსტიტუციების საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის პრაქტიკის დანერგვა/გააქტიურება;
- მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემების გააქტიურება კვლევის შედეგებთან ადაპტაბელობის კონტექსტში;
- საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუციების საქმიანობის აღქმადობის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში განხილვა და თავსებადობის კონტროლი.

ლიტერატურა

1. სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. geostat.ge ბ. ნ. 03.08.2018. გურგენიძე ვ., „სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა-ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უმნიშველოვანესი წინაპირობა“,სადისკუსიო წერილების სერია 1. თბილისი, 1999 60 გვ.;
1. ღონღაძე ნ. დოლიძე ნ., საქართველოს საჯარო სამსახური - პრობლემები და გამოწვევები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), 2014, გვ. 50;
2. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 2015 წ. https://www.transparency.ge /ge/blog/nepotizmi-tanamdebobis-borotad-gamoqeneba-mekrtameoba-sazogadoebrivi-azris-gamokitk hvis-shedegebi ბ. ნ. 02.05.2019;
3. acj, საბაზისო კვლევა, საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა, საჯარო მოხელეთა კვლევა 2017, გვ. 46;
4. ნიჟარაძე გ., პოლიტიკური ქცევა საქართველოში, ეპოქა, თბილისი 2006;
5. სუმბაძე ნ. თაობები და ღირებულებები, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი 2012, გვ. 120;
6. ხიზანიშვილი ს., ქვეყნის მომავლის დაცვა - „მსახურებაა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“,# 39 გვ. 31-37;
7. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=24;
8. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები. https://www.mof.ge/5187;
9. სურმანიძე ლ., ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები, (თეორიული მოდელები, ემპირიული კვლევები), თბილისი, “ნეკერი”, 2001, გვ. 182;
10. Дж. Ролз. Теория справедливости. Москва, 2017, стр. 248;
11. დოღონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები-ელექტრონული მთავრობა“, ცის ნამი, თბილისი, 2013, გვ. 449;
12. Лебон Г., Психология народов и масс, АСТ, 1985, ст. 45;

Nina Khatiashvili

CIVIL SERVICE AS LEVERAGE OF FORMATION OF THE CITIZEN'S VALUES SYSTEM AND ITS ROLE IN STATE SECURITY

Summary

The article discusses the public opinion polls on the public service, its dynamics, the importance of the functioning of public institutions and public services in the frame of social values and state security systems.
Keywords: State institutions, values, formation, state security.

Нина Хатиашвили

ГОСУДАРСТВЕННАЯ СЛУЖБА КАК СРЕДСТВО ФОРМИРОВАНИЯ СИСТЕМЫ ЦЕННОСТЕЙ ГРАЖДАН И ЕЕ РОЛЬ В ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ

Резюме

В статье рассматены результаты опросов общественного мнения о государственной службе Грузии, их динамика, важность восприятия качества функционирования государственных учреждении в рамках системы ценностей общественности и государственной безопасности.
Ключевые слова: Государственные учреждения, ценность, формирование, государственная безопасность.

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი
დავით კუხალაშვილი-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მზევინარ გურული-კუხალაშვილი-აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ეკოლოგიური დაზვერვის როლი სახელმწიფოს მართველობით პროცესზე

თანამედროვე ეტაპზე უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურები ეკოლოგიურ დაზვერვას, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის კუთხით აქტიურად ახორციელებენ. სახელმწიფოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ამ კუთხით როგორც სადაზვერვო ისე კონტრსადაზვერვო ორგანიზება, რადგან ეკოლოგიური დაზვერვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ამ სექტორზე ზეგავლენისა და შეღწევადობის ფონზე აგენტურული აპარატის ჩამოყალიბება ან უკვე არსებულის სრულყოფა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, კონტრდაზვერვა, ეკოლოგიური დაზვერვა, ეკოლოგიური კონტრდაზვერვა

უახლესი ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაკავებული ეკოლოგიური უსაფრთხოების ორგანიზებას. შესაბამისად სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანიზების სტრუქტურაში ეკოლოგიური დაზვერვის მიმართულებით საქმიანობას მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული და იგი სახელმწიფოში ოპერატიული ვითარების შემადგენელს წარმოადგენს. ეკოლოგიური საფრთხეების ინსპირირება შესაძლოა განხორციელდეს ბუნებრივად და ადამიანის ზემოქმედების შედეგად. ამ კატეგორიის საფრთხეს განეკუთვნება ეპიდემიისა და ეპიზოდიის გავრცელება.

სახელმწიფოთა ეკოლოგიური დაზვერვის მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს:

- ***ინფორმაციები უცხო სახელმწიფოთა მიერ ქიმიური ან სხვა სახის იარაღის გამოცდის ორგანიზებული პროცესის შესახებ*** (დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სადაზვერვო ხასიათის კომპრომეტაციისათვის, იარაღის პროექტის ხელში ჩაგდების სადაზვერვო გადაბირებისათვის და სხვა);
- ***ინფორმაციები ეკოლოგიური საფრთხეების შემცველი საშიში ტექნოლოგიების შემუშავების შესახებ*** (დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სადაზვერვო ხასიათის კომპრომეტაციისათვის, ტექნოლოგიების პროექტების ხელში ჩაგდების სადაზვერვო გადაბირებისათვის და სხვა);
- ***ინფორმაციები ნავთობსადენების არაუსაფრთხო (დაზიანების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანის მოტანის პერსპექტივა) განთავსების შესახებ*** (დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მილსადენის მწყობრიდან გამოყვანის, დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში, უსაფრთხოების დაბალი დონით უზრუნველყოფის შესახებ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის, სადაზვერვო გადაბირებისათვის და სხვა);
- ***ინფორმაციები იმ (მათ შორის სამხედრო) ობიექტების შესახებ, სადაც მიმდინარეობს რადიოაქტიური ნივთიერებების დამარხვა*** (დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სადაზვერვო ხასიათის კომპრომეტაციისათვის, ეკოლოგიური ვითარების დასამძიმებლად სამარხებზე სპეციალური ღონისძიებების ორგანიზებისათვის, სადაზვერვო გადაბირებისათვის და სხვა);
- ***ინფორმაციები დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული ვითარება ეპიდემიისა და ეპიზოოტიის მიმართულებით*** (დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს სადაზვერვო ხასიათის

კომპრომეტაციისათვის, ეპიდემიისა და ეპიზოოტიის მიმართულებით ვითარების დასამძიმებლად სპეციალური ღონისძიებების ორგანიზებისათვის, სადაზვერვო გადაბირებისათვის და სხვა)

- ***ინფორმაციები დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში კორუფციის თვალსაზრისით მოწყვლადი ადგილების შესახებ*** (დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დამაზიანებელი და მზვერავი სახელმწიფოს ფინანსური ინტერესების სასარგებლო საერთაშორისო ან ადგილობრივი პროექტების განსახორციელებლად) და სხვა.

შესაბამისად ამ მიმართულებებზე ან/და ობიექტებზე მომუშავე პირები სადაზვერვო სამსახურების მხრიდან ზეგავლენასა და შეღწევადობას ექვემდებარებიან, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს მათი გადაბირება წარმოადგენს.

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული მძიმე ეკოლოგიური ვითარების შესახებ მათ შორის დეზინფორმაციული ხასიათის, ინფორმაციის რეკლამირება. ამ პროცესის ერთ-ერთ ხელსაყრელ შედეგს სახელმწიფოს დისკრედიტაცია წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური დესტაბილიზაციის მაინსპირირებელ ისეთ პროცესებთან, როგორიცაა: სახელმწიფოში ტურიზმის მოშლა და ინვენსტიციების შეწყვეტა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დეზინფორმაციის გავრცელება, სადაზვერვო სამსახურებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, მაშინ აღნიშნული პროცესი სადაზვერვო (მტრულ) პროპაგანდის მნიშვნელოვან შემადგენლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. სადაზვერვო ანუ მტრული პროპაგანდა კი შეიძლება ასე განვმარტოთ: "სადაზვერვო სამსახურების ხელთ არსებული ძალებისა და საშუალებების მეშვეობით დაინტერესებული ქვეყნის მოსახლეობაზე მტრული იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედება, შემდგომში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმის მიზნით." [1]

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვთ, საქართველოს ეროვნულ ინტერესების გათვალისწინებით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საქართველოს და რეგიონის (კავკასიის უნიკალური ბუნება) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ჩამონათვალში მეცხრე პოზიციას იკავებს ეკოლოგიური გამოწვევები, ხოლო საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ჩამონათვალში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკაა მიჩნეული, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს, თავიდან ავიცილოთ გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისული ვითარება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, სამრეწველო ავარიები და სხვა). აღნიშნული კონცეფციის მიხედვით: საქართველოს ეროვნული ინტერესების ერთ-ერთი პრორიტეტული მიმართულების-საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში იგულისხმება გარემოს დაცვის ხარისხის ამაღლება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პროცესების ორგანიზება, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხარისხობრივ მაჩვენებლებთან. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების ორგანიზებისას საგანგებო ყურადღება გამახვილდეს ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის ორგანიზებით წარმოებული უკანონო ეკონომიკური საქმიანობა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება ეკოლოგიური ზიანის მომტანია საქართველოსათვის (ამ კუთხით გამორჩეულია 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის აფხაზეთიდან სამშენებლო მასალებისა და ხეტყის უკანონო მოპოვებისა და რუსეთის ფედერაციაში გატანის ფაქტები).

სადაზვერვო ორგანიზების თვალსაზრისით საყურადღებოა, ღია წყაროში განთავსებული ინფორმაცია,[2] რომლის მიხედვითაც, ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით და ეკოტერორიზმის წინააღმდეგ, 2018 წლის მდგომარეობით აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის ფედერაცია და "ნატო". მაღალი ალბათობით სადაზვერვო საქმიანობის პრინციპებიდან გამომდინარე

სახელმწიფოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას ჰქონდა და აქვს შესაძლებლობა საერთო ინტერესების ფონზე ერთმანეთის წინააღმდეგ აქტიური ეკოლოგიური ხასიათის სადაზვერვო საქმიანობასაც განახორციელოს, რაც ამ მიმართულების სადაზვერვო საქმიანობის აქტუალობაზე მიანიშნებს.

ეკოლოგიური ხასიათის დაზვერვას, წარმატებულ ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად ახორციელებს უკრაინა, [3] ბელორუსია [4] და სხვა სახელმწიფოებში.

ეკოლოგიური დაზვერვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს, ამ მიმართულებით უცხო სახელმწიფოთა კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის სამსახურებში ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრუქტურების მოღვაწეობის პროცესი.

რუსეთის ფედერაციის (რფ) საგარეო და სამხედრო სადაზვერვო სამსახურებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ეკოლოგიური დაზვერვა წარმოადგენს. რფ-ის კანონი: "საგარეო დაზვერვის შესახებ," [5] სადაც (მუხლი 5) აღნიშნულია, რომ სადაზვერვო საქმიანობის მიზნებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, *ეკოლოგიური* ხასიათის ინფორმაციების შეკრება და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან წარდგენა წარმოადგენს. ამავე კანონის (მუხლი 11) მიხედვით ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციების შეკრება რფ-ის თავდაცვის უწყების საგარეო დაზვერვის სამსახურის პრეროგატივას წარმოადგენს.

რუსეთის ფედერაციაში ეკოლოგიური კონტრდაზვერვის მიმართულებით საქმიანობაზე მიანიშნებს ღია წყაროში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც:[6] 1996 წლის 6 თებერვალს, სანკტ-პეტერბურგში სახელმწიფო საიდუმლოების გაცემისა და ჯაშუშობის ბრალდებით ეკოლოგის, პირველი რანგის გადამდგარი კაპიტნის ალექსანდრე ნიკიტინის დაკავების ფაქტი. ბრალდების თანახმად, ნიკიტინმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ბელონა" თანამშრომლობისას, ორგანიზაციას მიაწოდა და ნორვეგიაში გამოქვეყნდა მოხსენება სახელწოდებით:"რადიაქტიური დაბინძურების წყაროები მურმანსკისა და არხანგელსკის ოლქებში." მოხსენება შეიცავდა მონაცემებს, რომლებიც წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოებას. 2000 წლისათვის ნიკიტინი გაამართლეს.

ეკოლოგიური დაზვერვის მიმართულებით სამხედრო დაზვერვის აქტუალობას ადასტურებს, ღია წყაროში გამოქვეყნებული ინფორმაცია,[7] რომლის მიხედვითაც 2018 წლის მდგომარეობით უკრაინის სამხედრო დაზვერვა, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ყირიმში აკონტროლებდა ეკოლოგიურ ვითარებას, რასაც ადასტურებს რომლის მიხედვითაც:რუსეთის სამხედროები სისტემატიურად ზრდიან სამხედრო წვრთნების ინტენსივობას ოკუპირებულ ყირიმში. ერთ-ერთ ქიმიური საწარმოს ნარჩენების სალექარში საბრძოლო მასალის მოხვედრის შედეგად ობიექტის დაზიანებასთან ერთად გაუარესდა ეკოლოგიური ვითარება, რომლის დამალვასაც ცდილობს რუსეთის ფედერაცია.

ეკოლოგიური დაზვერვის აქტუალობაზე მეტყველებს კორპორაციული და სახელმწიფო სექტორების კოორდინირებით აქტიური სადაზვერვო საქმიანობა საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციების მიმართ. ღია წყაროში განთავსებული ინფორმაციის მიხედვით:[8] 2006 წლისათვის ფრანგული ენერგეტიკული ორგანიზაცია [Electricité de France SA (EDF)] დაქირავებული ჰაკერისა და კერძო გამომძიებლის მეშვეობით ჯაშუშობდა საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციის "გრინპისის" მიმართ. ჯაშუშობის ძირითადი მიზეზი ამ ორგანიზაციის მხრიდან EDF-სსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობას შორის ბიურთვული თანამშრომლების ჩარჩოების გაფართოებაზე ხელშეშლა წარმოადგენდა. ჯაშუშობის შედეგად საფრანგეთში გრინპისის პროგრამის დირექტორის კომპიუტერის გატეხვად 1400 დოკუმენტის მოპარვა გხდა შესაძლებელი.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი

1. სახელმწიფოთა ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ორგანიზება შესაძლებელია თუ სადაზვერვო სამსახურს აქვს მოპოვებული ინფორმაციები:

- *უცხო სახელმწიფოთა მიერ ქიმიური ან სხვა სახის იარაღის გამოცდის ორგანიზებული პროცესის შესახებ;*
- *ეკოლოგიური საფრთხეების შემცველი საშიში ტექნოლოგიების შემუშავების შესახებ;*
- *ინფორმაციები ნავთობსადენების არაუსაფრთხო (დაზიანების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანის მოტანის პერსპექტივა) განთავსების შესახებ;*
- *იმ (მათ შორის სამხედრო) ობიექტების შესახებ, სადაც მიმდინარეობს რადიოაქტიური ნივთიერებების დამარხვა;*
- *დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული ვითარება ეპიდემიისა და ეპიზოოტიის მიმართულებით;*
- *დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში კორუფციის თვალსაზრისით მოწყვლადი ადგილების შესახებ* და სხვა.

2. **ზემოჩამოთვლილ მიმართულებებზე ან/და ობიექტებზე მომუშავე პირები, სადაზვერვო სამსახურების მხრიდან ზეგავლენასა და შეღწევადობას ექვემდებარებიან, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს მათი გადაბირება წარმოადგენს;**
3. **სადაზვერვო ნიშნების შემცველია დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული მძიმე ეკოლოგიური ვითარების შესახებ, მათ შორის დეზინფორმაციული ხასიათის, ინფორმაციის რეკლამირება, რითაც სახელმწიფოს დისკრედიტაცია მიიღწევა;**
4. **ბუნებრივი რესურსების არამართლზომიერი გამოყენება ეკოლოგიური ზიანის მაინსპირირებელია და ამ მეთოდს სადაზვერვო სამსახურები აქტიურად იყენებენ დაზვერვას დაქვემდებარებული სამსახურების მიმართ;**
5. **ეკოლოგიური დაზვერვის აქტუალობის გამო სახელმწიფოები დამაზიანებელი შედეგების თავიდან ასაცილებლად კონტრსადაზვერვო სამსახურებს იყენებენ.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ენდელაძე. “საგარეო დაზვერვის სამსახურები.” თბილისი. 2007. გვ.105;

2. „Caountering terrorism.“17 Jul. 2018. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm. [გადა-მოწმებულია 6.06.2019];

3.“ОБ СВР УКРАИНЫ.”https://bezpekavip.com/sluzhba-vneshney-razvedki-ukraini. [გადამოწმებულია 6.06.2019];

4. Виктор ФЕДОРОВИЧ. “Совершенно секретно. В Беларуси создается новая спецслужба.“ 26.03.2014. https://naviny.by/rubrics/politic/2014/03/26/ic_articles_112_185025. [გადამო-წმებულია 6.06.2019];

5. «РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ Федеральный закон "О внешней разведке" 10 января 1996 года № 5-ФЗ. Принят Государственной Думой 8 декабря 1995 года» http://svr.gov.ru/svr_today /doc02.htm; [გადამოწმებულია 6.06.2019];

6.„«Беллона»: кто эти экологи? В интересах американской разведки.“ http://ecoleaks.info/organizatsiya -bellona-amerikanskaya-razvedka/[გადამოწმებულია 6.06.2019];

7. “Разведка назвала причину ухудшения экологической обстановки в Крыму.“ 05.09.2018. https://www.rbc.ua/rus/news/razvedka-nazvala-prichinu-uhudsheniya-ekologicheskoy1536145089.html [გადა-მოწმებულია 6.06.2019];

8. „EDF fined €1.5m for spying on Greenpeace.“ https://www.theguardian.com/enviro nment/2011/nov/10/edf-spying-greenpeace. [გადამოწმებულია 6.06.2019];

THE NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING
AND RESEARCH CENTRE
Davit Kukhalashvili-Associate Professor of Caucasus International University
Mzevinar Guruli-KukhalaSvili-Academic Doctor of Agrarian Sciences

The Role of Ecological Intelligence in the State Governance Process

Summary

The modern stage, intelligence agencies of foreign states actively conduct ecological, political, economic, military and scientific and technical intelligences. To ensure the ecological security of the state is important as intelligence and counter-intelligence organizing in this regard, since the most important task of ecological intelligence is to establish an agent or perfection existing on the background of influence and penetration of this sector.

Keywords: Intelligence, counterintelligence, ecological intelligence, ecological counterintelligence

Научно-исследовательский центр национальной и корпоративной безопасности
Давит Кухалашвили- Кавказского международного университета
Мзевинар Гурули-Кухалашвили-Академический доктор аграрных наук

Роль экологической разведки в процессе государственного управления

Резюме

На современном этапе спецслужбы иностранных государств активно проводят экологическую разведку, совместно политической, экономической, военной и научно-технической разведки. В обеспечение экологической безопасности, в этом направлении для государства важно, как организация разведывательной так контрразведывательной деятельности, поскольку в этом отношении, наиболее важной задачей экологической разведки на этом секторе, на фоне разведывательной воздействии и проникновении, является формирование агентурного аппарата, или совершенствование уже существующего.

Ключевые слова: Разведка, Контрразведка, Экологическая разведка, Экологическая контрразведка

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი
მირზა ბეჟანიძე (დოქტორანტი)

1918-1919 წლებში სომხეთ-საქართველოს ომში ქართული შეიარაღებული ძალების მიერ დაშვებული უსაფრთხოების დარღვევები და მისი შედეგები.

1918 წლის 26 მაისს სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლას, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. შედეგად გაერთიანებული არმიის შექმნა, დღის წესრიგიდან მოიხსნა და ქართული შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბდა. სომხეთ-საქართველოს ომის დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და შეიარაღებულ ძალებში ნათლად გამოიკვეთა ეროვნული უსაფრთხოების არაერთი მნიშვნელოვანი დარღვევა. ზოგიერთი მათგანი დღესაც აქტუალურია და მათი შესწავლა-გაანალიზება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიოგრაფიისათვის, არამედ მწარე გამოცდილების გასათვალისწინებლადაც კი.
საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება; შეიარაღებული ძალები; საჯარისო ქვედანაყოფები; სახალხო გვარდია; სამხედრო მოქმედებები; ბრძოლა; ომი.

1918 წლის 26 მაისს სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლას, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. შედეგად გაერთიანებული არმიის შექმნა, დღის წესრიგიდან მოიხსნა და ქართული შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბდა.

სომხეთ-საქართველოს ომის დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და შეიარაღებულ ძალებში ნათლად გამოიკვეთა ეროვნული უსაფრთხოების არაერთი მნიშვნელოვანი დარღვევა. ზოგიერთი მათგანი დღესაც აქტუალურია და მათი შესწავლა-გაანალიზება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიოგრაფიისათვის, არამედ მწარე გამოცდილების გასათვალისწინებლადაც კი. სომხეთ-საქართველოს ომის პერიოდში ქართულ შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდა, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლამდე არსებული წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის რაზმები და თავდაცვის სამინისტროს ორი დივიზია. მე-2 დივიზიის დაკომპლექტება და სტრუქტურული ჩამოყალიბება სომხეთ-საქართველოს ომის პერიოდში დასრულდა, რომელიც განლაგებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით ქ. თბილისში და მას კადრის სამხედროები მეთაურობდნენ, ხოლო რაც შეეხება სახალხო გვარდიას, ის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა და საპატიო სარდლის თანამდებობა, თვით მთავრობის თავმჯდომარეს, **ნოე ჟორდანიას** ეკავა. შეიარაღებული ძალებისა და განსაკუთრებით, სახალხო გვარდიის, საბრძოლო და პროფესიული მომზადება ვერ იდგა სათანადო დონეზე, რამაც ძირითადად განაპირობა სომხეთ-საქართველოს ომის დროს ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე უსაფრთხოების კასკადური დარღვევები.

1918 წლის განმავლობაში სახალხო გვარდიამ არაერთ საბრძოლო ამოცანას გაართვა თავი, რაც ლოკალური კონფლიქტებისა და ბოლშევიკთა გამოსვლების ჩახშობაში გამოიხატებოდა. მიუხედავად ამისა, გვარდიაში უცხო ხილი არ იყო უდისციპლინობა, არაორგანიზებულობა და დაუმორჩილებლობაც კი. გვარდია პოლიტიზირებული, ერთპარტიულ პრინციპზე აგებული შენაერთი იყო და მისი იდეოლოგიაც, სოციალისტური და ინტერნაციონალისტური უფრო იყო, ვიდრე ეროვნულ-პატრიოტული და ძირითადად საეგზეკუაციო ქვედანაყოფს წარმოადგენდა, რის გამოც მოსახლეობაში თავიდანვე გაუტყდა სახელი, როგორც სადამსჯელო შენაერთს. გვარდიის ნაწილების არაორგანიზებულობამ და უდისციპლინობამ მასშტაბურად, სწორედ სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას იჩინა თავი პირველად. კერძოდ, ორ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში, ეკატერინენფელდთან და განსაკუთრებით შულავერთან, გვარდიის ქვედანაყოფების ყოვლად

უპასუხისმგებლო მოქმედებებმა სასწორზე შეაგდო ბრძოლის ბედი და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო სხვა ქვედანაყოფები. უფრო მეტიც, გვარდიელთა საქციელმა გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც ომის საბოლოო შედეგები. გვარდიის ამგვარი მოქმედებები უნდა გამხდარიყო საყოველთაო განგაშის წინაპირობა, რომლის გაუთვალისწინებლობამაც 1921 წლის თებერვალში სრული კატასტროფის წინაშე დააყენა საქართველოს შეიარაღებული ძალები და მთლიანად ქართული სახელმწიფო. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც იყო, რომ გვარდიის ხელმძღვანელობასა და სამეთაურო რგოლს სამხედროების ნაცვლად, მენშევიკური პარტიის წევრები შეადგენდნენ, რომლებსაც არანაირი სამხედრო გამოცდილება არ გააჩნდათ. მიუხედავად ამისა გვარდიას მაინც ბევრად მეტი პრივილეგია ჰქონდა, ვიდრე რეგულარულ ჯარს, რაც წარმოადგენდა ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უდიდეს დამანგრეველ ფაქტორს.

ქართული ჯარის ნაწილებისა და შენაერთების მონოლითურ არმიად ჩამოყალიბება, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიური პოზიციის და შეიარაღებული ძალების პარტიულ პრინციპებზე მოწყობის მცდელობის გამო, ვერ განხორციელდა. აღნიშნული მიზეზის გამო არ იქნა მიღებული გერმანელთა რჩევა, ქართული ჯარის სტრუქტურისა და კომპლექტაციის საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რამაც გამოიწვია შეიარაღებული ძალების იგივე ორგანიზაციულ სისტემაზე დარჩენა, რაც მეფის რუსეთის არმიაში იყო მიღებული.

სომხეთ-საქართველოს ომის დროს, ფრონტზე არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეიარაღებულ ძალებში ინტენსიურად დაიწყო მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბება, რომლებსაც გამოცდილი ოფიცრები ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ საერთო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადების მხრივ ეს რაზმები პრაქტიკულად არაბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ და დასმულ საბრძოლო ამოცანებს ძირითადად ვერ ართმევდნენ თავს. მოხალისეთა რაზმებში არსებული მდგომარეობა, თითქმის ანალოგიური იყო სახალხო გვარდიაში არსებული მდგომარეობისა, რაც საბოლოოდ მისი დაშლის მიზეზი გახდა.

სამხედრო მინისტრის 1918 წლის 28 დეკემბერის ბრძანება, მოხალისეთა რაზმების გაუქმების შესახებ, მაშინ იქნა მიღებული, როდესაც საბრძოლო მოქმედებები გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული და ქართული ჯარი, წარმატებულ შეტევით ოპერაციას ახორციელებდა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მაღალი თანამდებობის სამხედრო პირის მიერ ჯარების არაორგანიზებულ მართვაზე და უსაფრთხოების ელემენტარული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობაზე. შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნდა სამხედრო დოქტრინა, მოსალოდნელი საფრთხეების კლასიფიკაცია და მასზე რეაგირების გეგმები, ასევე საომარი მოქმედებების შემთხვევაში არ ჰქონდა საერთო-სამობილიზაციო გეგმა, არ იყო განსაზღვრული მოკავშირეების როლი და ადგილი. სომხეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სახალხო გვარდიის რიცხოვნება შეადგენდა 10-15 000-ს სამხედრო მოსამსახურეს, ხოლო 1918 წლის დასაწყისისათვის სომხეთს 40 000-იანი არმია ჰყავდა, რაც რამდენჯერმე აღემატებოდა საქართველოს მთლიან შეიარაღებულ ძალებს.

სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე სომხეთის რეგულარული ჯარის მიერ მთელი რიგი საველე სწავლებები და სამხედრო წვრთნები იქნა დაგეგმილი საზღვრისპირა რეგიონში, სადაც საქართველოს სომხური მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას. ამ ფონზე ქართული მხარე არა თუ ომის წინა პერიოდში და მისი მსვლელობის პირველ ეტაპზე, არამედ მოგვიანებითაც არ ფლობდა შესაბამის ინფორმაციას, ან ფლობდა და ვერ აანალიზებდა არსებულ სიტუაციას, რომ მას არა ხელისუფლებით უკმაყოფილო ცალკეული ჯგუფების შეიარაღებულ ბანდიტურ თავდასხმებთან, არამედ სომხეთის რეგულარული ჯარის ღია საომარ მოქმედებებთან ჰქონდა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების მიერ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები 1918 წლის 9 დეკემბერს დაიწყო, საქართველოს მთავრობა და სამხედრო მინისტრი მხოლოდ 16 დეკემბერს აღიარებს პირველად, რომ ეს იყო არა ცალკეული შეიარაღებული ჯგუფების მოქმედებები, არამედ ომი, სომხეთ-საქართველოს შორის.

საქართველოს მთავრობამ, სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებიდან მეათე დღეს,

1918 წლის 18 დეკემბერს, გამოაცხადა თავისი შენაერთის-სახალხო გვარდიის ქვედანაყოფების მობილიზაცია და მოხალისეთა საყოველთაო გაწვევის კამპანია, რაც ოფიციალურად 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა. საქართველოს სამხედრო სამინისტროს მიერ ოფიცერთა შემადგენლობის თადარიგიდან გაწვევა კი 1918 წლის 21 დეკემბერს დაიწყო. საქართველოს მთავრობისა და სამხედრო უწყების დიდი შეცდომა იყო ის, რომ სომხურმა ნაწილებმა თურქების გასვლისთანავე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიკავეს თურქების მიერ ოკუპირებული საზღვრისპირა ზოლი და ქართული ლორე, რაც სომხური აგრესიის ერთ-ერთ ძირითად პლაცდარმად აქციეს. ასევე სამხედრო შეცდომა და უსაფრთხოების დარღვევა იყო ის, რომ ქართული მცირერიცხოვანი საჯარისო ფორმირებების ამ რაიონში თავმოყრასა და დისპოზიციას სიმბოლური დატვირთვა უფრო ჰქონდა და ისინი ყოველმხრივ მოკლებული იყვნენ მათ წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის რეალიზაციის შესაძლებლობას.

ქართული მხარის მიერ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული აგრეთვე, როცა საჯარისო ქვედანაყოფები არა ყაზარმებსა და სპეციალურ სადგომებში, არამედ პირდაპირ სომხურ სოფლებში განათავსეს, რითაც სომხურ მხარეს პროვოკაციების დაგეგმვის შესაძლებლობა მიეცა და მაღალი რისკის ქვეშ დააყენეს ქართული ჯარის უსაფრთხოება.

1918 წლის 2 ნოემბრისთვის საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდგარი ქართული სამხედრო გარნიზონი ერთ გაშლილ ასეულს, სულ ორას მებრძოლს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს გენერალ წულუკიძის დაქვემდებარებაში მყოფი „სანაინი-ვორონცოვკის“ რაზმი სანივთე ქონებისა და შეიარაღებით მომარაგების მხრივ უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მთავარ უბედურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ასეულის ზოგიერთ ქვედანაყოფებში უკვე შეპარული იყო ბოლშევიზმისა და ანარქიის სიმპტომები, რასაც მოგვიანებით მოჰყვა გენერალი წულუკიძის მიერ კატეგორიული მოთხოვნა, თავის დაქვემდებარებაში მყოფი ასეთი ქვედანაყოფების თბილისში გაწვევასა და მათ განიარაღებაზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობამ მიიღო ტაქტიკურად სწორი, მაგრამ ოპერატიულად წამგებიანი გადაწყვეტილება-თბილისში გაწვეულ იქნა დაახლოებით 100 ჯარისკაცამდე, მთელი ასეულის ნახევარი. პოზიციებიდან მოხსნილი ქვედანაყოფის ჩასანაცვლებლად თბილისიდან გაგზავნილ იქნა გენერალ ციციშვილის განკარგულებაში არსებული საგუბერნიო ბატალიონის მხოლოდ ერთი, მე-4 ასეული. სომხებმა ჩათვალეს, რომ კარგად დაგეგმილმა პროვოკაციებმა გამართულად იმუშავეს, რასაც ქართული მხარე ადვილად წამოეგო. ფარული თამაშების დრო დამთავრდა და 1918 წლის 9 დეკემბრისათვის „უზუნლარი-სანაინის“ უბანზე ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყეს. დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა შემდეგი იყო: ქართული ჯავშანმატარებლის, სანაინის 60 კაციანი რაზმისა და მცირერიცხოვანი მესაზღვრეების პირისპირ (200 ჯარისკაცამდე), იდგა ორი სომხური პოლკი და რაიონის მთელი სომხური მოსახლეობა, საერთო რიცხოვნობით სულ მცირე 4000 კაცი. ერთადერთ უპირატესობას, რასაც ქართველები ფლობდნენ სომხებთან შედარებით, ჯავშანმატარებელი იყო, მაგრამ 1918 წლის 9 დეკემბერს წარმოებული 12 საათიანი ბრძოლის შემდეგ მან საბრძოლო ამოცანა ვერ შეასრულა და უკან დაიხია. გენერალ წულუკიძეს ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რა მოვლენებთან ჰქონდა საქმე. იმედი ჰქონდა, რომ მის ხელთ არსებული ძალებით შეძლებდა სადგურ სანაინის შენარჩუნებას და საბრძოლო მხარდაჭერისათვის მხოლოდ ერთი ასეულის გაგზავნას ითხოვდა. გენერალი წულუკიძე 1918 წლის 10 დეკემბერს, სანაინთან შექმნილ ოპერატიულ მდგომარეობიდან გამომდინარე, აცნობიერებს რეალურად არსებული საქმის ვითარებას, თუმცა სომხეთის რეგულარული ჯარის სრულმასშტაბიან შეტევით ოპერაციას ჯერ-ჯერობით ისევ ბანდების მოქმედებად თვლის და განვითარებულ მოვლენებს „ანარქიად“ აფასებს. იმისთვის, რომ შექმნილ მდგომარეობას ომის კვალიფიკაცია არ მისცემოდა, მან სასაზღვრო საგუშაგოები წათერში, ქორინჯსა და ყაჩაღანში ადგილებზე დატოვა, რის შედეგადაც ისინი ფაქტიურად განწირულნი აღმოჩნდნენ სომხური ქვედანაყოფების წინაშე.

ქართული საჯარისო ქვედანაყოფების ზურგში, ალავერდის მიდამოებში, სომხური ქვედანაყოფების გამოჩენამ მეტად საგანგაშო მდგომარეობა შექმნა და გენერალ წულუკიძის ბრძანებით,

თბილისიდან გაგზავნილ №3 ჯავშანმატარებელსა და მხარდაჭერ ასეულს, სტრატეგიულ პუნქტ ალავერდში მიეცათ ბრძანება, თავდაცვითი პოზიციების დაკავების შესახებ. №3 ჯავშანმატარებელი სანაინამდე ვერ ჩააღწევდა, რადგან ოქტომბრის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სომხებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს და ჯავშანმატარებლების წინააღმდეგ ბრძოლის მარტივ და ძალზედ ეფექტურ მეთოდს მიაგნეს. ეს იყო ლიანდაგების აყრა, სარკინიგზო ხიდების აფეთქება და სხვა ტიპის დივერსიული აქტები. ბრძოლის ასეთმა ტაქტიკამ „სანაინი-ალავერდის“ რაიონში მყოფი ქართული ქვედანაყოფები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩაადგო, ჯავშანმატარებლების საბრძოლო შესაძლებლობები შეიზღუდა და ქართული ნაწილების ალყაში მოქცევის საფრთხე, ყველა თანმდევი შედეგით, რეალურად წარმოიქმნა.

ვორონცოვკაში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფები, გენერალ გიორგი ციციშვილის მეთაურობით, მცირერიცხოვანი იყო და იგი საგუბერნიო ბატალიონის მე-4 ასეულის, სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონის ქვედანაყოფისა და მესაზღვრეებისაგან შედგებოდა, სულ 300 მებრძოლი. რაზმს მდინარე კამენკას გასწვრივ ეკავა სასაზღვრო საგუშაგოები, ხოლო თავად შტაბი სოფელ ვორონცოვკაში იყო მოწყობილი, საგუშაგოებიდან 15-20 კილომეტრის მოშორებით. რა თქმა უნდა, ასეთი მცირერიცხოვანი ძალებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლის სრული გაკონტროლება. ამ ამოცანის შესრულებას ყველაფერთან ერთად ისიც ართულებდა, რომ ადგილობრივი სომხური მოსახლეობის მხრიდან საბოტაჟისა და დივერსიული მოქმედებების გამო, სატელეგრაფო კავშირი სანაინის რეგიონალურ შტაბთან პერიოდულად წყდებოდა.

საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის, **ნოე ჟორდანიას განკარგულებით**, ვორონცოვკიდან 12 დეკემბრს თბილისში სასწრაფოდ გაიწვიეს გვარდიის საარტილერიო ქვედანაყოფები, ***სახალხო გვარდიის წლისთავთან დაკავშირებულ სადღესასწაულო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად.*** ეს მაშინ, როცა „უზუნლარი-სანაინის“ მიმართულებით უკვე დაწყებული იყო სომეხთა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობაზე პოლიტიკური ინტერესების პრივალირებას, რაც უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევა იყო. ქართული სარდლობის მიერ უხეში შეცდომა იქნა დაშვებული, როცა პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის ეშელონი, აირუმთან, ყოველგვარი სადაზვერვო მონაცემების გარეშე სრული სვლით შეიჭრა მდინარე დებედას ვიწრო ხეობაში, რომელსაც 14 დეკემბრისათვის უკვე მთლიანად აკონტროლებდნენ სომხები, რაც ქართული მხარისათვის ერთობ სავალალო შედეგებით დასრულდა. ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა აირუმის უბნის უსაფრთხოებას, რაზედაც გენერალმა წულუკიძემ არაერთხელ მოახსენა სამხედრო მინისტრს, ოპერატიულ შეტყობინებებში. გენერალი კვინიტაძე თავის მემუარში ამ მანევრს ასე აღწერს, სანაინში პოლკი გაიგზავნა მატარებლით, პოლკოვნიკ ვაჩნაძის მეთაურობით. ვაჩნაძის ეშელონმა შემადგენლობის მესამედი დაჰკარგა, ტყვია-წამალი მთლიანად დახარჯა აირუმში, მაგრამ ეშელონი მაინც არავინ შეაჩერა. სომხებმა ცოცხლად გადარჩენილებს ხეობაში ალყა შემოარტყეს და დაატყვევეს. კიდევ უარესსაც გეტყვით, სანაინის ხეობაში თურმე დაჯავშნული მატარებლები და ჰაუბიცების ბატარეებიც გაუგზავნიათ, რომლებიც ამგვარ გარემოში, რასაკვირველია, სრულიად გამოუსადეგარი იყო''. [4]

საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს პირველ პირებს, პოლიტიკური შეხედულებების გამო, ჯერ კიდევ არ სჯეროდათ და არ ჰქონდათ ბოლომდე გაცნობიერებული, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის სრულმასშტაბიანი ომი იყო დაწყებული. ისტორიულად დადასტურებულია ფაქტია, რომ საქართველოს სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე გადადგომითაც კი იმუქრებოდა სომხეთთან საპასუხო საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში.

სომხეთ-საქართველოს ომისათვის შეიარაღებული ძალების მომზადება არ განხორციელებულა. ზედმეტია ოპერატიულ-სტრატეგიული გეგმების არსებობაზე საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ შტაბს წინასწარ ჰქონდა ნავარაუდევი სტარტეგიული თვალსაზრისით სომხური აგრესიის მიმართულებები. არ ჰქონდათ გამოკვეთილი და შეფასებული საფრთხის დონეები და მისი თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებები, რასაც ადასტურებს გენერალ კვინიტაძის მოსაზრება, ,,რაც

შეეხება საქართველოს მხრიდან ომისათვის მზადებას, ასეთი რამ საერთოდ არ ყოფილა, არც საგარეო პოლიტიკაში და არც სამხედრო თვალსაზრისით. სომხებმა ეს კარგად იცოდნენ და ომისათვის უკვე მზად იყვნენ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ უეცრად მიიტაცებდნენ სასურველ რაიონებს". [4] სახელმწიფოს უსაფრთხოების კუთხით პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების გადაწყვეტილებები იმდენად აცდენილი იყო სახელმწიფოებრივ მიზნებსა და მისწრაფებებს, რომ საბოლოოდ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ კრახი განიცადა-საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩაჩხიანი ა. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი, 2007
2. ვადაჭკორია შ. სომხურ-ქართული ურთიერთობა და 1918-1919 წლების სამხედრო დაპირისპირების მიზეზები. თბილისი, 2008;
3. კვინიტაძე გ. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. თბილისი, 1998;
4. კვინიტაძე გ. ჩემი მოგონებები. ნაწილი I და II. თბილისი, 2014;
5. თევზაძე ვ. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბილისი, 1990;

Georgian Technical University, Business Technologies Faculty Department of Public Administration and Electronic Business

Mirza Bezhanidze (Doctorate)

Safety offences commited by Georgian armed forces end their results in Georgian-Armenian war, in 1918-1919.

Summary

In 1918, May 26 in order to military-political situation, after the collapse of transcaucasian federation it had been caused to form the independent countries as: Georgia, Armenia, Azerbaijan. Instead of forming the united army, Georgian Armed Forces was founded. During Armenian - Georgian war, in the country's political life and Armed Forces there were lots of crucial offences of national safety. Nowadays some of them are still actual and to study or analyse them is important not only for historiography, but alse for getting a bitter experience.

Keywords: Safety: Armed forces; Military subdivision; People's guard; Military actions; batlle; war.

Грузинский технический университет Факультет бизнес технологий Кафедра государственного управления и электронного бизнеса

Мирза Бежанидзе (докторант)

Нарушения безопасности и последствия вооруженных сил Грузии в войне между Арменией и Грузией в 1918-1919 гг.

Резюме

В связи с военно-политическими событиями 26 мая 1918 года после распада Закавказской федерации последовало создание независимых государств Грузии, Армении и Азербайджана. В результате создание объединенной армии было исключено из повестки дня и были сформированы Вооруженные силы Грузии. Во время Армяно-Грузинской войны, в военно-политической сфере Грузии была допущена не одна грубая ошибка, угрожающая Национальной безопасности Грузии. Некоторые из них актуальны и в настоящее время, поэтому изучение данной тематики важна не только для историографии, но и для учета горького опыта.

Ключевые слова: Безопасность; Вооруженные силы; Военные подразделения; Народная гвардия; Боевые действия; Бой, Война.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების
სამაგისტრო პროგრამა

ოთარ სომხიშვილი

ლობიზმის როლი სადაზვერვო საქმიანობაში

სადაზვერვო საქმიანობა სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მის ძირითად პრინციპს, მძლავრი საინფორმაციო აპარატის შექმნა და დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს ირგვლივ, მასშტაბური ინფორმაციის შეკრება წარმოადგენს. ლობიზმს გააჩნია სადაზვერვო ხასიათი და მისი გამოყენება შესაძლებელია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების, კორპორაციული სექტორის საფარქვეშ. სადაზვერვო ლობიზმისთვის მოწყვლად სექტორებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სექტორები წარმოადგენენ. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამორიცხვა შესაძლებელია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სექტორების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მყარი კოორდინირებული ქმედებებით.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, კონტრდაზვერვა, კორპორაციული ჯაშუშობა, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი

საერთაშორისო ურთიერთობებში, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო დაზიანებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ინტერესების წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენებოდა და გამოიყენება სადაზვერვო საქმიანობა. იგი სახელმწიფოს უსაფრთხო მმართველობის ორგანიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ საქმიანობით საერთაშორისო პოლიტიკასა და სხვა სივრცეებში მოქმედი პირების შესაძლებლობების, განზრახვებისა თუ ქმედებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და შეფასებაა შესაძლებელი.

სადაზვერვო საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის როლის, სახელმწიფოს შიგნით სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. ამის ნათელი მაგალითია, ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ ორგანიზებული რეფორმა, რომელიც მსტოვართა მძლავრი აპარატის შექმნა-მოღვაწეობას ისახავდა მიზნად. მასშტაბური და მყარი საინფორმაციო ქსელის შექმნით, მტრულად განწყობილი ობიექტების შესახებ სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის ხელში ჩაგდებით დავით აღმაშენებელმა, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო ანგარიშგასაწევი სახელმწიფოს იმიჯით აღჭურვა, რაც ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა.

სადაზვერვო საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენასა და შეღწევადობის მოპოვებაზე. შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების შესანიღბვად, მაღალი საიდუმლოების ქვეშ საქმიანობის ორგანიზებისათვის, სახელმწიფოებმა მრავალი ტექნოლოგია შეიმუშავეს.

თანამედროვე ეტაპზე, სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის ორგანიზების ერთ-ერთ ხელშემწყობ მიმართულებად ლობიზმი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობებში უკუაგდო ხისტი ძალის გამოყენების საშუალებები და უპირატესობა რბილი ძალის გამოყენების პოლიტიკისაკენ მიმართა, რის შედეგადაც განსაკუთრებით გართულდა საფრთხეებისადმი სახელმწიფოთა ბრძოლისუნარიანობა. მას გააჩნია გარკვეული მსგავსება და თავსებადობა დაზვერვის ოთხივე მიმართულებასთან, (პოლიტიკური, ეკონომიკური, სახმედრო, სამეცნიერო) რომელიც კომბინირებულად შეიძლება იქნეს გამოყენებული სახელმწიფოს დასაზიანებლად.

სადაზვერვო ხასიათის ლობიზმით შესაძლებელია კორუფციის, მონოპოლიის, ბაზარზე არსებული ავანტიურისტული გარიგებების, ფულადი მაქინაციებისა და სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებელი სხვადასხვა ქმედებების წახალისება, რაც ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელ ზემოქმედებას იწვევს.

ტერმინ „ლობიზმის“ წარმოშობა დაკავშირებულია ინგლისურ სიტყვასთან „LOBBY”, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფო მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედებას, რაც მოსაზრებას, მისი სადაზვერვო მიზნებით გამოყენების შესახებ, კიდევ უფრო ამყარებს.

ლობიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ მისი როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში, რადგან უკიდურესად უკონტროლო ლობირება საფრთხის შემცველია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, შესაბამისად მისი დარეგულირება ყველა სახელმწიფოში ინდივიდუალურია, რომელიც საკანონმდებლო დონეზეა აყვანილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომელიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფკავშირებისა თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს.

II მსოფლიო ომის შემდეგ 1946 წელს აშშ-ში ამოქმედდა ლობიზმის ფედერალური რეგულირების კანონი (Federal Regulation of Lobbying Act), მასში პირველად განისაზღვრა ლობისტის ცნება. „ლობისტი არის ადამიანი, რომელიც თავად ან აგენტებისა და დაქირავებული პირების მეშვეობით, პირდაპირ ან ირიბად, დაკავებულია საჩუქრებისა და შემოწირულობების შეგროვებით, რომლებიც შემდეგ გამოიყენება გავლენის მოსახდენად აშშ-ის კონგრესის საკანონმდებლო პროცესზე“. ამ კანონის თანახმად, ლობისტს ევალებოდა დარეგისტრირება და მოხსენება კონგრესისთვის 500 დოლარზე მეტი ღირებულების შემოწირულობის გადაცემის შესახებ, რაც დროის მცირე მონაკვეთში კარგი საშუალება გახდა ლობიზმის კონტროლისა. თუმცა 1954 წელს საკანონმდებლო ცვლილებებმა შეამცირა კანონის მოქმედების არეალი. კონგრესის წევრებს მიეცათ ლობირების უფლება, თუ ამაში ისინი საკუთარ სახსრებს დახარჯავდნენ. ამასთან ლობისტების ჯგუფიდან გაქრა ის მოძრაობები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის შექმნით იყვნენ დაკავებულნი. ამ პროცესით მნიშვნელოვნად შემცირდა კანონის ეფექტურობის ხარისხი. სახელმწიფოების მხრიდან ლობიზმის სადაზვერვო ხასიათის გამოსარიცხად აქტიური საკანონმდებლო ორგანიზების მიუხედავად მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა დღემდე ვერ მოხერხდა.(ქოიავა, 08/02/2018)

1995 წლამდე აშშ-ის მაღალჩინოსნები ხშირად ეხვეოდნენ კორუფციულ სკანდალებში, რამაც ქვეყანა აიძულა ლობისტური საქმიანობის გამჟღავნების კანონი (Lobbying Disclosure Act) მიეღო, „კანონი ლობისტად მოიხსენიებდა ყველას, ვინც სამი თვის განმავლობაში იღებდა 2500 დოლარს ლობისტური საქმიანობისთვის და მას უთმობდა საკუთარი დროის 20%-ს.“ ამ კანონის ზემოქმედების არასაკმარისობაზე მიანიშნებს 2007 წელს მისი კიდევ ერთხელ გამკაცრება, როდესაც მიიღეს კანონი სამართლიანი ლიდერობისა და ღია ხელისუფლების შესახებ (Honest Leadership and Open Government Act). გამკაცრებით შესაძლებელი ხდებოდა მყარი კონტროლი დაწესებულიყო ლობისტურ კომპანიებზე, კონგრესის წევრებსა და სახელწიფო მოხელეებზე. კანონში გაწერილი იყო, რომ „სენატორებს, რომლებიც დატოვებდნენ თანამდებობას, ლობისტური საქმიანობის დაწყება ორი წლით ეკრძალებოდათ. ლობისტებს აეკრძალათ კონგრესმენებისთვის საჩუქრის გადაცემა, რაც კანონმდებელთა ეთიკის ნორმებს არღვევდა.“გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი, რბილი ძალის პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ეფექტურ საშუალებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. (ქოიავა, 08/02/2018)

ეროვნულ უსაფრთხოებაში, სადაზვერვო ხასიათის ნიშნების შემცველი ლობიზმის როლზე წარმოდგენის გასაღრმავებლად, მიმოვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

2013 წლის თებერვალში 950 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო კონტრაქტი მოიგო ბრაზილიურმა კომპანია „Embraer“-მა და მისმა ამერიკულმა პარტნიორმა „Sierra Nevada Corp.“-მა. მათ კონკურენციას უწევდა ამერიკული კორპორაცია „Beechcraft.“ ბრაზილიური კომპანიის გამარჯვება

განაპირობა ლობისტების საქმიანობამ, რომლებმაც კონგრესმენები ბრაზილიური პროდუქციის უპირატესობაში დაარწმუნეს. (ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბროთ შემდეგ ვერსიებზე: 1. მაღალი ალბათობით აშშ-ს აწყობდა მოვლენების ასე განვითარება 2. ბრაზილიურმა დაზვერვამ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ დახმარება გაუწია საკუთარ კომპანიას). ამავე მიმართულებით საყურადღებოა კანონპროექტის „SOAP" ჩავარდნის ორგნიზებული პროცესი, რომელიც ინტერნეტში მეკობრეობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ინტერნეტ კომპანიების ლობისტებმა შეძლეს დაერწმუნებინათ კანონმდებლები, რომ ამ კანონის მიღება ინტერნეტში ცენზურას შეუწყობდა ხელს, მიუხედავად იმისა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ მეკობრეობა ეკონომიკური ხასიათის ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. (ქოიავა, 08/02/2018)

მოყვანილი მაგალითების ერთობილობა მიანიშნებს ლობიზმის, როგორც კორპორაციული დაზვერვისათვის გამოყენებად მნიშვნელოვან მიმართულებაზე. სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების აქტიური მონაწილეობით კომპანიებს აქვს შესაძლებლობა, დაუმსახურებლად მიაღწიონ მაღალი ღირებულების მქონე კონტრაქტების გაფორმებას, ამ პროცესში კი ჯაშუშობის როლი მნიშვნელოვანია.

2018 წელს ვაშინგტონში ლობისტი ჯაშუშის გამოავლინეს, როდესაც დააკავეს ეთნიკურად რუსი, 29 წლის მარია ბუტინა. მას აშშ-ის სპეცსამსახურები რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ მუშაობაში სდებდნენ ბრალს. მათი მტკიცებით ბუტინა 2015 -2017 წლებში რუს მაღალჩინოსნებს აწვდიდა სხვადასხვა სახის სადაზვერვო ინფორმაციას. გარდა ამისა, იგი საზოგადოებრივი მოძრაობა „იარაღის უფლების" წევრი იყო, რისი მეშვეობითაც რუსეთის ფედერაციის ინტერესების შესაბამისად, ურთიერთობას ამყარებდა ამერიკის შეერთებული შტატების იმ მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეეძლოთ აშშ-ის პოლიტიკაზე გავლენა მოეხდინათ. საგამოძიებო საქმის მასალებიდან გამომდინარე, ბუტინამ არ შეატყობინა აშშ-ის ხელისუფლებას, ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციის ინტერესებს ლობირებდა. მაღალი ალბათობით სახეზე იყო ეკონომიკური და სამხედრო სადაზვერვო საქმიანობის ნიშნები.

საქართველოს მიდგომა ლობიზმის საკანონმდებლო დარეგულირების შესახებ, საქართველოს პარლამენტის მიერ პირველად ძალაში შევიდა და დამტკიცდა 1998 წელს, რომელშიც ცვლილებების შეტანა ხუთჯერ განხორციელდა (ერთხელ მიხეილ სააკაშვილის, ხოლო, ოთხჯერ - გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის დროს). დღევანდელი კონსოლიდირებული ვერსია არეგულირებს კანონის მოქმედების სფეროს, ლობისტად რეგისტრაციის წესებსა და უფლებას, ლობისტის სამართლებლივი მდგომარეობის შეწყვეტა-ჩამორთმევას, ლობისტის უფლება-მოვალეობებს, მათ ანგარიშგებასა და საქმიანობის საჯაროობას. ასევე სხვა სამართლებლივ ნორმატიულ აქტებს.

საქართველოს კანონში, „ლობისტური საქმიანობის შესახებ", განმარტებულია რომ, „ლობისტურ საქმიანობად ითვლება საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად დარეგისტრირებული პირის ანუ ლობისტის ისეთი ზემოქმედება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით." ლობისტად დარეგისტრირების უფლება აქვს საქართველოს ნებისმერ ქმედითუნარიან მოქალაქეს. საქართველოს კანონმდებლობით, ლობისტად დარეგისტრირება და ლობისტური საქმიანობა საკმაოდ მარტივ ფენომენს წარმოადგენს, საკმარისია სულ რამოდენიმე დოკუმენტის (განცხადება ლობისტად დარეგისტირირების შესახებ, საქართველოს პირადობის მოწმობა, ცნობა ნასამართლეობის შესახებ) წარდგენა, რომ საქართველოს წარმომადგენლობითმა ორგანოებმა (საქართველოს პარლამენტი, ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭო, ადგილობრივი თვიმმართველობის წამომადგენლობითი ორგანო) განიხილონ ლობისტად დარეგისტირირების საკითხი. რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ლობისტს ეძლევა ისეთი სამართლებლივი უფლებები როგორებიცაა: წარმომადგენლობითი ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში შესვლის და გადაადგილების უფლება, ნორმატიული აქტის პროექტის განხილვაში მონაწილეობის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება. ყოველივე კი სადაზვერვო შეღწევადობის პირობებში ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს. რაც შეეხება ლობისტის მოვალეობებს, მისი უფლებებისგან განსხვავებით, ეს არც ისე დიდი ნუსხაა , რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს.

მუხლი 13. ლობისტის ანგარიშგება

1. ლობისტი ვალდებულია რეგისტრაციის დღიდან არა უგვიანეს ყოველი მომდევნო თვის პირველიდან ათ რიცხვამდე, აგრეთვე ლობისტის სამართლებრივი მდგომარეობის შეწყვეტის დღიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში წარადგინოს ანგარიში, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) დავალებით გათვალისწინებული მიზნებისათვის მისთვის გადაცემული ფულადი თანხების, სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობების შესახებ, ფულადი თანხის ოდენობის, სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობის სახეობის, მათი გადაცემის თარიღისა და პირობების, აგრეთვე გადამცემი პირის მითითებით;

ბ) ლობისტის მიერ დავალების შესასრულებლად გაწეული ხარჯების შესახებ, მათი გაწევის მიზნის, თარიღისა და პირობების მითითებით.

2. ანგარიშს უნდა დაერთოს იმ დოკუმენტების ოფიციალური ასლები, რომლებიც ადასტურებს ანგარიშში მითითებულ მონაცემებს.

3. ანგარიშში შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე პერიოდის მონაცემები.

4. ანგარიში წარედგინება იმ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომელმაც მოახდინა პირის ლობისტად რეგისტრაცია, და ინახება, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ბოლო ანგარიშის წარდგენის დღიდან 2 წლის განმავლობაში

წყარო : საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, 30/09/1998/

მიუხედავად იმისა რომ ლობისტური საქმიანობა საჯარო და გამჭვირვალეა, რომლის შესახებაც ინფორმაციის მიღების უფლება ნებისმერ მოქალაქეს აქვს, მაინც არსებობს მაღალი რისკები და საფრთხეები საქართველოში ლობიზმის ეფექტური რეგულირებისა და საქართველოს კანონმდებლობის ქმედითუნარიან მუშაობასთან დაკავშირებით. ლობიზმის არაფექტური დარეგულირების ქართულ მიდგომაზე მეტყველებს, უცხოური კომპანიების მხრიდან ეროვნულ ბაზარზე სადაზვერვო ხასიათის ნიშნების მქონე შეღწევადობის პროცესის სისტემურობა. მაგალითად ჩინური კომპანია „კოპრი-სინოჰიდრო" რომელიც მონაწილეობას ღებულობს ისეთი სტრატეგიული ობიექტის მშენებლობაში, როგორიცაა საქართველოს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი. „სინოჰიდრო-მ" დაბალი ფასების საშუალებით შეძლო ტენდერის მოგება, რითაც სახელმწიფომ შეამცირა ხარჯები, თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ ამავე კომპანიამ უხარისხოდ აწარმოა სამშენებლო სამუშაოები ყირგიზეთში ბიშკეკი-ნარინი-ტორუგარის გზის მშენებლობისას, რის გამოც 2,2 მილიონი დოლარით დაჯარიმდა. მაღალი ალბათობით სახეზე გვაქვს კორპორაციული ჯაშუშობის ნიშნების შემცველი ეფექტური ლობირების კვალი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფაქტების ერთობლიობა მიგვანიშნებს ლობიზმის როგორც

დადებით, ასევე უარყოფით მხარეზე, რომლის დარეგულირებაც ეროვნული უსაფრთხოების დონეზე უნდა იყოს აყვანილი. ლობისტური საქმიანობა, ეს არის კარგი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სასურველი სახელმწიფოებრივი ან/და კორპორაციული მიზნების მიღწევა უფრო მარტივად ვიდრე ეს ხდება სხვა შემთხვევებში. გარდა ამისა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ლობიზმის არაეფექტური დარეგულირება და მისი უყურადღებოდ დატოვება საფრთხის შემცველია ეროვნული უსაფრთოხებისთვის, რადგან კერძო ინტერესების წარმატებულ ლობირებას შეიძლება შეეწიროს სახელმწიფოს ინტერესები. შესაბამისად, ლობიზმის დაურეგულირებელობით შექმნილი უარყოფითი ეფექტი საფრთხეს წარმოადგენს, ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოებისთვის. საბოლოოდ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ლობიზმის კონტროლი დარეგულირების გზით დადებითად აისახება ეროვნული ინტერესებზე, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ. თუმცა აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ლობიზმის დაურეგულირებლობამ გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიაყენოს ქვეყანას.

ნაშრომის შედეგები :

- სადაზვერვო საქმიანობა აქტიურად გამოიყენება სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებში.
- სადაზვერვო სამსახურების წარმატებული საქმიანობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სიძლიერეს.
- საქმიანობის ძირითად პრინციპს მძლავრი საინფორმაციო აპარატის შექმნა და დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარების ინფორმაციის შეკრება წარმოადგენს.
- ლობიზმს შესაძლოა გააჩნდეს სადაზვერვო ხასიათი და მისი გამოყენება შესაძლებელია ორგანაიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების საფარქვეშ.
- სადაზვერვო ლობიზმის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური, ეკონომიკური, სმაეცნიერო და სამხედრო თვალსაზრისით.
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამორიცხვა შესაძლებელი პროცესის კონტროლით და მიღებული ანალიტიკური მონაცემების შედეგად, კანონმდებლობაში სისტემატიური ცვლილებების შეტანით. კონტრსადაზვერო სამსახურის მიერ ოპერატიულ, ანალიტიკურ, აგენტირული მონაცემბის შეგროვებით, მათი ანალიზისა და გამოკვეთილი საფრთხეების პრევენციით. ასევე ანალიტიკურ პროცესში სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მუშაკთა ჩართულობით.
- ლობიზმის გამოყენება შესაძლებელია კორპორაციული ჯაშუშობის ან/და მასთან ერთად სახელმწიფოს სადაზვერვო საქმიანობის პირობებში.

რეკომენდაციები :

- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამოსარიცხად მნიშვნელოვანია შეიზღუდოს ლობისტთა იმ შენობა-ნაგებობებში და შეხვედრებზე შეღწევა, სადაც ინახება, იქმნება საიდუმლო ხასიათის დოკუმენტები ან ნაკეთობები.
- კანონმდებლობით დადგენილი სათანადო რეგისტრაციის გარეშე, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების ლობისტური საქმიანობა, მაღალი ალბათობით შეიძლება შეიცავდეს სადაზვერო ხასიათის ლობირების ნიშნებს.
- კორპორაციული ჯაშუშობის ან სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობის შედეგად ორგანიზებული ლობიზმის გამოსარიცხად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი და უცხოური კომპანიების კეთილსინდისიერება და თავსებადობა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წყარო ; საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, 30/09/1998/, https://matsne.gov.ge/ka/document/view/13552?publication=6;
2. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, თბ.:ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4986;
3. რევაზ ქოიავა, ლობიზმის დაბადება ამერიკის შეერთებულ შტატებში, 08/02/2018. https://1tv.ge /analytics/lobizmi-amerikis-sheertebul-shtatebshi/;
4. მ. ქოიავა, ო.ჯაფარიძე დ.მუსხალიშვილი, რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორია ტომი II გვ. 208. თბილისი 2012. https://www.militarium.org/dazvervis-istoriuli-magalitebi/;
5. მედია ბიზნესისთვის (M2B), „ ყირგიზეთში კოპრი-სინოჰიდრო დააჯარიმეს“, 2018 წელი. https://m2b.ge/post/180894-yirgizetsi-gzis-uxarisxo-mseneblobistvis-kompania-kopri-sinohidro-2-2-mln-it-daajarimes

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's Educational Program in International Relations and International Security

Otar Somkhishvili

The role of lobbyism in intelligence activity

Summary

Intelligence activities are an important part of intergovernmental relations. The essential principle of intelligence is to create powerful informational machinery and gather massive and significant information related to the state. Lobbying is one of the most important patterns of intelligence that can be used under the cover of organized criminal groups or the corporate sector. The most vulnerable fields of intelligence lobbying are political, economic and military sectors. It can be prevented through coordinated actions between the intelligence-counter-intelligence and the legislative and executive authorities.

Keywords: Counter Intelligence, Corporate espionage, Intelligence lobbying.

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности

Отар Сомхишвили

Роль лоббизма в разведывательной деятельности

Резюме

Разведывательная деятельность является важной составляющей международных отношений государств. Основным принципом разведывательной деятельности является создание мощного информационного аппарата и сбор массивной информации вокруг государства, подлежащего разведке. Лобби носит разведывательный характер и может использоваться организованными преступными группами под прикрытием корпоративного сектора. Уязвимыми секторами разведывательного лобби являются политические, экономические и военные секторы. Лоббирование разведывательных данных может быть исключено разведывательными и контрразведывательными структурами при четких согласованных действиях законодательной и исполнительной власти.

Ключевые слова: Контрразведка, Корпоративный шпионаж, Лоббизм разведывательного характера

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ლია ჯამბურია

რუსეთის პოლიტიკა და სადაზვერვო ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

სადაზვერვო საქმიანობა სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სადაზვერვო საქმიანობის ძირითად პრინციპს მძლავრი საინფორმაციო აპარატის შექმნა და დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს ირგვლივ მასშტაბური ინფორმაციის შეკრება წარმოადგენს. რუსეთის ფედერაციისათვის სამხრეთ კავკასიის სამივე სუვერენული სახელმწიფო, სადაზვერვო ზეგავლენისა და და შეღწევადობის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს და დღეის მდგომარეობით, როგორც მართვის მყარ ბერკეტად გამოყენებულია ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება, და ბუფერულ ზონებად ჩამოყალიბებული სეპარატისტული რეჟიმები.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, კონტრდაზვერვა, სადაზვერვო ინტერესები სადაზვერვო ზეგავლენა, კონფლიქტების ინსპირირება

სამხრეთ კავკასია მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე და მასზე გადის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო გზები, რაც მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ძალიან ზრდის. სწორედ ამის გამო იყო და არის იგი მრავალი ქვეყნის, შესაბამისად, მათი სპეცსამსახურების ინტერესთა გადაკვეთის წერტილი. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების კავკასიისადმი განსაკუთრებული დაინტერესების საგანს, გარდა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციისა, რეგიონში არსებული ნავთობის და გაზის რესურსები, მათი მოპოვება და მათზე კონტროლი წარმოადგენს. ამ პროცესებში განსაკუთრებულია რეგიონში ეკონომიკური დომინირებისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების როლი პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით. სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრეობა კასპიის რეგიონთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ირანთან, რადგან ამ ქვეყნებში ნავთობისა და გაზის ძალიან მნიშვნელოვანი მარაგებია, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოს სამხრეთ კავკასიაზე გავლით მიეწოდება.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარეობს 3 სუვერენული სახელმწიფო: აზერბაიჯანი (უმეტესი ნაწილი), საქართველო და სომხეთი, რომლებიც რუსეთის ფედერაციისათვის სადაზვერვო ზეგავლენის ობიექტ სახელმწიფოს წარმოადგენს. შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტით და მექანიზმით ცდილობს აღნიშნულ ქვეყნებზე კონტროლის მოპოვებას. სადაზვერვო ინტერესების აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მიერ უკვე გამოყენებულია ისეთი მეთოდი, როგორიცაა-ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება. ამ მიმართულებით სადაზვერვო კონტროლის შენარჩუნების საფუძველს იძლევა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ინსპირირებული მთიანი ყარაბაღის, ხოლო საქართველოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები. ეს ტერიტორიები გამოყენებულია რა ბუფერულ ზონებად, პოლიტიკური,

ეკონომიკური, სამხედრო ზეგავლენის გავრცელებისათვის, შესაბამისად, ტერიტორიული კონფლიქტები გაყინულ მდგომარეობაში ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის პერსპექტივას ინარჩუნებენ.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა საქართველოში

რუსეთის ფედერაციას საქართველოს მიმართ ყოველთვის საკუთარი მიზნები და ინტერესები გააჩნდა, რომელთა მიღწევას სხვადასხვა სადაზვერვო ხასიათის მეთოდების გამოყენებით ცდილობდა და ახერხებდა. საქართველოზე, არა მარტო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანზე, არამედ ევრაზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზაზე, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო სახელმწიფოზე ზეგავლენა, რუსეთის ფედერაციას ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სარგებლის მიღებისა და რეგიონზე დომინირების მყარ გარანტიებს აძლევს. ამასთან ერთად აღნიშნული ზეგავლენა თავსებადია რუსეთის ფედერაციის უმთავრეს მიზანთან, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნებას ემსახურება.

რუსეთის ფედერაციის საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების იმ აზრთან შეგუება, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღარასოდეს დაუბრუნდება საქართველოს. ამ ფონზე იგი ქმნის ყველა პირობას, თანამედროვე ეტაპზე ოკუპირებული ქართული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან მთლიანად შერწყმის (ანექსიის) თვალსაზრისით. პრაქტიკულად იქმნება შესაძლებლობა ძლიერი სამხედრო პლაცდარმის შესაქმნელად ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონებში, რაც სამხედრო უპირატესობის მოპოვებისა და საქართველოში ნატოს ქვეყნების ჯარების განლაგების საწინააღმდეგოდ ერთგვარი პრევენციაა.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით ხისტ სამხედრო დაპირისპირებასთან ერთად რბილი ძალის ელემენტებსაც შეიცავს,რომელშიც ჭარბობს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა სადაზვერვო პროპაგანდა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა, სამხედრო ოკუპაციის ფონზე პრორუსული განწყობების ფართოდ გავრცელება, რაც ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებას ემსახურება. ამ კონტექსტში გამოსაყენებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად საერთო რელიგიური და კულტურული ფასეულობები გამოიყენება.

სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, რუსეთის ფედერაციის ინტერესებში საქართველოში მმართველობის სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების მოშლა წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ტიპის პრობლემების გაღვივებით მიიღწევა შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შესასუსტებლად.

ეკონომიკური დაზვერვის კუთხით რუსეთის მნიშვნელოვან მიზანს რუსულ ბაზარზე საქართველოს დამოკიდებულების მასშტაბების ეტაპობრივი ზრდა და გააძლიერება წარმოადგენს. ამ კუთხით, ღია წყაროებში არსებულ მონაცემთა ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ 2008 წლამდე და მის შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული (მათ შორის ენერგეტიკული) ობიექტები გადასცა რუსეთის ფედერაციას. დიდი ალბათობით აღნიშნული ფაქტი სადაზვერვო ზეგავლენითა და შეღწევადობით არის მიღწეული.

ვითარების გამოსწორებისათვის, რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ინტერესების საწინააღმდეგოდ აუცილებელია საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების აქტიური და კოორდინირებული საქმიანობა, რაც არა მხოლოდ რეაგირების, არამედ პრევენციის რეჟიმში აქტიურ მოქმედებას გულისხმობს. ამ მიმართულებით წარმატება საქართველოს დეოკუპაციის

და არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების საფუძველი გახდება.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა სომხეთში

სომხეთი რუსეთის ფედერაციისათვის თავისი განსაკუთრებული დადებითი პოზიციით სარგებლობს რეგიონში. იგი, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მასპინძელი, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი სახელმწიფო, რუსეთის ძირითადი დასაყრდენია, რაც ამ სახელმწიფოების სადაზვერვო კოორდინაციაზე უნდა მიანიშნებდეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში სომხეთზე რუსეთის ფედერაციის მიერ, სადაზვერვო ზეგავლენის ორგანიზება მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის ომის ინსპირირებით იქნა განპირობებული. კონფლიქტში უპირატესობის მოსაპოვებლად და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სომხეთი იძულებული გახდა რუსეთის ფედერაცია მიეღო, როგორც უსაფრთხოების მიმწოდებელი სახელმწიფო. ამ დამოკიდებულების გაღრმავება დღის წესრიგში განსაკუთრებით მას შემდეგ დადგა, რაც:

-აზერბაიჯანმა დაიწყო თავდაცვის ხარჯებისა და შესყიდვების მასშტაბური ზრდა;

-გახშირდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები, პარალელურად, სომხეთის დამოკიდებულება რუსეთზე ფართოვდებოდა .

შესაბამისად, რუსეთის ფედერაციამ, სომხეთის ეკონომიკის წამყვან სექტორზე, მათ შორის ეროვნული რკინიგზის ქსელზე, სრული კონტროლის განხორციელება შეძლო. სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, სომხეთმა საკუთარი ენერგოუსაფრთხოება რუსული ბუნებრივი გაზის სუბსიდირებული იმპორტით გაამყარა. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის - როგორც სომხეთის უსაფრთხოების „მფარველის" - მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა და თანდათანობით მიაღწია ფაზას, როდესაც რუსეთი გახდა შეიარაღების ძირითადი მიმწოდებელი კონფლიქტში მოინაწილე ორივე მხარისთვის: რუსეთი აგრძელებდა მნიშვნელოვანი ფასდაკლებით იარაღის მიყიდვას სომხეთისთვის და ამავე დროს უფრო განვითარებულ და უფრო ძვირ შეიარაღების სისტემებს აწვდიდა აზერბაიჯანს. ყოველივე რუსეთის ფედერციის სამხედრო დაზვერვის უპირატესობაზე უნდა მიანიშნებდეს, როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის სამხედრო სადაზვერვო სამსახურებთან მიმართებით.

საბოლოო ჯამში რუსეთის ფედერაციამ მოიპოვა და დღემდე ინარჩუნებს მედიატორის როლს ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებით. მიღწეულია ვითარება, როდესაც ამ კონფლიქტში მედიატორის როლით მონაწილე სახელწიფოებმა საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებული შტატებმა პრაქტიკულად აღიარეს რუსეთის ფედერაციის ძალაუფლება და გავლენა სამხრეთ კავკასიაში. მიღწეულია ვითარება, როდესაც აზერბაიჯანშიც რუსეთის ფედერაცია გადამწყვეტი როლის მქონე მხარედაა აღიარებული აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში.

რუსეთის პოლიტიკა აზერბაიჯანში

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში რუსეთი ეფექტურად იყენებდა ძლიერი ძალის, მათ შორის სადაზვერვო ზემოქმედების უზრუნველმყოფ ინსტრუმენტებს, კასპიის ზღვის სტატუსთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მნიშვნელოვან მიზანს აზერბაიჯანზე კონტროლის შენარჩუნება წარმოადგენდა. მასშტაბური ზეწოლის მიუხედავად, პირველ ეტაპზე აზერბაიჯანის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებამ, ბაქოს

პოლიტიკური ავტონომიურობის მყარი გარანტი შეუქმნა. თანამედროვე პერიოდში პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკის ეკონომიკის, მიგრაციისა და ენერგეტიკის საკითხებში ბაქო რუსეთზეა დამოკიდებული. საუბარია:

1) სამხედრო-პოლიტიკურ სფეროზე, რომელშიც დიდ როლს თამაშობს მთიანი ყარაბაღის საკითხი;

2) ეკონომიკაზე, სადაც რუსეთი აზერბაიჯანული პროდუქტების ყველაზე დიდი მომხმარებელია;

3) მიგრაციის საკითხზე–ის, რომ რუსეთში აზერბაიჯანის მოქალაქეობის მქონე ხუთასი ათასი ადამიანი ცხოვრობს;

4) ენერგეტიკის სფეროზე, რომელშიც რუსეთის ფედერაცია და აზერბაიჯანი ევროპისათვის ენერგომატარებლების მიმწოდებლის როლში გვევლინებიან.

აღნიშნული ვითარების მიღწევა შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანთან მიმართებით, რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ზეგავლენის მოპოვების უზრუნველსაყოფად, ძლიერი ძალის პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებაზე თანდათანობით უარის თქმითა და 2012 წლის შემდეგ რბილი ძალის წარმატებით გამოყენებით. თანამედროვე აზერბაიჯანში რუსული მედია და საგანმანათლებლო პროექტები საკმაოდ მასშტაბურად ხორციელდება იმ ფონზე, როდესაც მცირდება დასავლური საგანმანათლებლო პროგრამები. რუსული საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბურობა აზერბაიჯანის უნივერსიტეტებსა და ქვეყნის რუსულენოვან სკოლებში ბაზრის მოთხოვნითაც არის განპირობებული. შესაბამისად, რუსული საუნივერსიტეტო განათლება აზერბაიჯანელ კურსდამთავრებულებს მოსკოვზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობას ჩამოუყალიბებს, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ საქმეებსა და სამთავრობო წრეებში, ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ პროცესზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის წინაპირობად უნდა იქნას აღქმული.

დასკვნა

- კავკასია რუსეთისათვის დიდ გამოწვევას და, ამასთანავე, სერიოზულ სადაზვერვო ობოექტს წარმოადგენს, რასაც განსაკუთრებით ამძაფრებს მიმდინარე „ცივი ომის" ფონი, სადაც გავლენის სფეროების ახლებური გადანაწილებისათვის იბრძვიან, ერთის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები და, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია. ამ გადანაწილების დროს მთავარი ყურადღება გადატანილია ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე და სხვა;
- სამხრეთ კავკასიაში გასული საუკუნის ბოლოდან დღემდე, სადაზვერვო ინტერესების აღსასრულებლად, რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებულია ისეთი მეთოდი, როგორიცაა ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება.
- საქართველო ენერგომატარებლების მხრივ ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს. ის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების და მათი სპეცსამსახურების ინტერესთა გადაკვეთის წერტილადაა ქცეული. აღნიშნულ პირობებში რუსეთის ფედერაციის უმთავრეს მიზანს მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნება წარმოადგენს და ამის მისაღწევად სამეზობლო, რომელიც რუსეთს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად მიაჩნია, კვლავ უნდა მოექცეს მისი უპირობო გავლენის ქვეშ;
- რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით ხისტ სამხედრო დაპირისპირებასთან ერთად გამოიყენებს რბილი ძალის ისეთ ელემენტს, როგორიცაა სადაზვერვო პროპაგანდა, პრორუსული განწყობების ფართოდ გავრცელებისა და ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერების თვალსაზრისით;

- სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა რუსეთის ფედერაციისთვის სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის მნიშვნელოვანი ობიექტია და, დღევანდელი მდგომარეობით, მართვის მყარ ბერკეტად გამოყენებულია ბუფერულ ზონებად ჩამოყალიბებული სეპარატისტული რეჟიმები;
- რუსეთის ფედერაციას მოპოვებული აქვს და დღემდე ინარჩუნებს მედიატორის როლს ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებით, რაც ამ კონფლიქტის სადაზვერვო ხასიათის მართვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს;

ნაშრომის შედეგები :

- სადაზვერვო საქმიანობა აქტიურად გამოიყენება სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებში;
- სადაზვერვო საქმიანობის ძირითად პრინციპს მძლავრი საინფორმაციო აპარატის შექმნა და დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარების ინფორმაციის შეკრება წარმოადგენს;
- სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა რუსეთის ფედერაციისთვის სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის მნიშვნელოვანი ობიექტია და დღეის მდგომარეობით, მართვის მყარ ბერკეტად გამოყენებულია ბუფერულ ზონებად ჩამოყალიბებული სეპარატისტული რეჟიმები;
- სადაზვერვო ინტერესების აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ კავკასიაში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა ჩრდულო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით ხისტ სამხედრო დაპირისპირებასთან ერთად რბილი ძალის ელემენტებსაც შეიცავს,რომელშიც ჭარბობს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა სადაზვერვო პროპაგანდა.

რეკომენდაციები:

- რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ინტერესების საწინააღმდეგოდ აუცილებელია საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების აქტიური და კოორდინირებული საქმიანობა, რაც არა მხოლოდ რეაგირების, არამედ პრევენციის რეჟიმში აქტიურ მოქმედებას გულისხმობს;

- რეგიონში არესებული კონფლიქტებისა და ოკუპაციის პირობებში აუცილებელია აღნიშნულმა ქვეყნებმა მაქსიმალურად შეამცირონ რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულება, გააძლიერონ დეოკრატიული ინსტიტუტები და განავითარონ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებები.

ლიტერატურა:

1. ნ.ლეჟავა, „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“ თბილისი 2014წ.;

2 ე.ლაზარაშვილი, „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, 2014წ;

3. სომხეთ-რუსეთის ურთიერთობები შემცირებული სარგებელი. https://ge.boell.org/ka/2017/10/16/somxet-rusetis-urtiertobebi-shemcirebuli-sargebeli ;

4. ორ არჩევანს შორის: რუსეთის რბილ ძალასთან დაკავშირებული რაელობა https://ge.boell.org/ka/2017/10/17/or-archevans-shoris-rusetis-rbil-zalastan-dakavshirebuli-realoba;

5. რონდელის ბლოგი: რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა. https://www.gfsis.org/ge/blog/view/781;

6. აინურ რამაზანოვა, "რუსულ ენაზე მიღებული ცოდნა აზერბაიჯანში", ბლოგი კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის საიტზე, 2014წ. აპრილი. http://crrc-caucasus.blogspot. com/2014/04/knowledge-of- russian-in-azerbaijan.html

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's Educational Program in International Relations and International Security

Lia jamburia

Russian policy and intelligence interests in the South Caucasus

Summary

Intelligence activities, the state of international relations is an important component of intelligence activities, the basic principles of powerful information apparatus of creating intelligence and the subordinate states around large-scale information Russian Federation for all three South Caucasus sovereign state intelligence impacts and penetration of the important objects of and Nowadays, as driving on the hard lever is used as the ethnic and religious character of the conflict incited and buffer zones formed separatist

Keywords: Intelligence, Counter Intelligence, Intelligence interests, Intelligence Segalen, Conflicts incited

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности

Лиа Джамбурия

Российская политика и Разведывательные интересы на Южном Кавказе

Резюме

Разведывательная деятельность является важной составляющей международных отношений государств. Основным принципом разведывательной деятельности является создание мощного информационного аппарата и сбор массивной информации вокруг государства, подлежащего разведке. Все три суверенных государства Южного Кавказа являются значительным объектом влияния и проникновения разведки, и сегодня, как движущая сила, она используется для стимулирования этнических и религиозных конфликтов и сепаратистских режимов, образующих буферные зоны.

Ключевые слова: Разведка, Контрразведка, Разведывательные интересы, Разведывательные воздействие, Инспирирование конфликтов

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

შოთა შანშიაშვილი

საქართველო როგორც სატრანზიტო დერეფანი ტერორისტებისათვის

ტერორიზმი მრავალია ათწლეულია რაც კაცობრიობას ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, მას აქვს წარმოშობის იდიოლოგიური, მენტალური და მიზეზშედეგობრივი საფუძვლები ,"პოლიტიკური მიზნების ძალადობრივი გზით შესრულება" ეს არის ტერორიზმის ერთ ერთი ცნობილი განმარტება, გლობალიზაციისა და თანამედროვეობასთან ერთად ტერორიზმიც ადაპტირდა თანამედროვე ეპოქასთან და დღეს დღეობით არსებობს საერთაშორისო ტერორიზმი, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, საქართველო გამომდინარე საკუთარი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან წარმოაგენს რა ევრაზიის დერეფანს მიმზიდველი და სტრატეგიული ადგილია საერთაშორისო ტერორიზმისათვის, კონრეტულად კი ჩრდილო კავკასიური ისლამური ჯიჰადი ვაჰაბისტებისათვის, რომლებიც განიხილავენ ჩვენს ქვეყანას როგორც სატრანზიტო პლაცდარმს.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, კონტრტერორიზმი, ეროვნული უსაფრთხოება, სტრატეგიული დაზვერვა

საკუთარი გეოგრაფიული და სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველო, როგორც შავი ზღვის აუზის სახელმწიფო, ევრაზიის დერეფნისა და სამხრეთ კავკასიის პლაცდარმის ფუნქციას ასრულებს. წარმოადგენს რა გეოპოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროს იგი, მიმზიდველია, როგორც უმსხვილესი საერთაშორისო აქტორებისათვის, ისე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისათვის. საქართველოს სახელმწიფოს სატრანზიტო გზის გამოყენების თვალსაზრისით ტერორისტულ ორგანიზაციების წევრებს ევროპაში გადაადგილების ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ. საქართველოს ტერორისტული ხასიათის სატრანზიტო დერეფნად გამოყენების საფრთხე გაზრდილია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოები ტერორიზმს სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად გამოიყენებენ, არსებობს ისეთი საფრთხის მაღალი ალბათობა საქართველოსთან მიმართებაში, როგორიცაა სახელმწიფოს, როგორც სადაზვერვო ხასიათის სატრანზიტო დერეფნად გამოყენება, რაც ეროვნული უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამ მიმართულებით ყველაზე ხელსაყრელი ვითარება საქართველოსთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციას აქვს შექმნილი, მათ შორის საქართველოს კუთვნილი და სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული ბუფერული ზონები აფხაზეთითა და ცხინვალის რეგიონით. ბოლო წლებში განვითარებული პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული საფრთხის გაღვივების ალბათობა არსებობს სამხრეთ საზღართან მტრულ სახელმწიფოს მომიჯნავედ განთავსებულ პანკისის ხეობაში. ჩრდილო კავკასიური საამირო სკუთარი ვილაიეთებით, 19-ე საუკუნეში წარმოშობილი და დღეის მდგომარეობით მოქმედი ულტრაკონსერვატული სუნიტური ისლამური მიმდინარეობა-ჩრდილო კავკასიური ვაჰაბიზმი რეგიონში ტერორიზმის გაღვივება-გავრცელების, მის საქართველოს სატრანზიტო დერეფნად გამოყენების ალბათობას კიდევ უფრო ზრდის.

ბოლო პერიოდში ისლამური სახელმწიფოს (დაეშის) შექმნის ამ ორგანიზაციის აღზევების შემდგომ, სირიის სამოქალაქო ომში პანკისელმა ვაჰაბიტმა მებრძოლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საომარ მოქმედებებში. საყურადღებოა საომარი ზონის მებრძოლებით აღჭურვის მარშრუტი. პანკისელი ვაჰაბიტების რეკრუტირება და გადინება სირიაში ჩრდილო კავკასიიდან დაღესტნის

საზვრიდან ხორციელდებოდა, რაც რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ინტერესების შესაბამის ქმედებად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების მხრიდან პანკისის ხეობის სადაზვერვო მიზნებით გამოყენების მაღალ ალბათობაზე მიანიშნებს დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენები.გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩეჩნეთში განხორციელებული საომარი მოქმედებების გამო პანკისის ხეობას ბევრმა ჩეჩენმა საველე მეთაურმა შეაფარა თავი, და ხეობა პრაქტიკულად იქცა ნარკოვაჭრობის, ტრეფიკინგის ბუდეთ, რაც საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, შესაბამისად სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯზე დამაზიანებლად მოქმედებდა. ამ პერიოდისათვის, საქართველო, მისი სპეცსამსახური, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელ სახელმწფოთა თანამეგობრობის (დსთ), შესაბამისად ანტიტერორისტული ერთობლივი რეგიონალური უწყებათაშორისი ცენტრის (ატც) წევრი იყო.

ღია წყაროებში განთავსებული ინფორმაციების ანალიზის შედეგად, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოების, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების დახმარებით, 2001 წლიდან პანკისის ხეობაში ჩაატარებული ანტიტერორისტული ოპერაციების შედეგად ხეობა წელიწად ნახევარში, 2002 წლისათვის მთლიანად გაიწმინდა ჩრდილო კავკსიელი საველე მეთაურების მიერ კონტროლირებადი ფორმირებებისაგან, შესაძლებელი გახდა ნარკოვაჭრობის, ტრეფიკინგის და ისლამური ვაჰაბიტური ჯიჰადის აღკვეთა

ტერორიზმის ექსპორტის ნიშნების შემცველ პროცესად უნდა მივიჩნიოთ, 2017 წლის ნოემბრში, თბილისში ბერი სალოსის ქუჩაზე ახმედ ჩატაევის დაჯგუფების შემოღწევა და დაბინავება. ღია წყაროებში არსებული მასალების ანალიზით, ახმედ ჩატაევის დაჯგუფება საქართველოში ე.წ „მწვანე საზღვრიდან“ შემოვიდა, ხოლო მათ მიერ გამოსაყენებელი საბრძოლო მასალა კახეთის მაღალმთიან ლოკაციებში ინახებოდა. ქართულმა სპეცსამსახურებმა კონკრეტულად კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აღნიშნული ჯგუფის წინააღმდეგ წარმატებით გაართვა თავი კონტრტერორისტულ ოპერაციას, რითაც ჩაშალა ევროპაში ამ ჯგუფის გადაადგილებისა და ტერაქტების ორგანიზების გეგმა. ზოგადად ანტი ტერორისტული ოპერაციის შესრულება მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში უმსხვრპლოდ ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ბერი სალოსის ქუჩაზე კონტ ტერორისტული სპეციალური ოპერაციის შედეგად მჭიდროდ დაახლებულ ლოკაციაში დროის მაქსიმალური გაჭიმვით (22 სთ) სახელწმიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისმა ოპერატიულმა დანაყოფებმა შეძლეს ტერორისტული დაჯგუფების განეიტრალება ისე რომ არც ერთ მშვიდობიანი მოქალაქე ჩვენი ქვეყნის არათუ არ დაღუპულა არც კი დაშავებულა, სამწუხაროდ მსხვერპლი იყო სპეც დანიშნულების რაზმიდან რომლის წევრი ვანო გოლაშვილიც დაიღუპა ორმხრივი სროლების დროს, საბოლოო ჯამში ვფიქრობ, რომ აღკვეთილ იქნა საკმაო კარგად ორგანიზებული სატრანზიტო ტერორისტული აქტის მცდელობა

აგრეთვე ყურადსაღებია ტერორიზმის მიმართულებით კიდევ ერთი საფრთხე და ეს საფრთხე მომდინარეობს ე.წ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული მდგომარეობა და იქ მოქმედი კრემლის მარიონეტული რეჟიმები როემლთან მართვაც ხორციელდება რუსეთის სპეც სამსახურების მეშვეობით რათქმაუნდა აჩენს დამატებით საფრთხეებს, გასული წლების განმავლობაში ჩვენ მოწმენი გავხდით რამოდენიმე ტერორისტული აქტის განხორციელების ჩვენს ტერიტორიაზე, ასევე რამდენიმე ტერაქტის მცდელობისა მკაფიო მაგალითი იყო ე.წ სპეცოპერაცია „ენვერი“ რომელიც მაშინდლი ხელისუფლების უსაფრთხოების სამსახურებმა ჩაატარეს, სპეც ოპერაციის ოპერატიული დაგეგმარების დონეზე რომ არ ვისაუბროდ იყო სხვა დამატებითი პასუხ გაუცემელი ბევრი კითხვა ეს კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2012 წლის შემდგომ ქვეყანაში არ განხორციელებულა არც ერთი ტერორისტული აქტი, ტერაქტის მცდელობაც კი, რაც უდაოდ მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მაღალი ხარისხით დაცულობაზე.

ე.წ „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში ხელოვნურად ინსპირირებუული ეთნიკური რელიგიური სეპარატიზმის გაღვივების და დესტაბილიზაციური ვითარების ხელშემწყობ პირობად შეიძლება იქცეს პანკისის ხეობაში მადესტაბილიზირებელი პროცესების ორგანიზება. ამ კუთხით გამორჩეულია, 2019 წელის მაისში 500-მდე კომლით დასახლებულ, სოფელ ბირკიანში განვითარებული მოვლენები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ორგანიზების კუთხით აუცილებელი ჰესის მშენებლობის პროცესს დაუპირისპირდა და ძალადობრივი ქმედებები განახორციელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცდანიშნულების ძალების მიმართ, რომელიც ხეობაში მართლწესრიგის დასაცავად იყო მობილიზებული. ამ დაპირისპირებაში ჩანდა ვითარების ხელოვნურად ესკალაციის ნიშნები. სოფლის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ვითარების პოტენციურად კიდევ უფრო დაძაბვის პერსპექტივის შემთხვევაში არსებობდა, ადგილობრივი მოსახლეობის „ინტერესების დასაცავად” ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან, ასევე სხვა კავკასური საამიროს ვილაიათების მხრიდან ადგილობრივი ვაჰაბიტი ქისტების დასაცავად სამხედრო აგრესისის შესაძლებლობა, რაც ტერიტორიული მთლიანობის რღვევით შეიძლება დასრულებულიყო.

ვითარება რეალურად პირველი ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივინის ჩასვლის შემდგომ განიმუხტა, ადგილზე გამართული მოლაპარაკებებისა და კომპრომისის დაშვების შედეგად ბირკიანის მოსახლეობამ უკან დაიხია, ე.წ ცხელი წერტლი ჩაქრა თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში პანკისის ხეობიდან საფრთხეები რჩება, მთავარია, რომ მოხდეს წინმსწრები და პრევენტული მუშაობა რათა ასიმეტრიულის ნაცვლად სიმეტრიული საფრთხის ანალიზი მოხდეს, პარალელურად გატარდეს წინმსწრები და პრევენტული ღონისძიებები რისი დეფიციტიც ბირკიანის შემთხვევაში აშკარად იყო, სწორედ ამან გამოიწვია ვითარების ესკალაცია მსგავსი პროცესი შესაძლოა დასრულდეს ქვეყნის ტერიტორიების რღვევით და კონსტიტუციური წესწყობილების მოშლით აღნიშნული ხდება ე.წ ხელოვნურად ინსპირირებული მართული სეპარატიზმით

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები განსაკუთრებით კი წამყვანი საერთაშორისო აქტორების სადაზვერვო სამსახურები სკუთარი გავლენის სფეროდ მიჩნეულ პატარა ქვეყნებში სადაზვერვო მიმართულებით აქტიურად იყენებენ, როგორც ეთნიკურ, რელიგიურ ხელოვნურ დაპირისპირებას ასევე უკიდურეს შემთხვევაში კი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ხელოვნურად ინსპირირებულ დაპირისპირებას, მაგალითად როდესაც რეგიონალური ხელისუფლება არ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას ამის მკაფიო მაგალითი იყო 2004 წლის აჭარის მოვლენები, ჩვენთან როდესაც რეგიონი ფაქტობრივად გავიდა ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციიდან იყო მცდელობა რეგიონის ე.წ სეპარატიზაციის, სწორედ მსგავსი საფრთხის წინაშე შესაძლოა აღმოჩნდეს პანკისის ხეობაც ამიტომ აქ განსაკუთრებული სიფრთხილე და ვითარების წინმსწრები პრევენტული მართვაა საჭირო

აღნიშული პროცესის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი შეიცავდა ე.წ ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან ისეთ ელემენტებს, როგორიცაა დაპირისპირების ესკალაცია რელიგიური და ეთნიკური ნიშნით.

ტერორისტული საფრთხეების თვალსაზრისით, განსაკუთებით სახიფათოა ვითარება უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. იქ მოქმედი კრემლის სპეცსამსახურების მართვას დაქვემდებარებული, მარიონეტულ-სეპარატისტული რეეჟიმების გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ შესაძლებელია ტერორისტული ორგანიზების კუთხით. ამ ტერიტორიებზე პრობლემად და რეალურ გამოწვევად რჩება ე.წ ტრეფიკინგი, განსაკუთრებით კი ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში, სადაც ე.წ კონფლიქტის ბუფერული ზონის საზღვრებიდან ხდება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, გატაცება, დაპატიმრება, ლიკვიდაცია (არჩილ ტატურაშვილის გატაცება-მკვლელობა). ცხინვალის რეგიონის მსგავსად, გალის რაიონიც ბუფერული

ზონას წარმოადგენს ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოს ხელისუფლების კონტროლილერებად ტერიტორიას შორის (გიგა ოთხოზორიას მკვლელობა).

განხილული პროცესების ფონზე საყურადღებოა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშიდან ამონარიდი, რომლის მიხედვითაც, 2018 წლის გამმავლობაში აღკვეთილ იქნა ჰიბრდული ომის ფარგლებში რამდენიმე კომპლექსური ღონისძიება, მათ შორის: რელიგიური და ეთნიკური ხასიათის ხელოვნურად ინსპირირებული დაპირისპირება, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების ან/და ტერორისტული ორგანიზაციის დაინტერესებაზე მეტყველებს.

სამომავლო თვალსაზრისით მოკლე ანალიზით ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა თვისობრივად რაიმე განსხვავებული საფრთხეების წინაშე არ დგას ტერორიზმის მიმართულებით ტერორისტულმა დაჯგუფებებმა შესაძლოა კვლავ გამოიყენონ ჩვენი სტრატეგიული მდებარეობა საკუთარი მიზნებისათვის, ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების ანალიზით, ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში ისლამური დაეშის ISIS-ის პოზიციების მკვეთრი შესუსტება ფიქსირდება. სირიაში მათი დანაყოფების გაწმენდის შემდგომ, მაღალი ალბათობით ორგანიზაციის სტრატეგიულ გეგმებში მოსაზღვრე ერაყში შეღწევა და გაშლა წარმოადგენს, რაც შემდგომი კონსოლიდაციის დასაწყისი შეიძლება გახდეს. შესაბამისად გარკვეული პერიოდი ჩრდილო კავკასიაში სტაბილური ვითარების საფუძველი გახდეს, რაც რეგიონში ტერორისტული ნაკადის და ზოგადად ისლამური ჯიჰადის შესუსტებით იქნება გამოხატული. მიუხედავად ამისა, ისლამური რადიკალური ფუნდამენტალიზმიდან მომდინარე სხვადასხვა განგრძობადი ახალი სიმეტრიული თუ ასიმეტრიული საფრთხეებმა შესაძლებელია თავი იჩინოს საქართველოსთან მიმართებაში.

არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეთა-„დაეშის მებრძოლთა“ მხრიდან დადგეს ე.წ „რეინტეგრაციის“ საფრთხე. რეკრუტირებული მებრძოლები, რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში, თურქეთის მოსაზღვრე იდლიბის პროვიცნიასა და ალეპოსთან ახლოს იბრძოდნენ, ვითარების შეცვლის შედეგად დატოვებენ რა სირიას, ახლო აღმოსავლეთში, ანტიტერორისტული კონტროლის პირობებში გაუჭირდებათ (მაგალითად) მოსაზღვრე ერაყში გადასვლა, ავღანეთსა პაკისტანში დისლოცირება სადაც საგრძნობლად შესუსტებულია ისლამური რადიკალური ფუნდამენტალიზმი და რელიგიური ექსტრემიზმი, ხოლო ისლამური ჯიჰადი ფაქტობრივად აღარ ვრცელდება. ეს გარემოებები მებრძოლთა ახლო აღმოსვლეთში დარჩენას პრაქტიკულად გამორიცხავს, შესაბამისად მაღალი ალბათობით დღის წესრიგში შეიძლება დადგეს მათი საქართველოში დაბრუნების საკითხი. შესაბამისად ოპერატიული ვითარების დაძაბვის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ჩვენს სპეცსამსახურებს და სამართალდამცავ უწყებებს, განსაკუთრებით საზღვრის კონტროლის კუთხით.

რადგან ყველა ზემოჩამოთვლილი გარემოებიდან გამომდინარე, უახლოეს პერსპექტივაში, საფრთხეები კვლავ არსებობს, როგორც სატრანზიტო დერეფნის გამოყენების კუთხით ასევე ჩვენგან წასული მებრძოლების დაღესტნის საზღვრიდან უკან პანკისის ხეობაში „რეინტეგრაციის“ თვალსაზრისით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ტერორიზმი და ტერორისტულ ორგანიზაციაში ყოფნა საკმაოდ მკაცრი სასჯელით დასჯადი ქმედებაა, შესაბამისად ჩვენგან წასული მებრძოლები რათქმაუნდა ეცდებიან, რომ ე.წ მწვანე საზღვრებიდან დაბრუნდნენ უკან, ამ კუთხით ვფიქრობ, რომ სასაზღრო კომპონენტის უფრო აქტიური ამოქმედებაა საჭრიო, სასაზღვრო პოლიციამ უნდა გაამკაცროს მაქსიმალურად განსაკუთრებით კი ე.წ მწვანე საზღრებთან ვითარება, ამ კუთხით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშშიც არის ასახული თუ როგორი კომპლექსური ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ პიროვნებების მიმართ რომლებიც ეცდებიან უკან დაბრუნებას ე.წ საფარ ქვეშ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტატისიკური მონაცემების მიხედვით პანკისის ხეობიდან ჩრდილო კავკასიის გავლით სირიაში ჩვნგან გადინებულია 170 მდე საქართველოს მოქალაქე, 2018 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან ე.წ რეკრუტირების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, ბოლო მონაცემებით სირიასა და ერაყში ჩვენი ქვეყნის 20 მდე

მოქალაქე იბრძვის მათგან უმეტესობა პანკისის ხეობის სოფლებიან დუისი და ჯოყოლადან არიან გადინებული,, აღსანიშნავია ასევე, რომ სახელმწფო უსაფრთხოების სამსახურმა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით 2019-2021 წლების სამ წლიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, მეტი ეფექტურობისათვის ვფიქრობ, რომ აღნიშნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში დაფიქსირება სწორი ნაბიჯი იქნება განსაკუთრებით საფრთხეების შეფასების დოკუმენტში, საკუთრივ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაც საჭიროებს განახლებას განსაკუთებით ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კუთხით არსებული საფრთხეების ტრანსფორმაციის და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით ახალი მაკოორდინირებელი უწყების ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შექმნის შემდგომ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ავღნიშნოდ, რომ გამომდინარე გეოგრაფიული ადგილდებარეობიდან საქართველო ყოველთვის იქნება საერთაშორისო ტერორიზმისათვის ხელსაყრელი ქვეყანა სატრანზიტო თვალსაზრისით, ჩრდილო კავკასიური ვაჰაბიტური ჯიჰადისტური დაჯგუფებები საჭიროებისამებრ ეცდებიან გამოიყენონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ევროპაში გასასვლელად, შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების დაცვისათვის აუცილებელია ჩვენმა სპეც სამსახურებმა ყოველ დღურ ცხოვრებაზე ადაპტირებული პრევენტული და წიმსწრები ღონისძიებები გაატარონ კონტ ტერორისტული ოპერაციების მიმართულებით, პარალელურად კი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო ანტიტერორისტულ მისიებში ჩვენი სახელმწიფოს ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენივე ეროვნული უსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის

ნაშრომის შედეგები :

- საქართველო, როგორც სატრანზიტო დერეფანი წარმოადგენს ტერორიზმისათვის ხელსაყრელ დერეფანს;
- ანტიტერორიზმის ორგანიზებისათვის აუცილებელია სპეცსამსახურების კოორდინირებული მუშაობა;
- საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობის შეფასება კონტრტერორისტული მიმართულებით;
- სამომავლოდ საქართველოსთან მიმართებაში შესაძლო ტერორისტული საფრთხეების პრენევცია.

ნაშრომის შედეგები :

- საქართველოს როგორც სატრანზიტო დერეფნის კუთხით ტერორიზმისაგან მომდინარე არსებული საფრთხეების ანალიზი;
- ეროვნული უსაფრთხოების უზუნველსაყოფად საჭირო ანტიტერორისტული ღონისძიებების გატარება;
- საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობის შეფასება კონტრტერორისტული მიმართულებით;

სამომავლოდ საქართველოსთან მიმართებაში შესაძლო ტერორისტული საფრთხეების პრენევცია.

რეკომენდაციები :

- საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო ანტიტერორისტულ მისიებში საქართველოს მაქსიმალური ჩართულობა;
- სასაზღვრო პოლიტიკის გამკაცრება ე,წ „მწვანე საზღვრებთან“ მიმართებაში;
- კომპლექსური პრევენციული და წინმსწრები კონტრტერორისტული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.

ლიტერატურა :

1.„ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“-ვახტანგ მაისაია , თბილისი 2009წ;

2. საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ – ჯ.გახოკიძე ,თბილისი 2014 წ;

3. inai, Joshua (2014), "Book Review: 'Counterterrorism Bookshelf'.
4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში. http://www.parliament.ge /ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/saqartvelos-saxelmwifo-usafrtxoebis-samsaxuris-angarishi.page.

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's
Educational Program in International Relations and International Security
Shota shanshiashvili

Georgia as a transit corridor for terrorists

Summary

terrorism for many decades for humanity is one of the main problem, it has the origin of ideological, mental and reasonable grounds, "political missions relased by violation way" This is terrorism, one of the well-known definition, after globalization and modernity terrorism was adapted to the modern era and today the International terrorism, is main threte and main challange for international security , due to its geographical location, Georgia represents the Eurasian corridor attractive and strategic place for international terrorism, specifically to the North Caucasus Islamic Jihadi vahabist's for users who have to consider Our country like a transit springboard.

Keywords: Terrorism, counterterrorism, national security, strategic intelligence

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности

Шота Шаншиашвили

Грузия как транзитный коридор для террористов

Резюме

терроризм в течение многих десятилетий, для человечество является одной из основных проблем, она имеет происхождение идеологический, ментальные и разумные основания, «Насильственное выполнение политических целей» Это терроризм, один из хорошо известного определения, Терроризм был адаптирован к глобализации и современной эпохе, и Сегодня существует международный терроризм, который является главной проблемой международной безопасности,, из-за своего географического положения, Грузия представляет Евразийский коридор Считается привлекательным и стратегическое место для международного терроризма, Конкретно, для северокавказских исламских джихадистов-ваххабитов Они обсудят нашу страну как транзитный трамплин.

Ключевые слова: Терроризм, контртерроризм, национальная безопасность, стратегическая разведка.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

სალომე ნოზაძე

რუსეთის პოლიტიკა და სადაზვერვო ინტერესები საქართველოში

რუსეთის როლი უკიდურესად ნეგატიურია თანამედროვე საქართველოს განვითარებაში. ეს გამოიხატება საქართველოს ტერიტორიის თითქმის ოცი პროცენტის ფაქტობრივ ანექსიაში, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანის შეცვლის მუდმივ მცდელობაში, საშინაო პოლიტიკურ პროცესებში უხეშ ჩარევაში და ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდის,მათ შორის,აგრესიის დაუფარავ გამოყენებაში. რუსეთის აგრესიულმა მოქმედებებმა ნათლად დაგვანახა, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ ეფექტურად აწარმოებს სადაზვერო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას სამხედრო,პოლიტიკურ და ეკონომიკურ სექტორებში.ასევე,რუსეთის სადაზვერვო იარაღს წარმოადგენს პროპაგანდა. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებათა ცვლის მიუხედავად,მისი როლი საქართვრლოში დღემდე იგივე ხასიათს ატარებს.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, ეკონომიკური დაზვერვა, პროპაგანდა

პოსტსაბჭოთა სივრცეში, გარდა აღმოსავლეთ ბალტიისპირა ქვეყნებისა, ძნელად თუ მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც ისე ეწინააღმდეგება რუსულ ჰეგემონიას, როგორც - საქართველო. რუსეთის ფედერაცია 1991 წლიდან მოყოლებული საქართველოზე ზეგავლენის ყველანაირ (განსაკუთრებით კი სადაზვერვო) ბერკეტს იყენებდა, რათა ეს ქვეყანა თავის მორჩილ ხელქვეითად ექცია. გარკვეულ წარმატებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, რადგან დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტის ოკუპაცია გვაქვს სახეზე.

ბოლო წლებში რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა მოქმედებებმა ჯერ უკრაინასა და შემდგომ სირიაში ნათლად დაგვანახა, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ ეფექტიანად იყენებს საკუთარ სამხედრო-პოლიტიკურ შესაძლებლობებს, რაც ამ სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის აქტიურობით მიიღწევა. განსაკუთრებით აქტიური და წარმატებულია რუსული სადაზვერვო პროპაგანდა, რომელშიც რუსულ სპეცსამსახურებთან და მედიასაშუალებებთან ერთად ჩართულია არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, რუსი თუ უცხოელი ექსპერტი.

რუსეთის ფედერაციის ყველა ზემოხსენებული მოქმედება ერთ მთავარ მიზანს - მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნებას- ემსახურება. ამ მიზნის მიღწევა სამეზობლოში საკუთარი ექსკლუზიური გავლენის აღდგენის გარეშე მოსკოვს არ წარმოუდგენია. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების სათავედ საქართველოსთვის, როგორც სუვერენული სახელმწიფოსთვის, რომელსაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის არჩევანი აქვს გაკეთებული.

მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია ლამის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალზე აქტიურად მოქმედებს საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, ბუნებრივია, საქართველო უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს თავს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რა კონკრეტული საფრთხეები არსებობს რუსეთის მხრიდან და რამდენად ეფექტიანია საქართველოს უსაფრთხოების სისტემა ამ საფრთხეებთან გამკლავების თვალსაზრისით. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურების გაძლიერება და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ხარისხის ამაღლება. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოზე ბევრად უფრო ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებსაც კი უჭირთ რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავება.

რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ამოცანები ამიერკავკასიის რეგიონში ერთგვარად განსხვავდება სომხეთისა და აზერბაიჯანის ლოკალური მიზნებისაგან მეზობელი ქვეყნების მიმართ.

სადაზვერვო საქმიანობის პარაქტიკა აჩვენებს რომ, რაც უფრო ახლო და მეგობრული ურთიერთობა მყარდება ქვეყნებს შორის, მით უფრო დახვეწილ ფორმას იღებს სადაზვერვო მოქმედებები. ბუნებრივია, სუპერსახელმწიფო და „მცირე“ ქვეყნების ნაციონალური ინტერესები განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველს თუ გლობალური მიზნები აქვთ დასახული, მეორე კატეგორია ძირითადად რეგიონალური მასშტაბით შემოიფარგლებიან.

რუსეთის ფედერაციის დაზვერვის ძირითად სტრატეგიად შესაძლოა ჩავთვალოთ რუსეთის ფედერაციის გავლენის სფეროს შენარჩუნება ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს და მეზობელ, ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებზე (ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები, მონღოლეთი, თანაბარუფლებიანი პარტნიორობა ჩინეთთან).

რუსეთის ძირითადი ამოცანები საქართველოში

საქართველო, ზემოაღნიშნულ კონტექსტში, რუსეთის ფედერაციისთვის ერთ ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს.საქართველოს, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიით, ლოგიკურად, არამხოლოდ კოტინენტური შელფის ბუფერულ ზონად, არამედ კასპიის ზღვის გეოპოლიტიკურ ფარგლებში განიხილავს.

საქართველო,რუსეთის ფედერაციისათვის წარმოადგენს კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსის დასავლეთით ტრანსპორტირების ალტერნატიულ გზას. რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით პროექტის განხორციელება არამარტო ეკონომიკურად აზარალებს რუსეთის ფედერაციას, არამედ უკარგავს მონოპოლიურ როლს ენერგეტიკულ ბაზარზე და რაც მთავარია, სუსტდება დასავლეთზე ზეწოლის/შანტაჟირების პოლიტიკური ბერკეტები. შესაბამისად,რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოსალოდნელია პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვის გააქტიურება საქართველოსთან მიმართებაში, რათა მან საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები დაიცვას. რუსეთის ფედერაციას სჭირდება ბუფერული ზონა ნატოს წევრ ქვეყანა თურქეთთან.

დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთსა და თურქეთს შორის დამთბარი ურთიერთობა არ იძლევა სამომავლოდ მისი შენარჩუნების გარანტიას (თურქეთის მსგავსი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მეტადაა დამოკიდებული ლიდერის გადაწყვეტილებებზე, ვიდრე დასავლური ტიპის ქვეყნების პოლიტიკა). თუმც სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობისათვის მას გააჩნია ბუფერული ტერიტორიები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

რუსეთის ფედერაციის სასიცოცხლო ინტერესებშია შავი ზღვის აკვატორიის მაქსიმალური კონტროლი, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს წარმოადგენს. ამასთან ერთად, კავკასიის რეგიონში მდგომარეობის გასამყარებლად სჭირდება სომხეთთან დამაკავშირებელი მარშრუტის გარანტირებულად ექსპლუატაცია. ამ ამოცანების გადასაჭრელად, მინიმალურ პირობას წარმოადგენს დასავლეთის სამხედრო ინსტიტუციების გაფართოების დამუხრუჭება და მათი ეკონომიკურ-კულტურული, იდეოლოგიური „ექსპანსიის“ შეზღუდვა ზემოაღნიშნულ რეგიონებში. სწორედ ამ ამოცანების გადასაჭრელად რუსეთის ფედერაციისათვის მნიშვნელოვანია აქტიური სადაზვერვო ქმედებები საქართველოსთან მიმართებაში. შესაბამისად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინიშნებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელების საკითხში, საქართველომ აქტიური ღონისძიებები განახორციელოს სადაზვერვო მიმართულების მნიშვნელოვან , პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და პროპაგანდისტულ ფრონტზე.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო დაზვერვის ელემენტები საქართველოსთან მიმართებაში

სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას, რუსეთის ფედერაცია სადაზვერვო აქტიურობის ფონზე იყენებდა ისეთ მეთოდოლოგიას, როგორიცაა ტერორიზმი. 2004-2005 წლის ტერორისტული აქტები პოლიციის შენობასა და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე,ტერაქტი ქ. გორის პოლიციის

შენობაზე, რომელსაც მსხვეპლი მოჰყვა, ხოლო ტერორისტულ აქტებს ელექტროგადამცემ ხაზებზე- „ქართლი 2“ და „ლიახვი“, კასპის ნავთობის ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვან ფინანსური ზიანი მოჰყვა.

საქართველოსადმი, რუსეთის სადაზვერვო აქტივობებზე მიანიშნებს 2006 წელს სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) 4 ოფიცერისა და საქართველოს 11 მოქალაქის ჯაშუშობის ბრალდებით დაკავების ფაქტი. ამასთან ერთად სადაზვერვო ხასიათის ქმედებების ნიშნებს ატარებს რუსეთის ფედერაციიდან, არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მასობრივად გამოძევება,აგრეთვე ამავე პერიოდში ეკონომიკური ემბარგოს განხორციელება ქართულ პროდუქციაზე, განსაკუთრებით ღვონო-მასალებზე, რაც საქართველოს ექსპორტის მნიშვნელოვან ხვედრით წილს წარმოადგენდა რუსულ ბაზარზე.განხორციელდა სავიზო რეჟიმის დაწესება საქართველოს მოქალაქეებისათვის, შეიზღუდა ფულადი გზავნილების გადმორიცხვა რუსეთის ფედერაციიდან, რაც პოლიტიკურ-ეკონომიკური დაზვერვის ნიშნებს შეიცავდა. სადაზვერვო ქმედებების დამაგვირგვინებელ აქტად კი პირდაპირ ინტერვენციად უნდა მივიჩნიოთ (2008 წ.), რასაც საქართველოს ტერიტორიის მეხუთედის დაკარგვა მოჰყვა.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში გატარებულ პოლიტიკას მოჰყვა დასავლეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან გარკვეული პროტესტი, რამაც მას ქვეყნის სრული ოკუპაციის საშუალება არ მისცა. ამასთან ეს საპროტესტო ტალღა არასაკმარისი აღმოჩნდა რუსეთის ძალისმიერი კურსის შესაცვლელად. საერთაშორისო პოლიტიკური წრეების შედარებით ინერტულობით გათამამებული რუსეთის ფედერაცია არ მოერიდა მის მიერ წინასწარშემუშავებული, მაღალი ალბათობით სადაზვერვო გეგმების განხორციელებას და 2014 წელს უკვე უკრაინაში ყირიმის ანექსია მოახდინა.

განვითარებული მოვლენების ანალიზი აჩვენებს, რომ დღევანდელ რუსეთის ფედერაციის სამხედრო სფეროში განხორციელებული ღონისძიებები სავარაუდოდ მიმართული იქნება მოწინააღმდეგე სახელმწიფოების შეიარარებული ძალების დასუსტებისაკენ (მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიების შესყიდვის ჩაშლის მცდელობა; შეიარაღებულ ძალებში პრორუსული კადრების ჩანერგვა; სომხეთთან,აზერბაიჯანთან და საქართველოსთან სამხედრო ესკალაციის გამოწვევა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო დაპირისპირების პროვოცირება; რუსეთის ფედერაციისთვის არასასურველი სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების ბლოკირება). ზემოაღნიშნული სამხედრო ხასიათის ღონისძიებები კომპლექსურად არის მიბმული საქართველოში ეკონომიკურ და პროპაგანდისტულ ძირგამომთხრელ საქმიანობასთან.

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური დაზვერვის ელემენტები საქართველოსთან მიმართებაში

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციამ ეკონომიკური ზეწოლის საშუალებები მაქსიმალურად და ხისტად გამოიყენა. განსაკუთრებით აღსანიშბნავია 2004 წლიდან ათწლეულის დასასრულამდე პერიოდი. საქართველოს წინააღმდეგ ენერგეტიკულ (რუსული ზეგავლენა საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებზე), სასოფლო-სამეურნეო (ხილ-ბოსტნეულის, ღვვინის, მინერალური წყლების იმპორტის აკრძალვა რუსეთის ფედერაციაში) და სხვა სექტორში გატარებულმა ღონისძიებებმა სერიოზულად დააზარალა ქართული ეკონომიკა, მაგრამ არ გამოუწვევია მისი ჩამოშლა. საქართველო ამ პერიოდში ატარებდა ძალიან მკვეთრად გამოხატულ ევროატლანტიკურ პოლიტიკურ კურსს. აქედან გამომდინარე, დასავლეთიდან მიღებული დივიდენდების საშუალებით ფარავდა რუსეთის ფედერაციის მიერ მიყენებულ ზარალს. ამასთან მოხერხდა გასაღების ბაზრის დივერსიფიცირება რუსეთის ფედერაციის ალტერნატიულ ქვეყნებში.

მნიშვნელოვანი საფრთხის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითავლოს, რუსეთის ფედერაციის კომპანიების მხრიდან კორპორაციული ჯაშუშობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამჟამად

საქარველოში რუსული კაპიტალი მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს. მხოლოდ აჭარის რეგიონში 2016 წ. პირველ კვარტალში რუსული ინვესტიციების მოცულობა 29%-ით 98,7 მილიონამდე გაიზარდა. ასევე, კომპანია "ინტერ რაო", რომლის აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან, ფლობენ საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო კომპანია "თელასს", თბოსადგურ "მტკვარი ენერგეტიკას", "ხრამჰესი-1"-ს, "ხრამჰესი-2"-ს; რუსული კომპანია ფლობს შპს "ენერგიასაც", რომელსაც ეკუთვნის დარიალიჰესი, ლარსიჰესი, შილდაჰესი. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებაშია ავანიჰესი, ალგეთი ჰესი, სკურდიდი ჰესი. ქართული და რუსული მხარე ერთობლივად ფლობენ "საქრუსენერგოსაც", რომელიც ქვეყანაში ელექტროენერგიის გადამცემ სისტემას განკარგავს. ამასთან, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებაშია ჟინვალჰესი, აგრეთვე თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს". ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებაშია ნავთობკომპანიები "ლუკოილი", "გალფი", "ფოთის ნავთობტერმინალი", ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანია "ერემჯი", აგრეთვე მინერალური წყლების მწარმოებელი "ბორჯომი", მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი სს "ელმავალმშენებელი", "ვითიბი ბანკი ჯორჯია". „როსნეფტმა“ შეისყიდა რუსი ბიზნესმენის “Petrocas Energy Limited”-ში 49% -იანი წილი. თავის მხრივ დავით იაკობაშვილი კომპანია “ჩელენჯ ენერჯის” აქციონერია, რომელიც ფოთის პორტის ნავთობტერმინალის ოპერირებას ახორციელებს.

პროპაგანდა, როგორც რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო იარაღი

მოწინააღმდეგისთვის თავისი მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს პროპაგანდისტული საქმიანობა, ამ დროს ძირითადი აქცენტი კეთდება, ისეთ ე.წ. საერთო „შეხების წერტილზე“, როგორიცაა- საერთო ისტორიის, კულტურულ-მსოფლმხედველობრივი კატეგორიები (საერთო ორასწლიანი ისტორია, მეორე მსოფლიო ომი; ამ მიზნის მისაღწევად კი - რელიგიური, საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კულტურული გაცვლის პროგრამების, მასმედიის, გავლენის მქონე ორგანიზაციების ან პირების დაფინანსება) და სხვა.

უძველესი პერიოდიდან რელიგიური ინსტიტუტები წარმოადგენენ მასებზე იდეოლოგიური გავლენის ძლიერ მექანიზმს. სწორედ ამიტომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოში ე.წ. ეგზარქოსების ინსტიტუტის ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საქართველოს სპეცსამსახურებმა განსაკუთრებულად გააქტიურონ მუშაობა.

რუსული პროპაგანდისტული მანქანა ცდილობს გამოიყენოს არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. მათგან გარკვეული ნაწილი მოქმედებს კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ლეგენდით, ნაწილი კი არც მალავს თავის პოლიტიკურ პლატფორმას. სადღეისოდ, ამ კუთხით განსაკუთრებით აქტიურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: „ევრაზიული ინსტიტუტი“, „ერეკლე მეორის საზოგადოება“, „გორჩაკოვის ფონდი“, „პრიმაკოვის ფონდი“, „რუსული კლუბი.“ გარდა არსებული ფონდებისა პრორუსული პროპაგანდის მძლავრ იარაღს წარმოადგენენ მასმედიის გავლენიანი სახეები და ჟურნალისტები, რომლებიც აშკარად ეწევიან ანტიდასავლურ აგიტაციას ან არ მალავენ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან საქმიან კავშირებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მასმედიის საშუალებები: ტელეკომპანია ობიექტივის გადაცემა „ოქროს კვეთა“, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, „ასავალი-დასავალი“, „კვირის ქრონიკა“, სპუტნიკ-გრუზია.

აღსანიშნავია, რომ თუ სსრკ-ს სპეცსამსახურები უცხოეთში ძირგამომთხრელი საქმიანობისა და იდეოლოგიური ბრძოლისას ეყრდნობოდა ძირითადად მემარცხენე ძალებს, რუსული სპეცსამსახურებისთვის რადიკალური მემარჯვენე ძალები აღმოჩნდა მისაღები. საქართველოში, ამ ორგანიზაციების მეშვეობით რუსული ოკუპაციიდან აქცენტი გადატანილ იქნა „თურქულ-არაბულ-ირანულ საფრთხეებზე“, რისთვისაც რუსეთის ფედერაცია აქტიურად იყენებს „ქართული მარშის“, საქართველოს ნაციონალ-სოციალისტური იდეების გამტარებელ ორგანიზაციებს, რათა მოახდინოს ლიბერალური ღირებულებების ჩანაცვლება ე.წ. „ნაციონალური იდეით“ და მოხდეს ევროპული ღირებულებების დისკრედიტაცია.

შეიძლება დასკვნათ შემდეგი:

მუდმივად ცვლადი უსაფრთხოების გარემო საქართველოს წინაშე ბევრ გამოწვევას, საფრთხესა და შესაძლებლობას წარმოშობს. ეს საფრთხეები და გამოწვევები სხვადასხვა ხასიათისაა. ესაა კომპლექსური საფრთხეები და გამოწვევები: სამხედრო, ეკონომიკური, ენერგეტიკული, პროპაგანდისტული და ა.შ., რომლებიც ხელს უშლის საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას,აფერხებს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას და მათ რეინტეგრაციას. საქართველოს წინაშე არსებული ყველაზე სერიოზული საფრთხეები და გამოწვევები ძირითადად მომდინარეობს რუსეთისაგან. რუსეთის ფედერაციაში შესაძლო მძიმე ეკონომიკური კრიზისისას, ტრადიციისამებრ, მოსახლეობის ყურადღების გადატანა ხდება საგარეო თემებზე, როგორიცაა მეზობელ სახელმწიფოსთან ომი. ამ დროს საერთო „მტრის“ ხატი აერთიანებს სოციალურად განსხვავებულ ჯგუფეს ქვეყნის შიგნით. პერსპექტივაში, მსგავსი მოვლენების დადგომამდე აუცილებლობას წარმოადგენს პოტენციური მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოსახლეობის იდეოლოგიურად გათიშვა, სასურველი მსოფლმხედველობის დანერგვა, ეკონომიკურად დასუსტება, მორალურად გახრწნა, რაც სპეცსამსახურების-სადაზვერვო დანაყოფების ღონისძიებათა ძირითად სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში რუსეთის მზარდი აგრესიული პოლიტიკის გამო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოყენებული სანქციები, ასევე მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების შემცირება ასუსტებს რუსეთის შესაძლებლობას, კომპლექსური ზეწოლა მოახდინოს მეზობელ და სხვა ევროპულ ქვეყნებზე. ეს, შესაძლოა, დადებითად აისახოს საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაზე,თუ ქვეყანა შეიმუშავებს და განახორციელებს სწორ პოლიტიკას. არსებულ საფრთხეებთან და გამოწვევებთან გამკლავების, ასევე წარმოქმნილი შესაძლებლობების გამოყენების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის და დეოკუპაციის სტრატეგიების შექმნისა და ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და აღსრულების ქმედითი ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა და ეფექტური პრაქტიკის დამკვიდრება. საფრთხეების და გამოწვევების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო დამყარებული იყოს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტის თანამონაწილეობის და საზოგადოების ჩართულობის პრინციპებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ რუსეთ–საქართველოს ურთიერთობანი/ისტორია და თანამედროვეობა “/ სახალხო მოძრაობა ქართულ–რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისთვის/, 25 სექტემბერი, 2015 წელი. http://www. georus.org/index.php?newsid=3545#.VmqzAHh97IU;

2. Россия тихо захватывает Грузию 29.07.2015 https://inosmi.ru/sngbaltia/20150 729/229323692.html;

3. Диссертация : ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ СОВРЕМЕННОЙ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ /Пятигорск – 2016 https://www.pglu.ru/upload/iblock/b45/dissertatsiya.pdf ;

4. Прайм-Тайм" Автор: Мириан БоколишвилиПо какой схеме работает российская разведка в Грузии 10/042016 https://www.apsny.ge/2018/mil/1516745518.php;
5. გრუ, ფე-ეს-ბე, ეს-ვე-ერი-როგორ მუშაობენ რუსული სპეცსამსახურები საქართველოში/რეზონანსი/ 30/09/2018. https://commersant.ge/ge/post/gru-fe-es-be-es-ve-eri-rogor-mushaoben-rusuli-specsamsaxurebi-saqartveloshi;
6. მილიტარიუმი ქართული სამხედრო პორტალი/რუსეთის სადაზვერვო ჯაშუშური ქსელი და საქართველო (ნაწილი1) 18/04/2018. https://militarium.org/rusetis-dazverva-saqartveloshi/;
7. ЖУРНАЛ Политическая экспертиза: ПОЛИТЭКС/НАЦИОНАЛЬНЫЕ ИНТЕРЕСЫ РОССИИ В ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ/Мухаметов Руслан Салихович 06/02/2009. https://cyberleninka.ru /article/n/natsionalnye-interesy-rossii-v-postsovetskom-prostranstve;
8. Foreign Military Studies Office/Russian National Interests and the Caspian Sea/by Mr. Timothy L. Thomas/This article was previously published in **Perceptions** December 1999-February 2000 Volume IV, Number 4 pp. 75-96. https://fas.org/nuke/guide/russia/agency/fmso-caspian.htm;

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's Educational Program in International Relations and International Security

Salome Nozadze

Russian politics and Intelligence interests in Georgia

Summary

Russia has an extremely negative role in the modern development of Georgia, which is reflected in the factual annexation of nearly twenty percent of the Georgian territory, permanent attempts to change the foreign policy choices, in serious interference in the domestic political processes and the use of various methods of exposure, including aggression. The aggressive actions of Russia clearly showed that this country produces intelligence and counter-intelligence-intensive activities in military, political and economic sectors. Also, the surveillance tool of Russia is propaganda. Despite the shift of power of the Russian Federation, its role in Georgia is still the same.

Keywords: Intelligence, Economic intelligence, Propaganda

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности

Саломе Нозадзе

Российская политика и Разведывательные интересы в Грузии

Резюме

Роль России крайне негативна в современном развитии Грузии. Это отражено в фактической аннексии почти двадцати процентов территории Грузии, Постоянные попытки изменить внешнеполитический выбор, серьезное политическое вмешательство во внутриполитические процессы и использование различных методов воздействия, включая агрессию. Агрессивные действия России ясно показали, что эта страна довольно эффективно занимается разведывательной и контрразведывательной деятельностью В следующих секторах: военный, политический и экономический. Также пропаганда - это инструмент российской разведки. Несмотря на смену власти Российской Федерации, ее роль в Грузии Остается прежним.

Ключевые слова: Разведка, Экономическая разведка, Пропаганда

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ლიზიკო ფიფია
ტერორიზმის სადაზვერვო ხასიათი კავკასიაში

ტერორიზმი 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების მშვიდ გარემოში არსებობას და მათ განვითარებას. ტერორიზმის დამანგრეველი ზემოქმედების მასშტაბები გაზრდილია მაშინ, როდესაც იგი სახელმწიფოთა მხარდაჭერით მიმდინარეობს და იგი ამ სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ხორციელდება. სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების მსგავსად, ტერორისტული ორგანიზაციები სახელმწიფოებთან ერთად ან დამუკიდებლად საკუთარი მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად გადაბირების და ჯაშუშობის ორგანიზებას ახორციელებენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი აქცენტები დაზიანებას დაქვემდებარებული სახელმწიფოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის მიმართ კეთდება. შესაბამისად ტერორიზმის, როგორც სადაზვერვო ფუნქციის მქონე მიმართულების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია კონტრსადაზვერვო სამსახურების განსაკუთრებული აქტიურობა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, სადაზვერვო ინტერესები, ეთნიკური უმცირესობა, კონფლიქტების ინსპირირება

ტერორიზმის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. მისი ძირითადი ფორმებით გამოვლინება იმ ფაქტს უკავშირდება, როდესაც ადამიანებს გაუჩნდათ სურვილი უხეში ძალის გამოყენებით მოეხდინათ გავლენა პოლიტიკურ მოვლენებზე. პირველ ტერორისტულ დაჯგუფებად, ჩვ.წ.აღ-ით I საუკუნეში იუდეაში იატაკქვეშ მოქმედი ებრაული დაჯგუფება ზეალოტები ითვლებიან, რომლებიც ოპონენტებს მკვლელობის გზით იშორებდნენ თავიდან. დაჯგუფების მოწინააღმდეგეებს კი რომაელების საოკუპაციო რეჟიმთან თანამშრომლობაში მყოფი ებრაელი კოლაბორაციონისტები წარმოადგენდნენ, რომლებიც პატრიოტებს რომაული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში უშლიდნენ ხელს. ზეალოტების მოტივი იუდაიზმის კანონების უკომპრომისო რწმენა იყო, რაც გამორიცხავდა რომაული კანონებით ცხოვრებას. საბოლოოდ პირველი ტერორისტები მათმა მოწინააღმდეგეებმა გაანადგურეს, ხოლო დარჩენილმა წევრებმა კი თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

სიტყვა ,,ტერორიზმი“ ევროპულ ენებში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქიდან დამკვიდრდა. რევოლუციის შემდეგ გამოცემულ დიდ ფრანგულ ლექსიკონში ის განიმარტებოდა, როგორც პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ქვეყნის მმართველობა ყველანაირი მეთოდებით ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება და ძალადობრივი მეთოდებით უპირისპირდება პოლიტიკურ ოპონენტებს. ენციკლოპედისტები ერთგვარად დასაშვებად მიიჩნევდნენ უკვე დრომოჭმული მონარქიული სახელმწიფოს ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოდ შეცვლას ტერორიზმის ძალადობრივი მეთოდებით. 1871 წლის გაზაფხულზე, პარიზის კომუნის ხანმოკლე მმართველობის დროს გაჩნდა ტერორიზმის ერთ-ერთი მთვარი ატრიბუტი - მძევლების აყვანა.

ტერორიზმი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა და მწვავე

პრობლემაა, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას. ის საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. გამომდინარე იქიდან, რომ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ურთულეს რეგიონს წარმოადგენს, ის საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს და ტერორისტული დაჯგუფების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. რეგიონში სეპარატისტული რეჟიმების არსებობა, რეგიონს მოწყვლადს ხდის ტერორისტული ორგანიზაციებისთვის.

ისტორიული პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებში, ერთ ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფების თანხვედრა მეზობელი სახელმწიფოს ეთნოსთან, პირობითად ერთეროვანი სახელმწიფოების არსებობა, უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ტერორიზმის ასიმეტრიული საფრთხის მნიშვნელობის მიუხედავად, ტერმინ-,,ტერორიზმის“ ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს, მას სხვადასხვა დარგის სპეციალისტები განსხვავებულად ხსნიან.

,,ტერორიზმი - ეს არის არასახელმწიფოებრივი ძალადობის აქტი რომლის მიზანია დათესოს საზოგადოებში პანიკა, შეასუსტოს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და ჩამოაგდოს არსებული ხელისუფლება“ (უოლტერ ლაკერი, ტერორიზმის სფეროში ამერიკელი ექსპერტი);

,,ტერორიზმი - წარმოადგენს მოტივირებულ ძალადობას, რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები“(ბორის ბროზე, კონფლიქტების შემსწავლელი ლონდონის ინსტიტუტის დირექტორი). მიუხედავად განსხვავებული განმარტებებისა, ყველა ერთპიროვნულად თანხმდება იმაზე, რომ საჭიროა დროული ღონისძიებების ჩატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ტერორიზმის გავნვითარებისთვის მნიშვნელოვანია შეიქმნას გარემო, სადაც ის ფეხის მყარად მოკიდებას შეძლებს. ფაქტობრივად, ტერორიზმი იზრდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უთანხმოებების საფუძველზე, ტერორისტულ ქმედებებს კი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული ხასიათის კონფლიქტები იწვევს. ამის ნათელი მაგალითია კავკასიის რეგიონი, სადაც ატიურად მუშაობენ სადაზვერვო საქმიანობის ნიშნების შემცველი ქმედებებით გამორჩეული სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები. ყოველივე ეს კი, კავკასიის რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების ზეგავლენისა და შეღწევადობის აქტიურ როლზე მიანიშნებს.

სახელმწიფოების სპეცსამსახურების მსგავსად, ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად ქმნიან ერთგულ ე.წ. „სადაზვერვო ჯგუფებს“, რომლებსაც ევალებათ მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოპოვება, ადამიანების გადაბირება, კონფლიქტური სიტუაციების შექმნა და მისი გამწვავება, რომელიც მიმართულია ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების ან მისი ძალადობრივი შეცვლისკენ, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო ბერკეტების ხელში ჩაგდებისაკენ და სხვა. 24 საუკუნის წინ, ცნობილი ჩინელი სამხედრო თეორიტიკოსის სუნ ძის მოსაზრებით ,,არმია საიდუმლო ჯაშუშების გარეშე იგივეა რაც ადამიანი, რომელსაც არ აქვს სმენა და მხედველობა“. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ტერორისტულ ორგანიზაციებზეც. გამოყენების თვალსაზრისით ტერორიზმი სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე მიმართულებისათვის (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური) ხელსაყრელ იარაღს წარმოადგენს.

სადაზვერვო და ტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს პირობას გადაბირებითი საქმიანობის სწორად დაგეგმვა და შესრულება წარმოადგენს. მისი წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია დროულობით, სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული ინფორმაციების შეკრება და ანალიზი. გადაბირების თვალსაზრისით, სადაზვერვო სამსახურების მსგავსად, ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეები ხშირ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების

წარმომადგენლები ხდებიან. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ეთნიკური უმცირესობის ზუსტი განმარტება, ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება ის ჯგუფი, რომელიც მცირერიცხოვანია ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება კულტურულად, ენობრივად, რასობრივად და ა.შ. ამ პროცესისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდების, ისე ჯგუფების რელიგიური ნიშნით თანხვედრის პირობის არსებობა, რაც პროცესის წარატების განმაპირობებელი გარემოებაცაა.

ტერორისტული ორგანიზაციები, როდესაც გადაბირებისათვის სამიზნე პირს ირჩევენ, პირველ რიგში ისინი სწავლობენ შეღწევადობის ობიექტის დამოკიდებულებას სახელმწიფო ხელისუფლებასთან. გადამბირებელი პირები ხშირ შემთხვევაში ცდილობენ გააღვივონ კონფლიქტები და ჩამოაგდონ ეთნიკური შუღლი როგორც ინდივიდებს, ისე ჯგუფებს შორის. გადაბირების წარმატებისათვის ხელსაყრელ პირობას ქმნის ქვეყნის ხელისუფლებაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრება და ძლიერი ლობისტური ჯგუფების დახმარებით სამიზნე პირებისადმი არასწორი წარმოდგენების ინსპირირება, რომლისათვის დეზინფორმაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს. უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობის მასშტაბურობის მნიშვნელოვან პირობად უნდა ჩაითვალოს ჩრდილოეთ კავასიაში გავრცელებული ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა ვაჰაბიზმი. ამ მიმართულებით პირველი თემები კავკასიაში XX საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა და მათი გავლენის არეალის მნიშვნელოვანი გავრცელება ძირითადად გარე ძალების (უცხო სახელმწიფოთა) გავლენის და დაფინანსების ხარჯზე ხდებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიტური იდეების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება გახდა ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნა საუდის არაბეთში, ქუვეითსა და პაკისტანში, საიდანაც დაბრუნებული სტუდენტები რადიკალური იდეებით გამოირჩეოოდნენ. მათი უმრავლესობა დღეისათვის ვაჰაბიტების ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენს. ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიტური იდეების გავრცობისათვის, კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საშუალება უცხოელ მქადაგებელთა შემოდინება-საქმიანობა გახდა, რომელმაც განსაკუთრებულ პიკს გასული საუკუნის 90-იან წლებში მიაღწია. ამ მიმართულებით გამოირჩეოდა სახელმწიფო პაკისტანი. ისლამის არასწორმა ინტერპრეტაციამ უშუალოდ პაკისტანიდან შუააზიელი ვაჰაბიტების მეშვეობით შემოაღწია.

ჩრდილოეთ კავასიის მოსახლეობა ეთნიკური, რელიგიური შემადგენლობიდან და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების და ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მოწყვლად გეოგრაფიულ სეგმენტს წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია მრავლობითი გადაბირების შემთხვევები, როდესაც ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში კავკასიელები ჩნდებიან. მძიმე სოციალური პირობები, საკუთარი თავის დაუმკვიდრებლობა, რელიგიური ავტორიტეტის მქონე პირების მიერ აქტიური სააგიტაციო ხასიათის საუბრები ქმნიან ტერორისტებისთვის მოწყვლად გარემოს. გადაბირებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, მეტიც, ხშირად მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება მათი იდენტიფიცირება, როცა ისინი გარდაცვლილთა სიაში აღმოჩნდებიან. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადაბირებულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა თარხან ბათირაშვილი იყო, რომელმაც საკუთარი საქმიანობიდან და ტერორისტების მიერ მინიჭებული ტიტულიდან გამომდინარე საკუთარი სახელი მსოფლიოს კარგად დაამახსოვრა. საქართველოს მოქალაქე, ქართულ არმიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობის მქონე პიროვნება მალევე აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. პატიმრობის შემდეგ კი საზღვარი გადაკვეთა და შეუერთდა ,,ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ცნობილ ტერორისტულ ორგანიზაციას. მის გონებაში დამკვიდრებულმა რადიკალიზმმა გამოხატულება ძალადობრივ მეთოდებში ჰპოვა. მეტად

საყურადღებო ის ფაქტი გახლდა, რომ თარხან ბათირაშვილის საქციელი და მისი გადასვლა ,,ისლამურ სახელმწიფოში“ პანკისის ხეობის მოსახლეობის უმრავლესობამ აღიქვა, როგორც გმირული საქციელი და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისგან თავის დაღწევის საშუალება.

ნაშრომის შედეგები:

- კავკასიის რეგიონი უცხო სახელმწიფოთა მხარდაჭერილი და სადაზვერვო მიზნებით გამოყენებადი სეპარატისტული რეჟიმების არსებობის გამო, ტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისათვის მოწყვლად რეგიონს წარმოადგენს;
- ტერორიზმის განვითარებას ხელს უწყობს ლობისტური ჯგუფების მხრიდან სადაზვერო ზეგავლენისა და შეღწევადობის ნიშნების შემცველი საქმიანობა, რომლის მიზანსაც ობიექტი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო შედეგის დადგომა წარმოადგენს;
- ტერორისტული ორგანიზაციები ქმნიან ე.წ. “სადაზვერვო ჯგუფებს”, რომლებიც აქტიური ჯაშუშური საქმიანობის წყალობით ცდილობენ გაამწვავონ ვითარება და მიაღწიონ მიზნებს დაზვერვის ობიექტ რეგიონსა თუ სახელმწიფოში;
- გადაბირების ორგანიზებისათვის სახელმწიფოები და ტერორისტული ორგანიზაციები ობიექტებად, ზემოქმედების ობიექტ სახელმწიფოში, ხშირ შემთხვევაში ირჩევენ ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს;
- სახელმწფოთა სადაზვერვო სამსახურები და ტერორისტული ორგანიზაციები გადაბირებითი საქმიანობის წარმატებისთვის ქმნიან პირობებს ობიექტი ქვეყნის შიგნით ეთნიკური შუღლისა და დაპირისპირების ხელოვნურად ინსპირირებისათვის, რომლის დროსაც აქტიურად იყენებენ ისეთ მეთოდს, როგორიცაა დეზინფორმაცია.
- ტერორიზმის ორგანიზებისათვის ჯაშუშური საქმიანობის ძირითად იარაღად გამოყენებულია ისლამის არასწორი ინტერპრეტაცია, რომლის გავრცელება ავტორიტეტული პირების მიერ ქადაგების მეშვეობით ხორციელდება;
- ტერორიზმის ორგანიზებისათვის გამოყენებადი ვაჰაბიტური იდეები მოწყვლადი ხდება იმ ახალგაზრდების გონებისათვის, რომლებიც განათლების მისაღებად მიემგზავრებიან რადიკალიზმის იდებიის გავრცელებით გამორჩეულ სახელმწიფოებში;
- უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურებისა და ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, გადაბირებისთვის მყარი ნიადაგი იქმნება მაშინ როდესაც ზემოქმედების სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობების მიმართ ქვვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ფიქსირდება უარყოფითი დამოკიდებულებები ან ინსპირირებულია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

რეკომენდაციები :

- ტერორიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო სამსახურების ყურადღება მაქსიმალურად უნდა იქნას გამახვილებული, რადიკალიზმით გამორჩეულ უცხო სახელმწიფოებში სასწავლო პროგრამებში მონაწილე პირების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ, მოღვაწეობენ ან სტუმრად იმყოფებიან საქართველოში, რათა თავიდან იქნას აცილებული ტერორისტული ქმედებები;

- სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უწყებების ყურადღება უნდა გამახვილდეს სადაზვერვო მიზნებით მოქმედი ლობისტური ჯგუფების საქმიანობაზე ეთნიკური სიჭრელით გამორჩეულ რეგიონებში;
- კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში რეაგირებას უნდა დაექვემდებაროს ის ორგანიზაციები და პირები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ისლამის არასწორი ინტერპრეტირებას;
- უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურებისა და ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან დამაზიანებელი საქმიანობის თავიდან არიდების მნიშვნელოვან პირობად სახლმწიფოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანასწორუფლებიანობა შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში“ თბილისი, 2009;
2. „გადმობირების მიმართულებები, მეთოდები და ხელშემწყობი ფაქტორები“-კახა ფუტკარაძე https://www.scribd.com (ნანახია 15.05.2019);
3. ,,ტერორისტული დაზვერვა თამილი ვეფხვების მაგალითზე“ - პაპუნა ნოზაძე https://www.scribd.com (ნანახია 17.05.2019);
4. ,,ეთნიკური უმცირესობების როლი დაზვერვაში“ - ქამრან მამედოვი https://www.scribd.com (ნანახია 17.05.2019);
5. ,,ტერორიზმი - მუდმივი საფრთხე ცვალებადი მიზნებით“ დავით ბოლქვაძე http://mastsavlebeli.ge (ნანახია 15.05.2019);

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's Educational Program in International Relations and International Security

Liziko Pipia

Intelligence nature of Terrorism in Caucasus

Summary

Terrorism is one of the toughest challenges for the International Relations in the 21st century, that threatens the existence of the States in peace and hinders their stable development. The scope of the destructive impact of terrorism is increased when it is implemented with the State support and when it is performed in accordance with the strategic objectives of that State. Like the Intelligence Agencies of the state, terrorist organizations organize recruitment and espionage activities with States or independently to resolve their goals and objectives. The significant emphasis with this regard is made on the ethnic and religious minorities in the State that is subject to damage. Consequently, to combat terrorism as an intelligence function, special mobilization of the counter-intelligence agencies and State support are strongly required.

Keywords: Intelligence, Intelligence interests. Ethnic minority. Conflicts incited

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности

Лизико Пипиа **Разведывательный характер терроризма на Кавказе**

Резюме

Одним из острейших вызовов международных отношений 21-го века является терроризм, создающий опасность для существования государств и их развития в мирной обстановке. Масштабы разрушающего воздействия терроризма увеличиваются тогда, когда он осуществляется при поддержке государств и в соответствии со стратегическими целями этих государств. Подобно разведывательным службам государств, террористические организации вместе с государствами или самостоятельно осуществляют переманивание и организацию шпионажа для достижения своих целей и выполнения своих задач. С этой точки зрения, важные акценты делаются на этнических и религиозных меньшинствах государств, подверженных повреждению. Соответственно, необходима особая активность контрразведывательных служб и государственная поддержка для борьбы с терроризмом, как с направлением, имеющим разведывательную функцию.

Ключевые слова: Разведка, Разведывательные интересы, Этническое меньшинство, Инспирирование конфликтов.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ბუხუტი სიჭინავა

წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

თანამედროვე მსოფლიოში წყლის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური თემაა. მსოფლიო წყლის რესურსების მხოლოდ 2.5%-მდეა გამოსაყენებლად ვარგისი. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს მსოფლიოში წყლის რესურსების არათანაბარი განაწილება. არიდული და სემი-არიდული კლიმატის გამო წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდის ახლო აღმოსავლეთის რეგიონიც. წყლის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო ართულებს ურთიერთობებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის, რამაც მომავალში შესაძლოა დიდი კონფლიქტები გამოიწვიოს.

საკვანძო სიტყვები: წყლის რესურსები, დაზვერვა, ეკონომიკური დაზვერვა, სამეცნიერო დაზვერვა

არიდული და სემი-არიდული[1] კლიმატის გამო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წყალი ძალიან ცოტაა, რაც მას მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რესურსად აქცევს. წყალს, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, აღდგენად პროდუქტს, მსოფლიოში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთში ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა გააჩნდა. უძველესი ცივილიზაციები სწორედაც რომ სამდინარეო აუზებში იქმნებოდა. ევფრატი და ტიგროსი შუამდინარეთის ცივილიზაციების აკვანია, ნილოსის არსებობობამ კი საფუძველი ეგვიპტურ ცივილიზაციას ჩაუყარა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო შეგვიძლია მივიჩნიოთ წყლით უზრუნველყოფილად. ამ მხრივ გამოირჩევა თურქეთი, ხოლო წყლის რესურსებით შედარებით უზრუნველყოფილია ირანი, სირია და ერაყი, თუმცა მსგავსად თურქეთისა ამ ქვეყნებშიც წყალი ქვეყნის შიგნით არათანაბრადა გადანაწილებული. რაც შეეხება ეგვიპტეს სადაც წყლის რესურსების 90%-ზე მეტი ნილოსზე მოდის, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე სერიოზული პრობლემები უნდა შეექმნეს. რეგიონის დანარჩენი ქვეყნები კი წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდიან. ამ მხრივ, წყლის ყველაზე სერიოზული დეფიციტი იემენს აქვს, სადაც არც ერთი მუდმივი მდინარე არ მიედინება და წლიური ნალექი ძალზე მცირეა.

წყლის განაწილების პრობლემა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის გასული საუკუნის დასაწყისიდან, როგორც მსოფლიოში, ასევე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მოსახლეობის სწრაფმა მატებამ პროპორციულად გაზარდა წყლის რესურსების მოხმარება, რამაც მნიშვნელოვან ცვლილებებს დაუდო საფუძველი რეგიონში. წყალზე მოთხოვნა გაიზარდა როგორც საყოფაცხოვრებო მოხმარების, ასევე სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური გამოყენების მხრივ.

ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, სიონისტურმა მოძრაობამ წარმატებული სადაზვერვო-დიპლომატიური საქმინაობის მეშვეობით მომავალი ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები ახლო აღმოსავლეთის წყლით შედარებით მდიდარი რაიონების (მდ. იორდანე, მდ. ლიტანი, გოლანის მაღლობები, ლიბანის სანაპირო ზოლი) კონტურებში მოაქცია, რამაც სფუძველი ჩაუყარა არაბულ ქვეყნებთან განგრძობად კონფლიქტს. წყლის პრობლემა პალესტინაში დღემდე მოუგვარებელ თემად იქცა. 1919 წლის თებერვლში სიონისტური ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ წერილში პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ნათლად არის ნათქვამი რომ პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე წყლის რესურსებთან არის დაკავშირებული. წერილში ასევე

[1] არიდული და სემი-არიდული - მშრალი და ნახევრად მშრალი.

ხაზგასმული იყო, რომ წყლის მოხმარება-ათვისებასთან ერთად ამ რესურსების გაკონტროლებაც აუცილებლობას წარმოადგენდa.

წყლის რესურსების გამო ისრაელსა და არბულ ქვეყნებს შორის სერიოზული კონფლიქტი იყო ინსპირირებული გასული საუკუნის 60-იანი წლებში, როდესაც ისრაელმა ჩრდილოეთიდან (კინერეთის ტბიდან) ეროვნული წყალგამტარი ააშენა ქვეყნის სამხრეთის წყალმცირე რაიონებისკენ[2]. ქმედების საპასუხოდ არაბულმა ქვეყნებმა სამეცნიერო დაზვერვის ჩართულობით, შეიმუშავეს გეგმა (ნაწილობრივ განახორციელეს კიდევაც), რომლის მიხედვით კინერეთის ტბის მთავარ წყაროს, მდ. იორდანეს სათავეს შეუცვლიდნენ მიმართულებას ლიბანისაკენ და იორდანეს შენაკადს მდ. იარმუკს გამოიყენებდნენ იორდანიაში დაპროექტებული მუხეიბას წყალსატევის ასავსებად. ამ გეგმის განხორციელების და ბოლომდე მიყავნის შემთხვევაში ისრაელის ეროვნულ წყალგამტარს უწყლოდ დარჩენა ემუქრებოდა, რაც სერიოზულ კრიზისს გამოიწვევდა ქვეყანაში. ისრაელმა თავის ეროვნული იტერესებიდან გამომდიანარე, 1965 წელს სამხედრო ავიაციის მეშვეობით განახორციელა წერტილოვანი დარტყმები არაბი მეზობლების მშენებარე ობიექტებზე, რამაც არაბულ სახელმწიფოებს უარი ათქმევინა პროექტის განხორციელებაზე.

დაპირისპირება ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ამით არ დასრულებულა. 1967 წლის ,,ექვსდღიანი ომის“ შედეგად ისრაელი სირიის ტერიტორიას, გოლანის მაღლობებს, დაეუფალა და კინერეთის ტბის მთავარ წყალშემკრებებზე კონტროლით წყლის პრობლემა თავის სასარგებოლდ გადაჭრა[3]. უნდა ითქვას, რომ ისრაელსა და სირიას შორის კონფლიქტის მაუგვარებლობა იმდენად ტერიტორიულ საკითხს არ უკავშირდება, რამდენადაც წყალს (გაჩეჩილაძე 2018).

წყალი არის დაპირისპირების მიზეზი სირიასა და თურქეთს შორის, რაც მოსაზრებას, წყალზე კონტროლის მიზნით სადაზვერვო აქტივობების შესახებ კიდევ უფრო ამყარებს. დაპირისპირების მიზეზი სირიის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში მდინარე ორონტესზე (არაბ. ნაჰრ-ალ-ასი) კაშხლის აგებამ გამოიწვია. თურქეთმა თავიდანვე შეშფოთება გამოთქვა ამ პროექტთან დაკავშირებით თუმცა სირიამ არ გაითვალისწინა მათი ინტერესები. თურქეთმა წამოაყენა წინადადება რომ მოლაპარაკებები ეწარმოებინათ წყლის გაყოფის თაობაზე. მათი მტკიცებით კაშხალის აშენება მნიშვნელოვნად შეამცირებდა წლის დონეს ჰათაის ილში (თურქული პროვინცია), რაც შესაბამისად აზარალებდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც სოფლის მეურენობით იყვნენ დაკავებულნი (ყოველივე კი წყლის რესურსებზე სადაზვერვო კონტროლით ეკონომიკური დაზვერვის ინტერესების ასრულების შესახებ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა). სირიის მხარემ თავიდანვე უარყო ეს წინადადება, რადგანაც თურქეთთან შეთანხმება მდინარე ორონტესისის გაყოფის შესახებ ნიშნავდა, რომ სირიას უარი უნდა განეცხადებინა თავის პრეტენზიაზე ჰათაის ილის მიმართ. სირიის მთავრობა დღემდე მიიჩნევს რომ 1939 წელს თურქეთმა საფრანგეთის მეშვეობით უკანონოდ მიისაკუთრა მათი ტერიტორია, რაც ამ ორი სახელმწიფოს სადაზვერვო კოორდინაციაზე უნდა მიანიშნებდეს. სირიამ თავისი სუვრენული უფლებისა და ,,ჰერმონის დოქტრინის“[4] საფუძველზე დაყრდნობით მდინარე ორონტესზე კაშხლის მშენებლობა ბოლომდე დაასრულა.

სირიის ხელისუფლებმა ვერ გათვალა ის საპასუხო ნაბიჯები რაც თურქეთისგან შეიძლება წამოსულიყო, რაც ეკონომიკური და სამეცნიერო დაზვერვის განხორციელების დაბალ ხარისხზე უნდა მიანიშნებდეს. სულ მალევე თურქეთმა გრანდიოზული პროექტის განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი

---

[2] გაჩეჩილაძე რ. ახლოა ღმოსავლეთი: გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, გვ.74, თბილისი, 2018.

[3] იქვე;

[4] 1896 წელს აშშ-ის გენერლური პროკურორის, ჯადსონ ჰერმონის მიერ გამცხადებული დოქტრინა - ,,საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი არის ყველა სახელმწიფოს აბსოლიტური სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე. ამჯერად საერთაშორისო სამართლის მიხედვით მსგავის ტიპის დავები სახელწიფოთა პასუხისმგებლობისა და მსფლიო მოქალაქეობის კონცეეფციით გვარდება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, რამაც როგორც სირიის ასევე ერაყის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სირიას უკვე სერიოზული პრობლემები გაუჩდა წყლის გაყოფასთან დაკავშირებით. მდინარე ევფრატზე თურქეთის მიერ დაწყებულმა მშენებლობებმა მნიშვნელოვნად დაწია წყლის დონე სირიის ტერიტორიაზე გამავალ ევფრატზე. მიუხედავად იმისა რომ სირიამ მდ. ევფრატზე გასული საუკუნის 70-იან წლებში ტაბაკას კაშხალი ააგო თავისი სასოფლო-სამეურნეო და წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად, ბოლომდე მაინც ვერ უზრუნველყო საკითხის მოგვარება, რადგანაც რეზერვუარში წყლის შევსება იმაზე იყო დამოკიდებული თუ მდ.ევფრატის ჩამონადენის რა ნაწილს გამოუშვებდა თურქეთი. შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაზვერვოს საქმიანობის შედეგად სახეზე იყო ეკონომიკური დივერსიის მაინსპირირებელი მდგომარეობა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი, რომელიც ერთ-ერთი ძვირადღირებული პროექტია ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დასრულებული. პროექტის ფარგლებში მდინარეებზე ევფრატსა და ტიგროსზე 22 კაშხალი და 19 ჰესის მშენელობაა დაგეგმილი. ანკარა ამ პროექტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, ასევე მათი აზრით ამ ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას მოუტანს იქ მცხოვრებ სეპარატისტულად განწყობლ ქურთ მოსახლეობას, რაც თავისთავად სეპარატიზმის შესუსტებას გამოიწვევს.

თურქეთის ტერიტორიაზე აშენებულმა და მშენებარე კაშხლებმა მნიშვნელოვნად შეამცირა წყლის დონე ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე. თურქეთის ტერიტორიაზე ევფრატის შეტბორვამ 6 მლრდ $მ^3$-ით შეამცირა წყლის რაოდენობა სირიის ტერიტორიაზე. პროექტის დასრულების შემდგომ ვარაუდობენ რომ ის 16 მლრდ $მ^3$-მდე გაიზრდება.

საინტერესო მოვლენები მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთის აფრიკულ ნაწილში და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს და კონფლიქტის ახალი კერა წარმოიქმნას. დაპირისპირების მიზეზი კი მდინარე ნილოსის ათვისებას უკავშირდება. ეთიოპია და ეგვიპტე ამ შემთხვევაში შეგვიძლია ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებდ განვიხილოთ. ეთიოპიის მიერ მდინარე ნილოსზე კაშხლის მშენებლობა ეგვიპტის სერიოზულ უკმაყოფილებას და შეფოთებას იწვევს. გარდა ამისა, ეთიოპიის პარლამენტმა ნილოსის წყლის რესურსის განაწილების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახინდა. შეთანხმებას 2010 წელს ხელი მოაწერეს ეთიოპიამ, რუანდამ, ტანზანიამ, უგანდამ. მოგვიანებით მას შეერთდნენ კენია და ბურუნდი. დოკუმენტი ითვალისწინებს ნილოსის წყლის ახალ გადანაწილებას, ასევე მდინარის აუზში წყლის პროექტებზე კომისიის შექმნას. შეთანხმების მიღმა დარჩნენ ნილოსის მთავარი მომხმარებლები: ეგვიპტე და სუდანი. ეს ქვეყნები აქტიურად გამოდიან ახალი დოკუმენტის წინააღმდეგ, რადგან ის ფაქტიურად ცვლის 1959 წელს მიღწეულ შეთანხმებას, რომელშიც ეგვიპტისა და სუდანის ინტერესები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. შესაბამისად მოსალოდნელია სადაზვერვო აქტივობებით სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება.

საქართველოს წყლის რესურსებზე უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ზეგავლენის პერსპექტივები როგორც უკვე ავღნიშნეთ, თურქეთში მდინარეებზე მიმდინარე მშენებლობები და შეტბორვითი სამუშაოები სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად სერიოზულ ზიანს აყენებს სიარია-ერაყს, გარდა ამისა აღნიშნული პროცესი სერიოზული საფრთხის შემცველია საქართველოსთვისაც.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თურქეთის მიერ მდინარე ჭოროხზე და მის შენაკადებზე კაშხლების მშენებლობა, მკვეთრად ამცირებს შავ ზღვაში მყარი ჩამონადენის (ხრეში, ხვინჭა) მოცულბას. მომდინარე საფრთხე საკმაოდ სერიოზულია, რადგან ამით შესალოა მკვეთრად შეცირდეს ბათუმის მწვანე კონცხისა და ბათუმის სანაპიროები. აუცილებელია ეკოლოგიური, ეკონომიკური და სამეცნიერო დაზვერვის მიმართულებით სერიოზული საქმიანობის ორგანიზება, რათა გამოიკვეთოს საფრთხეები და

დაიგეგმოს ქმედითი ღონისძიებები მათ აღსაკვეთად.

საქართველოს წყლის რესურსებზე კონტროლის პერსპექტივის თვალსაზრისით საყურადღებოა არაბთა გაერთიანებული საამიროების (აგს) ინტერესები, უცხო სახელმწიფოების წყლის რესურსებზე კონტროლის თვალსაზრისით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აგს-ის, 2019-2036 წლების, ეროვნული უსაფრთხოების სატრატეგიაში წყლის უსაფრთხოების შესახებ სოლიდური თანხები არის გამოყოფილი. გეგმის საწყისი ეტაპი მოიცავს მილსადენების გაყვანას, ტანკერების და ზღვის წყლის გაფილტვრისათვის საჭირო ნაგებობების მშენებლობას, რომლის ღირებულება დაალხოებით 700 მილიონ დოლარს შეადგენს. მათი გათვლით მომავალში გაწეული სამუშაოებისთბის 20 დან 25 მლრდ-მდე დოლარის დახარჯვაა შესაძლებელი.

საქართველოს წყლის რესურსებზე კონტროლის პერსპექტივის თვალსაზრისით საყურადღებოა ირანის სადაზვერვო ხასიათის სადაზვერვო ინტერესები. ურმიის ტბა, რომელსაც ირანი სასაოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის იყენებს წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. შექმნილი ვითარების მოგვარების აუცილებლობა სერიოზულ პრობლემად განიხილება და მისი გადაწყვეტა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰასან როუჰანიმის წინა საარჩევნო დაპირებაშიც მოხდა. ირანის ხელისუფლება მზადა 10 წლის განმავლობაში მოახდინოს ურმიის ტბის რეანიმაცია და ამისთვის ხელისუფლება მზადაა წელიწადში 5-მლრდ დოლარი დახარჯოს. ლოგიკურად იბადება კითხვა: როგორ უნდა შეივსოსო ურმიის ტბა? ერთ-ერთი ვერსიით, როგორც ეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქრთველოში აბას თალებ იფარიმ 2016 წლის აპრილში განაცხადა, ირანი ურმიის ტბის აღდგენას საქართველოდან და სომხეთიდან ,,გადასროლილი“ წყლის მიღებით გეგმავს. აბას თალებ იაფრის თქმით ამისთვის ორი გზა არსებობს 1. დასავლეთ საქართველოს მდინარეების წყის გადატუმბვა ურმიის ტბაში (როგორც ცნობილია პროექტის ეკონომიკურ-ფინანსურ მიზანშეწონილობაზე მუშაობენ შესამისი ინსტიტუტები) და 2. საქართველოს არტეზიული წყლების ,,გადასროლა“ აზერბაიჯანის ტერიტრიის გავლით. „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძის განცახადებით პროექტის განხორციელება და მდინარეების ,,გადასროლა“ ურმიის ტბაში შესაძლოა ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასი ქმედება გახდეს.

დასკვნა:

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, წყალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რესურსია, რომლის გამო სახელწიფოთა შორის ,,წყლის ომები“ შეიძლება დაიწყოს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ მსოფლიოს მოსახლეობა და ურბანიზაციის დონე ყოველდრიურად მატულობს მას მომავალში უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება. მდგომარეობას ართულებს შემდეგი ფაქტიც, მთელ მსოფლიში 261 სამდინარეო აუზი ორი ან მეტ ქვეყანას შორისა გაყოფილი, რაც თავისთვად ,,წყლისათვის ომის“ საფრთხეს ზრდის.

მსგავის მოვლენების ფონზე საქართველომ ყურადღება უნდა გამოიჩინოს და დროული სამუშაობი აწარმოოს ყველა მიმართულებით, რათა მომავალში სერიოზული პრობლემები ავირიდოთ თავიდან.

ნაშრომის შედეგები:

- წყალი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია, რის გამოც მომავალში ქვეყნებს შორის კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდება.
- სახელმწიფოები, რომლებთაც ფინანსური რესურსები გააჩნიათ აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას აწარმოებენ თავიანთი ქვეყნის წყლის რესურსების უზრუნველყოფისათვის.
- ქვეყნები რომლებიც აქტიურ შეტბორვით სამუშაოებს აწარმოებენ მდინარეებზე, მომავალში ეკოლოგიური ცვლილებებს გამოიწვევს.

რეკომენდაციები:

- იმისათვის რომ ქვეყნებს შორის კონფლინქტები არ გამწვავდეს საჭიროა სახელმწიფოებმა გონივრული ნაბიჯები გადადგან და არსებული დავები საერთაშორისო სამართლის ნორმის ფარგლებში მოაგვარონ.

- გონივრულად და მაქსიმალური სიფრთხილით გამოიყენონ სახელმწიფოება წყლი.
- საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენს თავისი ენერგორესურსები ეკონომიკური და ფინანსური მოგებისთვის, თუმცა იმგვარად რომ ამან ეკოლოგიური პრობლემები არ უნდა გამოიწვიოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, თბ., 2018;
2. სმიტი დ. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები, კონფლიქტების ატლასი და მოგვარების გზები, აშშ, ლოს-ანჯელესი, 2006 წელი;
3. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008;
4. Prof. Dr. Nevzat YALÇINTAÇ, Water conflict in the middle east. https://fr.ircwash.org/sites/default/files/276-96WA-13640.pdf; (ბოლოს ნანახია 04.06.19);
5. ეგვიპტისა და ეთიოპიის დაპირისპირება ნილოსის საკითხზე, 2013 წ. http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2222.pdf (ბოლოს ნანახია 04.06.19);
6. ByJason Saundalkar. UAE spending $1.57bn on power and water projects in Northern Emirates. March 10, 2019. http://meconstructionnews.com/33772/uae-spending-1-57bn-on-power-and-water-projects-in-northern-emirates (ბოლოს ნანახია 04.06.19);

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's Educational Program in International Relations and International Security

Bukhuti Sitchinava

Water and politics in the Middle East Region

Summary

In the modern world water resources related problems is an important issue. The earth is covered 70 % by water, however a mere 2.5 % of all this water is drinkable, moreover the situation for usable water resources get even more complicated due to uneven distribution in the world. Water shortage dilemma is exasperated in the Middle East Region, due to its arid and semi-arid climate. Therefore, water resources related problems has caused friction among the Middle East countries which might lead to conflict in the future.

Keywords: Water Resources, Intelligence, Economic Intelligence, Scientific Intelligence.

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности

Бухути Сичинава

Вода и политика Регионов Ближнего Востока

Резюме

Одной из актуальных тем современного мира является проблема водных ресурсов. Всемирные водные ресурсы пригодны для использования только на 2.5%. Не равное распределение водных ресурсов еще больше усложняет положение. В регионах Ближнего Востока из-за полузасушливого и засушливого климата испытывают серьезный дефицит воды. Проблема, связанная с водными ресурсами, еще больше усложняет отношение Ближе-Восточных регионов между другими странами, что может стать причиной большого конфликта.

Ключевые слова: Водные ресурсы, разведка, Экономическая разведка, Научная разведка

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ნინო ბოლქვაძე

საქართველოს სასაზღვრო ზოლი 1918-1921 წლებში და მეზობელ სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობები

განსაზღვრული სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სტრატეგიული, ეკონომიკური, ისტორიული და პოლიტიკური თვალსაზრისით მოწესრიგებული საზღვრები. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს ამ კუთხით თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს თავისი სასაზღვრო ზოლის განმტკიცება, რაც ხშირად გამხდარა სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებზე დაპირისპირებისა და შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. სხვადასხვა სახელმწიფოები მუდმივად პროვოცირებენ, რომ დაირღვეს სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ატრიბუტი - ,,საზღვრების ურღვევობის პრინციპი."

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია, დაზვერვა, სადაზვერვო საქმიანობა, სადაზვერვო ინტერესები

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სწრაფად იცვლებოდა საერთაშორისო ვითარება, რაც აისახებოდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის ტერიტორიულ მთლიანობაზე. ამ პერიოდში ჯერ კიდევ ხდება ტერიტორიების გადანაწილება, რაც უმეტეს შემთხვევაში პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის და ახალი კონფლიქტებისა და დაძაბულობის კერებს წარმოშობდა. არც საქართველო გამორჩენია მსგავს მოვლენებს.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით შექმნილმა ამიერკავკასიის რესპუბლიკამ მცირე პერიოდით არსებობის შემდგომ, დაპირირისპირებით დაიშალა, რის შედეგადაც 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ შეძლო 117 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული იყო რომ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

მთელი დამოუკიდებლობის პერიოდი საზოგადოებაში არსებობდა განწყობა, მასზედ, რომ როგორ მოულოდნელადაც მოხდა დამოუკიდებლობის მოპოვება ისე მარტივად შეიძლებოდა მისი დაკარგვა. დამოუკიდებლად არსებობის სამწლიან პერიოდში, უცხო სახელმწიფოები მუდმივად პროვოცირებდენ, რომ დარღვეულიყო სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ატრიბუტი - ,,საზღვრების ურღვევობის პრინციპი." ამ კუთხით გამორჩეული იყო მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებდნენ. არსებობდა მსგავსი ქმედებების მაინსპირირებელი გარემოებები. დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით ხელშემშლელ გარემოებად, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მნიშვნელოვანი დროით, საქართველოს საზღვრებზე საბაჟო კონტროლის განმხორციელებელი, რუსეთის იმპერიის პირობებში დაწესებული საბაჟოები და იქ მომსახურე რუსი მოხელეები უნდა მივიჩნიოთ.ისინი

საქართველოს ინტერესების საზიანო საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. პრაქტიკულად დამოუკიდებელ ქვეყანას განვითარებისათვის არ გააჩნდა ისეთი საზღვრები, რომელიც სახელმწიფოს უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას განამტკიცებდა.

გეოგრაფიულმა ფაქტორმა თუ ერთი იმპერიის ფარგლებში ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ, სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ინტეგრაციაც განაპირობა. საქართველოზე გაუვლელად და ბათუმის გარეშე აზერბაიჯანის ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე ვერ მოხვდებოდა, სომხეთისათვის საქართველოს რკინიგზა გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი უმთავრესი არტერია იყო, ხოლო აზერბაიჯანულ ენერგორესურსებს (ნავთობი, სამანქანო ზეთი, საპოხ-საცხები მასალები) სომხეთისა და საქართველოსათვის ალტერნატივა არ გააჩნდა. დაპირისპირების მასშტაბებს ზრდიდა სამხრეთ კავკასიის დომინანტ ერთა შიდა წინააღმდეგობა, რაც ეროვნულ ინტერესთა შეუსაბამობაში, ტერიტორიულ გამიჯვნისა და საზღვრების პრობლემაში მდგომარეობდა. ამ ფონზე, ქართული სახელმწიფოს მესვეურები საგარეო პოლიტიკურ სფეროში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან და კეთილმეზობლურ თანამშრომლობას, კავკასიის ეკონომიკურ და სამხედრო-თავდაცვით შეკავშირებას ისახავდნენ.

კავკასიურ სახელმწიფოთა ურთიერთობის (დაპირისპირების) ხასიათზე საგარეო ფაქტორების გარდა (მსოფლიო ომი და მისგან გამომდინარე შედეგები), სერიოზულ გავლენას ახდენდა ტერიტორიებისა და საზღვრების გაუმიჯნაობა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა, იგი მეზობელთა მხრიდან უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს მაინც ვერ ასცდა. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირების ისტორიიდან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი პერიოდი 1918-1921 წლები.

განსაკუთრებული დაძაბულობით გამორჩეული იყო, კავკასიის პოლიტიკური ელიტის იგნორირებით, 1918 წლის მარტში დადებული ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბათუმის, ყარსისა და არტაანის მიწები თურქეთს უნდა გადაცემოდა. მშვიდობიანი სახელშეკრულებო ვალდებულების აღუსრულებლობის გამო, ოსმალებმა დაპყრობითი ბრძოლებით კონტროლს ბათუმი, არტაანი, ოზურგეთი, ახალციხე დაიქვემდებარეს. ამ ბრძოლის ფარგლებში ტერიტორიები დაკარგა აზერბაიჯანმა და სომხეთმა. ტერიტორია წართმეული სახელმწიფოების მშვიდობიანი მოლაპარაკების სურვილს ოსმალთა მხრიდან, ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ულტიმატუმი მოჰყვა. რესპუბლიკის გამოცხადება 1918 წლის 22 აპრილს გახდა შესაძლებელი, ხოლო მისი პირველი აღიარება 5 დღის შემდგომ სწორედ ოსმალეთმა განახორციელა. მეზობელ სახელმწიფოთა ხელისუფალთა დაპირისპირებამ აღნიშნული ფედერაციის რღვევა გამოიწვია.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისას თურქეთის კონტროლს ექვემდებარებოდა სამხრეთ საქართველო და არსებობდა საფრთხე, რომ მტრულად განწყობილი სახელმწიფო ხელთ იგდებდა ბორჯომის ხეობასა და საქართველოს დედაქალაქს. აღნიშნული საფრთხის თავიდან ასარიდებლად 1918 წლის ივნისში დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებთან ერთად თურქეთს უნდა გადასცემოდა. ეს იყო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას არ დაქვემდებარებულა. ვითარების დროებითი განმუხტვა საქართველოში გერმანული ქვედანაყოფების შესვლამ გაანეიტრალა.

დამოუკიდებლად ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში, საზღვრების გამიჯვნას აზერბაიჯანის ხელისუფლება რელიგიური პრინციპით უდგებოდა და საქართველოს ზაქათალის ოლქს, ასევე

მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების ნაწილს ეცილებოდა. სომხეთის მმართველი წრეები ტერიტორიების გაყოფას ეთნიკური და რეალური მოსახლეობის პრინციპით მოითხოვდნენ. ისინი ჩვენს ქვეყანას ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გამო ედავებოდნენ და პრეტენზია თბილისზე, გორზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზეც ჰქონდათ. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს, მათ თვალი აფხაზეთსა და შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მიწა-წყლის ნაწილზე ეჭირათ. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სახელმწიფო საზღვრების დადგენას ისტორიული, ეკონომიკური, სტრატეგიული და სხვა პარამეტრებით მიუდგა, მაგრამ მის განხორციელებაში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. სხვა სახელმწიფოებთან სადაზვერვო ალიანსით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა სამხედრო ზეგავლენით ზაქათალის ტერიტორია საკუთარ იურისდიქციას და რეალურ კონტროლს დაუქვემდებარა. აღნიშნული ქმედების ირგვლივ, ურეაქციოდ დასრულდა საქართველოს მთავრობის პროტესტი თუმც აზერბაიჯანის ხელისუფლება, საჯაროდ აცხადებდა, რომ: „ჩვენსა და საქართველოს შორის ურთიერთობა სავსებით მეგობრულია. არც ერთი მხრიდან არ არსებობს არავითარი უკმაყოფილება. სადავო საკითხები წყდება მშვიდობიანი გზით, ურთიერთნდობის საფუძველზე.“

საზღვრების დადგენის კუთხით, უშედეგო გამოდგა 1918 წლის შემოდგომაზე ყუბანის რესპუბლიკასთან მოლაპარაკებები. ამ შემთხვევაშიც საქართველოსადმი მტრულად განწყობილმა მხარემ სოჭისა და აფხაზეთის დათმობა მოითხოვა და ამ მიზნით საბრძოლო მოქმედებებიც კი აწარმოა, რომლის მოგერიება მოხერხდა.

სომხეთის პოლიტიკურმა ხელისუფლებამაც თავისი მისწრაფების განხორციელება ლორეს მაზრაში 1918 წლის ოქტომბერში ძალის პოზიციიდან მოსინჯა. ქართული მხარის დიდ წინააღმდეგობის გამო დაშნაკებმა იმხანად უკან დაიხიეს, თუმცა აგრესიულ გეგმებზე ხელი არ აუღიათ და იმავე წლის ბოლოს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედება წამოიწყეს. 1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის რეგულარული შენაერთები ბორჩალოში შეიჭრნენ, რამდენიმე დღეში მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს დაეუფლნენ და იერიში ახალქალაქის მაზრის სოფლებზეც მიიტანეს.

ინტერნაციონალიზმის ერთგულ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას ვერ წარმოედგინა, რომ „მოძმე“ სომხეთი საქართველოსთან ომს გააჩაღებდა, მაგრამ როცა სომხეთის მთავრობამ მას ტერიტორიის დაცლა თბილისის ჩათვლით ულტიმატუმის ფორმით ოფიციალურად მოსთხოვა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. 1918 წლის 18-31 დეკემბერს სომეხეთმა კვლავ გააგრძელა ბრძოლები საქართველოს წინააღმდეგ. ყოველივე ხორციელდებოდა იმ ფონზე, როდესაც სომხეთს მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან არ ჰქონდა სახარბიელო მდგომარეობა.

მიუხედავად წინააღდეგობისა, რომელშიაც უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესები იკვეთებოდა, პირველად საქართველომ და აზერბაიჯანმა სცნეს ერთმანეთის სუვერენიტეტი. 1919 წლის 8 მარტს საქართველომ სომხეთის რესპუბლიკა დე იურედ აღიარა, ხოლო იმავე წლის 24 მარტს სომხეთმაც იურიდიულად ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მხარეთა შორის მოწესრიგდა საგარეო ვაჭრობა, მოქალაქეთა მიმოსვლა, საკომუნიკაციო კავშირების აღდგენა და სხვა. რაც შეეხება საზღვრების პრობლემას, იგი კვლავ ღიად დარჩა, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მისი მოგვარების იმედით.

მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანი და სომხეთი სადაზვერვო აქტივობებით ასუსტებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. მათ გააჩნდათ რა, ჯაშუშური ქსელი აქტიურად იყენებდნენ რელიგიური და ეთნიკური თანხვედრის ფაქტორებს დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. ამავე მიზნებით

საყურადღებოა სადაზვერვო ფუნქციის მქონე სომხეთის დიპლომატიური მისიის, 1920 წლის ივნისის პროტესტი საქართველო-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების განუყოფელ ნაწილად აღიარებას.

1919 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ პარიზის საზავო კონფერენციისთვის მოხსენება მოამზადა საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნებისა და საქართველოს საზღვრების შესახებ, მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს საზღვრები უნდა მოიცავდეს ტფილისისა და ქუთაისის ყოფილ გუბერნიებს, ჩრდილო-დასავლეთით სოხუმის ოკრუგს და შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგის ტერიტორიას მდინარე მაკოფსემდე, სამხრეთ-დასავლეთით ბათუმის ოლქს, ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგებს, ერზრუმის ვილაიეთის ნაწილს (ჭოროხის ზედა ნაპირი) და ლაზისტანის სანჯაყის ნაწილს, აღმოსავლეთით ასევე ზაქათალის ოკრუგს. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს ისტორიული მიწებია და მოსახლეობის 75% ეთნიკური ქართველებისგან შედგება. მიუხედავად მოტივირებული მოხსენებისა საქართველოს ხელისუფლების იმედები ვერ გამართლდა.

საერთაშორისო არენაზე განცდილი წარუმატებლობის ფონზე, 1920 წელს თურქეთის, გერმანიისა და არგენტინის კვალდაკვალ საქართველო დე ფაქტო ცნეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ. ხოლო მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა საბჭოთა რუსეთმა, მოხდა რესპუბლიკის დე ჯურე ცნობა ანტანტის ქვეყნებისა და რიგი სხვა სახელმწიფოების მიერაც განხორციელდა.

როგორც განვითარებულმა ისტორიულმა პროცესებმა აჩვენა, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშკრულებით საბჭოთა რუსეთმა, პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით ჯაშუშური აპარატისათვის-კომუნისტებისათვის ლეგალური მუშაობის უფლება მოიპოვა, რაც სამხედრო ინტერვენციისათვის და გასაბჭოებისათვის ხელსაყრელი პირობის შექმნას ნიშნავდა.

ამრიგად, სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პრობლემა არც ახალია და არც დავიწყებას მიეცემა, რადგან საზღვრების ურღვევობის პრინციპიდან გამომდინარე იგი შორეული პერსპექტივაა და სახელმწიფოების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. სანამ საქართველო ბასრი ბრჭყალებით დაიცავს თავის სუვერენიტეტს და საზღვრების ურღვევობა არ გახდება მთავარი ამოცანა, მანამდე ჩვენი მტრულადგანწყობილი მეზობლები თავიანთი მძლავრი აგენტურით ყველაფერს აკეთებენ, რომ სტაბილურობა და ერთიანობა დაირღვეს.

ნაშრომის შედეგები:

- ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო უცხო სახელმწიფოთა მოწყვლად ტერიტორიას წარმოადგენს.
- სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრა და ამ ტერიტორიის დასაცავად განსაზღვრული სასაზღვრო ზოლი წარმოადგენს.
- სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლის მოშლა/გაუქმება, მიტაცება ყოველთვის იყო უცხო სახელმწიფოს დაინტერესების ობიექტი, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები.
- განვლილი ისტორიის საფუძველზე სადაზვერვო საქმიანობა არათუ ქრება, არამედ ვითარდება და კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს იღებს სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო

ურთიერთობებში, რომელიც მიზნად ისახავს უცხო სახელწიფოში შეღწევადობასა და მოწყვლადი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას.

- უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმინობის ხელსაყრელ მდგომარეობას, არსებული სახელმწიფოს განადგურება, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და ტერიტორიული უზრუნველყოფისთვის ხელის შეშლა წარმოადგენს.

რეკომენდაციები:

- სახელმწიფოს უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს მყარი საზღვრების ურღვევობა, რადგან შემცირდეს უცხო სახელმწიფოთა მიერ სადაზვერვო საქმინობის განხორციელება.
- სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უწყებების ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი მოწყვლადი ტერიტორიების დაცვისაკენ, რომლითაც დაინტერესებულია მეზობელი სახელმწიფო.
- გამკაცრდეს გადაადგილება ქვეყნის საზღვარზე და დაცული იყოს ყველა ის ნორმა, რომელიც ხელსშეუწყობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი 1991 , 380; გვ.
2. დ.კუხალაშვილი. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა და მისი მიზეზები.“ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია. თბილისი. 2003. 24 გვ;
3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921;
4. ხვედელიძე. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე) გვ.5-11;
5. ნ. ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში. საქართველო ქუთაისი ფილიალი 2002წ;
6. სამხარაძე ნ. სექტემბერი 2012. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი -წარსული და აწმყო. ნანახია 01.06.2019. http://css.ge;
7. ჯანელიძე ო. 2018 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271051/4/SaqartvelosDemokratiuliRespublikisNarkvevebi. pdf (ნანახია 20. 05.2019).

Caucasus International University Faculty of Social Sciences Master's
Educational Program in International Relations and International Security

Nino Bolkvadze

Frontier and adjoining states humints activity of Georgia from 1918 till 1921 years

Summary

Border lines demarcations are one of the necessary components of strategist, economical, historical and political view. In this aspect in their abilities every state try to demarcate their national frontier, but mostly exactly this is a reason of boundary disput and countierinsurgency. ,,Inviolability of frontiers” is major determining attribute of continuity of states. That is a reason why every states. Try to provocate each others and break the above-mentioned presumplion.

Keywords: Delimitation and demarcation of the state border, Intelligence, Intelligence activities, Intelligence interests;

Кавказский Международный Университет Факультет социальных наук
Магистерская образовательная программа по международным отношениям и международной безопасности
Нино Болквадзе

Граница Грузии в 1918-1921 годах и разведывательная деятельность соседних государств

Резюме

Обязательным условием существования определенного государства является стратегически, экономически, исторически и политически налаженные границы. Любое государство пытается обеспечить укрепление своей пограничной зоны, что часто было причиной конфронтации по поводу погранично-территориальных вопросов и вооруженных конфликтов. Те или иные государства постоянно провоцируют остальных дабы был нарушен один из определяющий госудрства атрибут- „Принцип нерушимости государственных границ.

Ключевые слова: Делимитация и демаркация государственной границы, Разведка, Разведывательная деятельность, Разведывательные интересы.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ცოტნე გურული

საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უსაფრთხოება

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია უსაფრთხო ეკონომიკური კავშირურთიერთობების ორგანიზება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფთრხოების სტრატეგიის განსაზღვრა, ქვეყნისათვის სასარგებლო, სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფოების სწორად შერჩევა, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებში ბაზრის დივერსიფიკაციის პრინციპების მყარი დაცვა.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური სტაბილურობა

სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავაჭრო პარტნიორების სწორად შერჩევაზე. ამ პროცესის მართებულობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ეს უკანასკნელი კი, პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაფართოებას. აღნიშნული პროცესის ორგანიზების ხარისხი პირდაპირპროპორციულია სოციალური სტაბილიზაციის ხარისხთან. შესაბამისად შეიძლება ვისაუბროთ სახელმწიფოს სიცოცხლისუნარია-ნობის ჯაჭვზე (ეკონომიკური სტაბილიზაცია-სავაჭრო-პრტნიორი ქვეყნები-სოციალური სტაბილიზაცია) სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური კავშირების ორგანიზება სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხორციელდება. მისი საბოლოო გაფორმება საერთაშორისო დონის ხელშეკრულებით ხორციელდება. სახელმწიფოს მიერ სწორად გათვლილი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სოციალური გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად, კარგი საინვესტიციო გარემოს შექმნის მყარი გარანტიაა. გამოდის, რომ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ორგანიზება ეროვნულ უსაფრთხოებასთან გადაჯაჭვული პროცესია.

ქართველი მეცნიერები საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორებად საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობას მიიჩნევენ. ისინი მიუთითებენ, რომ ,,საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა განვსაზღვროთ მისი სტრატეგია, რაც გულისხმობს: 1.ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი მახასიათებლების დახასიათებას; 2.ეკონომიკური პოლიტიკის და ყველა იმ მექანიზმის განსაზღვრას, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.“ [1]

ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანია მყარი საგარეო ვაჭრობის უზრუნველყოფა და უპირველესად ექსპორტის სტიმულირება წარმოადგენს, რითაც სახელმწიფოში სავალუტო შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი პირობა იქმნება. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ამ პროცესს სწორად წარმართავს იქმნება ადგილობრივი წარმოების შემდგომი გაფართოების ხელსაყრელი პირობა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა რეჟიმები არსებობს, რომლებიც გამომდინარეობს სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან, რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში მათი ადგილისა და

როლის შესაბამისად და სხვა.

იმპორტსა და ექსპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია და მისი უსაფრთხო განხორციელებისათვის ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომების სისტემური ანალიზი. კვლევით [2] დადგენილია, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ექსპორტის დივერსიფიკაცია, რადგან ამ პროცესით ისინი შეძლებენ არასტაბილური ექსპორტის ოპერაციების თავიდან აცილებას. „ექსპორტი იშიფრება, როგორც საქონლის ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან საზღვარგარეთ გატანა მისი ქვეყანაში კვლავ შემოტანის ვალდებულების გარეშე, ხოლო საქონლის საზღვარგარეთიდან შემოტანას რომელიმე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე, მათი ქვეყნიდან გატანის ვალდებულების გარეშე იმპორტი ეწოდება.“ [3] აღნიშნულ ორივე სავაჭრო რეჟიმს გააჩნია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

ექსპორტის დადებითი მხარეები:

ა) ექსპორტის მასშტაბურობა ექსპორტიორ ქვეყანაში დასაქმების მასშტაბურობის განმაპირობებელი გარემოებაა, რაც სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობას უზრუნველყოფს;

ბ) ექსპორტის მასშტაბურობა, ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობისა და გაუმჯობესების წინაპირობაა;

გ) ექსპორტის მასშტაბურობა, ექსპორტიორი ქვეყნის ტექნოლოგიებისა და პროდუქტების, სახელმწიფოს რეკლამირების ხელსაყრელი პირობაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ტურიზმის განვითარებასა და მასშტაბურობას და სხვა;

ექსპორტის უარყოფითი მხარეები:

ა) ქვეყანაკარგავს მისთვის სასარგებლო არააღდგენად რესურსებს;

ბ) ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულებით პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალი ტარიფით რეალიზაცია;

გ) სახელმწიფოს და კომპანიის კომპრომეტაცია (მაგალითად, ცუდი ხარისხის პროდუქციის ექსპორტის შესახებ მასმედიის საშუალებებით საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება) და სხვა;

იმპორტის დადებითი მხარეები:

ა) იპორტის ობიექტ სახელმწიფოში გააუმჯობესოს მოსახლეობის ეკონომიკური სამეცნიერო მუშაობის ხარისხი; თავდაცვისუნარიანობა.

ბ) იმპორტის ობიექტ სახელმწიფოში ახალი რესურსების ათვისება და სხვა;

იმპორტის უარყოფითი მხარეები:

ა) უცხოური საქონელი ანაცვლებს შიდა საქონელს, რითაც ადგილობრივი ინდუსტრიის მოშლა ხორციელდება;

ბ) ადგილობრივი წარმოების შემცირებით ინფლაციის ინსპირირება, უმუშევრობის ხარისხის გაზრდა, სოციალური დესტაბილიზაციისათვის ინსპირირება და სხვა;

განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და რესურსების გათვალისწინებით, რთულია მოიძებნოს ქვეყანა, რომელთანაც მას პირდაპირი ან ირიბი კავშირი არ ჰქონია საქართველოსთან. ჯერ კიდევ ძვ.წელთაღრიცხვის მეორე საუკუნედან ახალი წელთაღრიცხვის მეთხუთმეტე საუკუნეში საქართველო „აბრეშუმის გზის“ მეშვეობით ევროპასა და აზიას შორის ძირითად მაკავშირებელს წარმოადგენდა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ბევრ დიდ სახელმწიფოსთან აქვს დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. 2017 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წილმა მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. მსხვილი პარტნიორი სახელმწიფოებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ: თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია და სხვა. ღია წყაროებში გამოქვეყნებული ინფორმაციით: [4]სავაჭრო ბრუნვამ თურქეთთან 86 მილიონი დოლარი, აზერბაიჯანი - 73 მილიონი დოლარი, რუსეთი - 72 მილიონი დოლარი, ჩინეთი - 64 მილიონი დოლარი და გერმანია - 31 მილიონი დოლარით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით[5], საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის (FOB) ოდენობამ 3033,5 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საქონლის რეგისტრირებული იმპორტის (CIF) ოდენობამ 8291,2 მილიონი დოლარი შეადგინა. იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას 5257,7 მილიონი აშშ დოლარით აღემატება, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის მაღალ ხარისხს არ შეიძლება წარმოადგენდეს. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ საკუთარი პროდუქციის შექმნა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს, რადგან იგი მასშტაბური დასაქმების წინაპირობაა და სოციალური დესტაბილიზაციის თავიდან აცილების ხელსაყრელი პირობა.

მძიმე ვითარებაა სურსათის იმპორტის თვალსაზრისით. დღეის მდგომარეობით საქართველოში სურსათის 60%-ზე მეტის იმპორტი ხორციელდება საზღვარგარეთიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არის საკმაოდ დაბალი. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის [6] რამოდენიმე ძირითადი პროდუქტით თვითუზრუნველყოფის კოეციციენტები ასე შეიძლება გამოვსახოთ:

N	პროდუქტის დასახელება	2014 წელი (%)	2015 წელი (%)	2016 წელი (%)
1	რძე, რძის პროდუქტები	90	87	82
2	ფრინველის კვერცხი	96	102	100
3	ხორცი (ყველა სახეობა)	43	47	48
4	ხორბალი	7	17	19

სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავაჭრო პარტნიორების სწორად შერჩევაზე. ამ პროცესის მართებულობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ეს უკანასკნელი კი, პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაფართოებას. აღნიშნული პროცესის ორგანიზების ხარისხი პირდაპირპროპორციულია სოციალური სტაბილიზაციის ხარისხთან. შესაბამისად შეიძლება ვისაუბროთ სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის ჯაჭვზე. სწორედ ამიტომ ამ პროცესის უსაფრთხო წარმართვისათვის დიპლომატიური კორპუსისა და სადაზვერვო სამსახურების როლი მნიშვნელოვანი.

სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური კავშირების ორგანიზება სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხორციელდება. მისი საბოლოო გაფორმება საერთაშორისო დონის

ხელშეკრულებით ხორციელდება. სახელმწიფოს მიერ სწორად გათვლილი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სოციალური გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად, კარგი საინვესტიციო გარემოს შექმნის მყარი გარანტიაა. გამოდის, რომ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ორგანიზება ეროვნულ უსაფრთხოებასთან გადაჯაჭვული პროცესია. ქართველი მეცნიერები საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორებად საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობას მიიჩნევენ. ისინი მიუთითებენ, რომ ,,საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა განვსაზღვროთ მისი სტრატეგია, რაც გულისხმობს ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი მახასიათებლების დახასიათებას, ეკონომიკური პოლიტიკის და ყველა იმ მექანიზმის განსაზღვრას, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.“ [1] ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანია მყარი საგარეო ვაჭრობის უზრუნველყოფა და უპირველესად ექსპორტის სტიმულირება წარმოადგენს, რითაც სახელმწიფოში სავალუტო შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი პირობა იქმნება.იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ამ პროცესს სწორად წარმართავს იქმნება ადგილობრივი წარმოების შემდგომი გაფართოების ხელსაყრელი პირობა.

შეიძლება **დავასკვნათ,** რომ სახელმწიფოს შიგნით და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების უსაფრთხო პროცესის დასაგეგმად მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სამეცნიერო ინტერესების დადგენა, რათა სწორად განისაზღვროს რეგიონულ ან/და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში ქვეყნის ადგილის დაკავების მიზანშეწონილობა. ამ კუთხით დიპლომატიური კორპუსისა და სადაზვერვო სამსახურების როლი განსაკუთრებულია.

ნაშრომის შედეგები:

- ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შესაქმნელად აუცილებელია სავაჭრო პარტნიორების სწორად შერჩევის პროცესის ორგანიზება;
- სახელმწიფოს სავაჭრო ურთიერთობების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, უცხო ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სამეცნიერო ინტერესებიის დადგენა;
- სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია მასშტაბური ინფორმაციული მარაგის შექმნა, რომლის ორგანიზაციულ პროცესში დიპლომატიური და სადაზვერვო წყაროების როლი მნიშვნელოვანია;

რეკომენდაციები:

- სავაჭრო პარტნიორების სწორად შერჩევის პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას დიპლომატიური კორპუსისა და სადაზვერვო სამსახურების პოზიციები;
- მიზანშეწონილია შემოტანილი პროდუქციის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლებაზე ზრუნვა, რაც ადგილობრივი ინდუსტრიის ჩამოყალიბება-გაფართოებასა და სოციალური ფონის გაუმჯობესებას გამოიწვევს;
- სახელმწიფომ უსაფრთხო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და კარგი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, ურთიერთობები დადებითი იმიჯის მქონე სახელმწიფოებთან უნდა მოახდინოს.
- სახელმწიფოს მხრიდან, უსაფრთხო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება სამეცნიერო წრეების ექსპერტული დასკვნების გარეშე არ უნდა განხორციელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზაურ თეთრუაშვილი, მაია თეთრუაშვილი-ქარდავა. „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში.“ თბილისი. 2006. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-800&cl=CL4.1&d=HASH01fcd9a1f5cba56bc37535b4.4.4&gt=1 ; (გადამოწმებულია 18.12.2018) ;

2. Heiko Hesse. „Export Diversification and Economic Growth.“© 2008 The International Bank for Reconstruction and Development / The World BankOn behalf of the Commission on Growth and Development.http://siteresources.worldbank.org/EXTPREMNET/Resources/4899601338997241035/Growth_Commission_Working_Paper_21_Export_Diversification_Economic_Growth.pdf; (გადამოწმებულია 18.12.2018);

3.მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2:[ფ.ა.].http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983; (გადამოწმებულია 18.12.2018);

4.„იანვარში საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი თურქეთი იყო.“ 20.02.2017. https://www.bpn.ge/article/31655-ianvarshi-sakartvelos-qvelaze-msxvili-savachro-partniori-turketi-iqo/ (გადამოწმებულია 18.12.2018)

5.„საგარეო ვაჭრობა.“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo; (გადამოწმებულია 18.12.2018)

6.სტატიები შექმნილია სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა საფუძველზე.

ა)„თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი: რძე და რძის პროდუქტები.“ 07/10/2017. http://business.org.ge/tvituzrunvelyofis-koeficienti-rdze-da-rdzis-produqtebi/; (გადამოწმებულია 18.12.2018)

ბ) „თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი: ფრინველის კვერცხი.“ 2014-2016. 07/10/2017 http://business.org.ge/tvituzrunvelyofis-koeficienti-frinvelis-kverckhi/ ; (გადამოწმებულია 18.12.2018)

გ) „თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები: ხორცი.“07/10/2017. http://business.org.ge/ tvituzr unvelyofis-koeficientebi-khorci/; (გადამოწმებულია 18.12.2018)

დ) „თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები: მემცენარეობა.“ 07/10/2017 http://business.org.ge/ tvituzrunvelyofis-koeficientebi-memcenareoba/; (გადამოწმებულია 18.12.2018)

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY, Faculty of Economics and Business

Tsotne Guruli

Security of Georgia's trade-economic relations

Summary

In order to ensure the national safety of a state, it is vital to organize safe economical links inside the country as well as in the international arena. As for the economical safety, it is important to define the strategy of state economical security, to select the benefitial partner state and solid defence of market diversification in international relationships as well.

Keywords: National Security, Economic Security, Economic Stability

Тбилисский государственный университет им. Иване Джавахишвили
Факультет экономики и бизнеса
Цотне Гурули

Безопасность торгово-экономических отношений Грузии

Резюме

В обеспечении национальной безопасности государства особое значение имеет организация безопасных экономических отношений как в стране, так и на международной арене. С точки зрения экономической безопасности важно определить стратегию экономической безопасности государства, правильно и стратегически выбрать стран-партнеров, а также соблюдать принципы диверсификации рынка в международных отношениях.

Ключевые слова: Национальная безопасность, Экономическая безопасность, Экономическая стабильность

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ნათია ბლაგიძე

კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ

რუსული პროპაგანდა ჩვენს რეალობაში სულ უფრო სახიფათო და რთულად აღსაკვეთი ხდება. საინფორმაციო ომი-დეზინფორმაციის გავრცელება და პროპაგანდით მანიპულირება თანამედროვე მსოფლიო წესრიგისთვის დიდი გამოწვევაა. ეს პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც, ეს არის საფრთხე, რომელიც ჩრდილოელი მეზობლისგან მომდინარეობს და დღითიდღე უფრო მზარდი ხდება. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მსხვერპლია. ის, რომ რუსული პროპაგანდა საერთაშორისო გამოწვევაა, ამას არაერთი რეზოლუცია თუ ანგარიში ამყარებს.

საკვანძო სიტყვები: პროპაგანდა, დეზინფორმაცია, ევროინტეგრაცია, ინფორმაციული ომი

მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მოვლენების დროს რუსეთი ისევ გააქტიურდა და საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აძლიერებს. იგი განსაკუთრებით აქტიურია სოციალურ ქსელსა და მედიაში. რეგიონში მეზობელი ქვეყნების სწრაფვას განვითარებისა და დემოკრატიისკენ, კრემლი აღიქვამს როგორც საფრთხეს, მისი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებისთვის რეგიონში. კრემლი თანამედროვე საინფორმაციო ოპერაციებს აქამდე არნახული მასშტაბით ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მას აქვს პროპაგანდის გავრცელების ფართო ქსელი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ რუსული და სამიზნე ქვეყნებში არსებული მედია საშუალებები, კვლევითი ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი და ბიზნეს ჯგუფები. ჩნდება კითხვა, რა არის კრემლის მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის მიზანი (მიზნები) და რა ძირითადი მახასიათებლები აქვს მას? ეს ფაქტი დიდი ხანია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის დაინტერესების საგანია, მკვლევართა მიზანი სწორედ ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაა. საქართველოში მას ბევრი მიზანი ამოძრავებს, მათ შორისაა: ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების დანერგვა. დასავლური ინსტიტუტების NATO-სა და ევროკავშირის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა. კრემლი ცდილობს ამ ინსტიტუტებთან დაკავშირებული ღირებულებების: დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და სხვა ღირებული ფასეულობების დაკნინებას. კრემლის მიერ წარმოებული გლობალური პოლიტიკის პოპულარობის გაზრდას, შეთქმულების თეორიებითა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოებაში შიშისა და სიძულვილის დანერგვა და რაც მათთვის ალბათ ყველაზე მთავარია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შეფერხება. კრემლი განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესების და მიღწევების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენაზე, ასევე NATO-ს შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება, მასთან დაახლოების პროცესის უპერსპექტივობის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ამ პროცესის საფრთხის შემცველად წარმოჩენა. დასავლური ღირებულებების დაკნინება და მათი შეუთავსებლობის წარმოჩენა ქართულ მენტალობასა და კულტურასთან. ამასთანავე ხდება საქართველოსა და რუსეთის საერთო ისტორიული თუ კულტურული მახასიათებლების (მაგალითად რელიგიის - მართლმადიდებლობის) წინ წამოწევა და მათი დასავლური ღირებულებების საპირწონედ წარმოჩენა. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მიმართ ნეგატიური განწყობების გაღვივება, რაც გულისხმობს განსაკუთრებით

ანტიამერიკული და ანტითურქული გზავნილების გავრცელებას. აშშ კრემლის მიერ განხილულია როგორც გლობალური დესტაბილიზაციის წყარო, რომელიც საქართველოს განიხილავს არა როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, არამედ როგორ ინსტრუმენტს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. რაც შეეხება თურქეთს, იგი წარმოჩენილია როგორც ძირძველი ქართული მიწების მიმტაცებლად და საფრთხედ. კრემლის „მესიჯ-ბოქსში“ NATO-ს წევრ თურქეთზე, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოზე აპელირება, რაც აძლიერებს რუსეთის „ანალოგიური“ ქმედებების „ლეგიტიმურობის“ იდეას.

შეთქმულების თეორიების გავრცელება, რომლის მიხედვითაც, თითქოს აშშ იყენებს რიჩარდ ლუგარის სახ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრს ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად. ეს გახლავთ შეთხზულ ჰიპოთეზათა ერთობლიობა, რომელიც წარმოაჩენს, როგორც დასავლური სახელმწიფოების ან ინსტიტუტების დამანგრეველ და საფრთხისშემცველ შედეგს. როგორც დასაწყისში აღვნიშნე დეზინფორმაციის გასავრცელებლად კრემლი აქტიურად იყენებს მედია საშუალებებსაც. მინიმუმ ერთი ტელევიზია, ინტერნეტ-ტელევიზია, ბეჭდური გამოცემა და ვებ-გვერდი გამოირჩევა ანტიდასავლური „მესიჯ-ბოქსით“ და ინფორმაციის გავრცელებისას ძირითადად რუსულ წყაროებს ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ კრემლი არც სოციალურ ქსელში ჩამორჩება მედია საშულებებს რუსული ნარატივის გავრცელებაში.მათ შორისაა ის მითები რომლებიც დასავლურ სტრუქტურებს ეხება. მითების ყველაზე დიდი წილი კი ევროკავშირზე მოდის, სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი განპირობებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის რიგი წარმატებული თანამშრომლობის პროექტების (ასოცირების ხელშეკრულების, ვიზალიბერალიზაციის, სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის) აქტუალობით. მეტიც, ევროკავშირის შესახებ მითების უმეტესობა ეხება სწორედ იმ მიმართულებებს (ვაჭრობა, ვიზალიბერალიზაცია) რომლებშიც საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საქართველოში რუსული მედია საშუალებებიდან აღსანიშნავია „სპუტნიკი“ (Sputnik), ის რუსული მედიიდან ერთადერთია, რომელიც ქართულ ენაზე ფუქციონირებს. ასევე საინტერესო იყო საქართველოში რუსული პირველი არხის მაუწყებლობის მცდელობა, რომელიც საბედნიეროდ ვერ შედგა. ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილი ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ტელევიზიიდან იღებს, რაც დასტურედება NDI-ის კვლევებიდან.

საქართველოში კრემლის კიდევ ერთი საიმედო საყრდენია პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ევრაზიის ინსტიტუტი“ და „ევრაზიული არჩევანი“. ეს ორგანიზაციები გამოირჩევიან ანტიდასავლური რიტორიკით და სხვადასხვა ნაშრომების გამოქვეყნებისას რუსულ წყაროებზე დაყრდნობით. არცერთ პრორუსულ ორგანიზაციას თუ ტელევიზიას არ აქვს ვებ-გვერდზე მითითებული დაფინანსების წყარო.

კრემლის ნარატივების გამვრცელებლები პოლიტიკურ სპექტრშიც მრავლად არიან. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ღია რუსული დღის წესრიგი აქვთ, რაც გამოიხატება მათი ვიზიტით მოსკოვში და რუს პოლიტიკოსებთან შეხვედრებით. პარტიები რომლებიც „ემიჯნებიან“ რუსულ ნარატივს და ნეიტრალიტეტის იდეით გამოდიან. ისინი საქართველოს სწრაფვას ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ წარმოაჩენენ უშედეგოდ. ასევე სასულიერო პირების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან პირდაპირ თუ ირიბად კრემლის პროპაგანდისტული იდეების გავრცელება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში ისინი მაღალი ნდობით და გავლენით სარგებლობენ.

რაში მდგომარეობს საფრთხე? თუ მთავრობა და საზოგადოება ვერ შევძლებთ კრემლის

პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ისე, რომ შედეგი გვქონდეს, საკმაოდ დიდი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით: შესუსტდება ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა და გაიზრდება რუსული იდეების მიმდევართა და გამხმოვანებელთა რიცხვი რაც საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ კურსს და უსაფრთხოებას.

გარეშე ძალას ნეგატიურ კონტექსტში მიეცემა საშუალება გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე რაც საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სუვერენიტეტს. ასევე შემცირდება მოსახლეობის ნდობა ხელისუფლებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. ამასთანავე, საზოგადოებაში გაძლიერდება ქსენოფობია და გაღვივდება ეთნიკური და რელიგიური შუღლი, შესუსტდება სამოქალაქო ერთიანობა და გართულდება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური თუ სამოქალაქო ინტეგრაცია. რაც შეეხება სახელმწიფოს მიდგომას, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ „რუსეთის ფედერაციის მთავარი მიზანია საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ ქცევა, მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე ძალით დაბრუნება“. ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციის სტრატეგიის მიხედვით მისი მთავარი მიზანია „საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე“, ასევე ევროინტეგრაციის თემატიკის პოპულარიზაცია. ამ ყველაფერში ჩართული არიან საინფორმაციო ცენტრი NATO-სა და ევროკავშირის შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციები და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (European Union in Georgia). ასევე ჩართულია სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

როდესაც ვსაუბრობთ კრემლის საინფორმაციო ომზე საქარველოში, შეუძლებელია არ შევეხოთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას ამ კუთხით. ფაქტია, რომ იქ მცხოვრები ადამიანები პირდაპირ არიან ჰიბრიდული ომის მსხვერპლნი, თუმცა დღეს ჩვენ მხოლოდ საინფორმაციო ომს განვიხილავთ. რუსეთი ცდილობს მასობრივი სიძულვილის დანერგვას ქართველების მიმართ. ცდილობს გაანადგუროს ყველაფერი ქართული და მათ შორის ენაც. დღეს ფაქტობრივად აღარ ხდება ქართული ენის სწავლა ოკუპირებულ რეგიონში, მხოლოდ გალის რაიონში ასწავლიან და ისიც ორი საათი კვირაში. განათლება მთლიანად რუსულ ენაზეა. შესაბამისად რუსულ ენაზე მიეწოდებათ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი. ინფორმაცია კი კარგად არის შეფუთული, მიმზიდველად. მოგეხსენებათ, რომ რაც უფრო ჩაკეტილია საზოგადოება და განვითარების ნაკლები შესაძლებლობა აქვს, მით უფრო მარტივია დაანახო და დააჯერო ის, რაც გინდა, რომ დაიჯერონ. სამწუხაროდ, ოკუპირებულ რეგიონებში ეს პრობლემა მწვავედ დგას. აქ საინფორმაციო ომის წარმოებაში უშუალოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროა ჩართული. მიზანიც და მეთოდებიც თითქმის იგივეა, რაც ზემოთ ვახსენე. უბრალოდ, უფრო მეტად გამძაფრებული სახით გადაეცემა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ მოსახლეობას.

კრემლის საინფორმაციო ომის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კიბერომი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი გახლავთ. სწორედ მაშინ განახორციელა რუსულმა მხარემ პირველი მასშტაბური კიბერშეტევა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების ვებგვერდებზე, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე. 2008 წლის შემდეგ რუსეთიდან მომდინარე კიბერსაფრთხე გაიზარდა და ასევე, მან კიდევ უფრო მეტად დახვეწა ის მეთოდები და

მიდგომები რომლებსაც აქამდე იყენებდა კიბერშეტევისას. საფრთხე არსებითად დიდია და მას უფრო ზრდის საქართველოს დამოკიდებულება საკომუნიკაციო და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. ბუნებრივია კრემლის მიზანი ამ გზით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ზარალის და მსხვერპლის გამოწვევაა. ეს იქნება პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიმართულებით. ასევე დიდია ალბათობა იმისა, რომ კიბერშეტევა გამოყენებული იქნას სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით. რუსეთის დესტრუქციული კიბერაქტივობები წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საქართველოსთვის. ასევე შესაძლებელია, რომ კიბერარხებით გავრცელებულმა პროპაგანდამ გამოიწვიოს კრემლის სასარგებლოდ განწყობების ცვლილება და შესაბამისად პროდასავლური ორიენტაციის შესუსტება.

დასკვნა: დღეს, საქართველო ევროინტეგრაციის და ზოგადად საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება. ეს კი უფრო მეტად აჩენს რისკს, რომ რუსეთი უფრო მეტად შეეცდება ინფორმაციული ომის ჭრილში გააქტიურებას. კრემლის საინფორმაციო ომი და პროპაგანდა საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარებისთვის. რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული პროპაგანდა აფერხებს და აზიანებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან და ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესს. ახდენს ქართულ საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების, ინსტიტუტების და პარტნიორი სახელმწიფოების დისკრეტიდაციას. კიბერუსაფრთხოების მიმართულებით კი ზემოთ ნახსენები ყველა საფრთხე მოსალოდნელია და აუცილებელია მისი თავიდან აცილება, რათა არ დავდგეთ მძიმე შედეგების წინაშე, რომელიც რთულად გამოსასწორებელი იქნება.

რეკომენდაციები:

⇒ ქვეყანაში უნდა შეიქმნას დეზინფორმაციის ანალიზის, რეაგირების და პროპაგანდასთან ბრძოლის კოორდინაციის ჯგუფი ევროკავშირის EastStratCom გუნდის მსგავსად, რომელიც კვლევისა და ანალიზის საფუძველზე საერთაშორისო პარტნიორებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კვლევით ინსტიტუტებთან და ჟურნალისტებთან თანამშრომლობით გამოააშკარავებს პროპაგანდის წყაროებს და ამ ინფორმაციას კომუნიკაციის სხვადასხვა არხებით მიაწვდის საზოგადოებას.

⇒ საქართველოს მთავრობამ მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით ხელი უნდა შეუწყოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი მედია საშუალებებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარებას.

⇒ საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

⇒ კიბერუსაფრთხოები სფეროში კი უფრო მეტად არის სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება საჭირო. უნდა მოხდეს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, შესაძლებლობების განვითარება, ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო მიმართულებით. მოხდეს უწყებებს შორის უკეთესი კოორდინაცია და ინფორმაციათა გაცვლა და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოხდეს კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის განვითარება და გაძლიერება სხვა განვითარებული ქვეყნების სტანდარტების შესაბამისად.

Georgian Technical University Faculty of Law and International Relations Bachelor's Educational Program in International Relations

Natia Blagidze

The Information War of Kramlin Against Georgia

Summary

Russian propaganda becomes more dangerous in our reality. Information war-outspread of disinformation and manipulate by propaganda is a great challenge for modern world order. This problem is also acute in Georgia, this is a threat that comes from northern neighbor and becomes increasingly growing. Unfortunately, our country is a victim of Russian disinformation and propaganda. The fact that Russia's propaganda is an international challenge, it sets several resolutions or reports.

Keywords: Propaganda, Disinformation, European Integration, Information War.

Грузинский Технический Университет Факультет права и международных отношении Программа Бакалавриата по Международным Отношениям

Натия Благидзе

Информационная война кремля против Грузии

Резюме

Русская пропаганда в нашей реальности становится более опасной и тяжело исправимой. Информационная война - распространение дезинформаций и для современного мирового провопорядка манипуляция пропогандой большой вызов. Эта проблема ожесточенно стоит и в Грузии. Эта опастость, которая исходит из соседей севера и ден за днем она растет. К сожалению наша страна под властью Русской дезинформации и пропоганды. О том, что Русская пропоганда является международным вызовом, у нее есть ряд резолюций и отчетов.

Ключевые слова: Пропаганда, Дезинформация, Европейская Интеграция, Информационная Война

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი

კონსტანტინე კუხალაშვილი

ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციის პრინციპების დაცვა, როგორც სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების დაცვის გარანტი

სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. მისი პრინციპების უპირბო დაცვა, სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნდამენტურ საძირკველს აყალიბებს, რადგან დაცული ადამიანები თავის მხრივ მონდომებულები, შეყვარებულები და მიზანსწრაფულები არიან სახელმწიფოს აღმშენებლობისკენ. აღნიშნული ვითარება სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

გამოყენებული საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური კონტროლი, კონსტიტუციური წესრიგი, სამართლებრივი სახელმწიფო, ტოლერანტობა.

ადამიანის უფლებათა დაცვა ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა სამართლის მოქმედების არეალში. უფლება, როგორც კონსტიტუციური დაცვის საგანი, სამართლებრივ სიკეთეთა ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე იმყოფება. უფლებათა დაცვის განსხვავებული გზები თუ ბერკეტები არსებობს, განსაკუთრებით თანამედროვე სამყაროში, როცა ადამიანი მისი ფასეულობებით განსაკუთრებული დაცვის საგანი გახდა.

ადამიანის უფლებების დაცვა განსაკუთრებულ კონტიტუციურ წესრიგთან ასოცირდება, რადგან ამ უკანასკნელის უმთავრესი დანიშნულება გარდა სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი სავიზიტო ბარათისა არის პიროვნების თავისუფლებისა და უფლების დაცვა. მსოფლიო ისტორიაში კონსტიტუციური სახელმწიფოს სახე პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1789 წლის დეკლარაციის სახით „ყოველი პოლიტიკური გაერთიანების უმაღლესი მიზანია ადამიანის ბუნებითი და განუყოფელი უფლებების დაცვა. ეს უფლებებია თავისუფლება, საკუთრება და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევა“.[5]

კონსტიტუციური განვითარების ეტაპზე ადამიანის უფლებების დაცვა ამაღლდა ბუნებითი მდგომარეობიდან სახელმწიფო დაცვის საგნამდე და ადამიანის ღირებულებები ჩამოყალიბდა კონსტიტუციათა უმაღლეს პრინციპად.

ზოგადად, ადამიანის ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფოს შექმნას ამ უფლებებით სარგებლობის შესაბამისი გარემო, რადგან ისინი მოქალაქის კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი უფლებებია. სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს ძირითადი უფლებების აღიარება მოქმედ სამართლად, რაც აღიარებულია სახელმწიფოთა კონსტიტუციებით. ხელისუფლების ყველა შტო შებოჭილია ადამიანის ძირითადი უფლებებით და არ მოიძებნება მიზეზი, რის გამოც სახელმწიფოს შეუძლია დაარღვიოს ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებები. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი მექანიზმის, ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება ადამიანის უფლებების დაცვაა ხელისუფლების არამართლზომიერი ჩარევისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული საქმიანობის გახორციელების პროცესში, ხშირად

[5] ავთანდილ დემეტრაშვილი, გიორგი გოგიაშვილი. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი. 2016. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ.91;

იმყოფება უშუალო კავშირზე საკონსულტაციო დასკვნის სახით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის ამ ფუნქციას და საიმედოობას ანიჭებს მას. ამ ჯაჭვის გამართულობა კი სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი დასაყრდენია, რადგან ქვეყანა, სადაც თითოეული პიროვნების ფასეულობებსა თუ უფლებებს თავად სახელმწიფო ორგანო იცავს, მშვიდი და საიმედო ცხოვრების საწინდარია მისი მოსახლეობისათვის.

საქართველოს კონსტიტუციაში გამოყოფილია ცალკე მეორე თავი ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, თუმცა მთელი კონტიტუცია მისი პრეამბულით ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტადაც შეიძლება მივიჩნიოთ თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად ხალხი ქმნის სახელმწიფოს. ქვეყნის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას კი უმნიშვნელოვანესი მასში მცხოვრები ადამიანების დაცულობაა.

კონსტიტუციური მართლწესრიგი დაცულია სასამართლოს ხელისუფლების მიერ, რაც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას გულიხსმობს.[6] ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა თუ აქტი, რომელიც ზღუდავს ადამიანის იმ კონსტიტუციურ თავისუფლებასა თუ უფლებას, რაც კონსტიტუციაშია მოცემული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნება მიჩნეული და ეს ნორმა თუ აქტი არ ჩაითვლება კანონიერად.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანებს განსხვავებული პოლიტიკური, იდეოლოგიური მისწრაფებების გამო შექმნიათ პრობლემები, როგორც სახელმწიფო სამსახურში, კერძო სექტორში, ასევე საზოგადოებაში. კონსტიტუციაში კი მკაცრადაა გაწერილი, რომ (მუხლი11. თანასწორობის უფლება ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით)[7], რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი თავისუფალია საკუთარ არჩევანსა თუ შეხედულებაში, სწორედ ამას ქადაგებს, კონსტიტუციის მე-4 თავი, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებში ჯდება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების წარუშლელ და უზენაეს ღირებულებად გამოცხადება. საკონსტიტუციო სასამართლოს კი აქვს ბერკეტი ამ შემთხვევაში მოახდინოს ადამიანის უფლებრივი დაცვა და ის ქმედება ნებისმიერი ორგანოს მხირდან, რომელიც კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგება არაკონსტიტუციურად აღიაროს და ამ გზით მიანიჭოს ადამიანს დაცულობის შეგრძნება.

სამართალი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალება განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ადამიანთა ფასეულობების დაცვის ისეთ მექანიზმზე, რომელიც დაუტოვებს მათ დაცულობის განცდას.

ქვემდებარე კანონების გარდა სწორედ კონსტიტუცია წარმოადგენს უმთავრეს იარაღს ამ უფლების დაცვისა. კონსტიტუციის იმ მუხლში, სადაც სოციალურ სახელმწიფოზეა საუბარი განსაკუთრებულადაა გამახვილებული ყურადღება სახელმწიფოს იმ მზრუნველობის ასპექტებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ადამიანთა ჯანმრთელობას, სოციალურ დაცვას და სხვა

---

[6] იური ტაბუცაძე. ისტორიული წანამძღვრები და ძირითადი პრინციპები http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASHb8f3f441659b33a51bfd f4. 5&gt=1

[7] საქართველოს კონსტიტუცია; https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35;

ფუნდამენტურ ღირებულებებს.

უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციის მეორე თავის არსობრივი განხილვა, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებს უკავშირდება. მასში მკაფიოდაა გამახვილებული ყურადღება სახელმწიფოს დაცვის გარანტიაზე, როცა მოიხსენიება, რომ ადამიანის ღირსება, როგორც შეულახავი მატერია სახელმწიფოსგანაა დაცული. მე-9 მუხლი კრძალავს იმ პიროვნული ღირსების შემლახველ ქმედებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ ზღვარგადასულ ქმედებებს, როგორებიცაა არაადამიანური სასჯელის გამოყენება, წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა. ყურადასაღებია ფიზიკური და ფასეულობითი ხელშეუხებლობა. ყოველივე ეს ქმნის ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, როგორც დაცულობაზე, საიმედოობაზე დამყარებულ ურთიერთობას, ასევე გარანტიას მათ შორის ურყევი კავშირისა. ჩამოთვლილი ურთიერთობის სახეები წარმოადგენს მნიშვნელოვან საძირკველს სახელმწიფოს ცხოვრებისას, რადგან დაცული ადამიანები თავის მხრივ მონდომებულები, შეყვარებულები და მიზანსწრაფულები არიან სახელმწიფოს აღმშენებლობისკენ. გასათვალისწინებელია, რომ სამართლის ერთ-ერთი ფუნქციას არამხოლოდ კერძო პირებს შორის ურთიერთობების რეგულიერება, არამედ სახელმწიფოსა და მასში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის სამართლებრივ და მაღალმატერიებზე დაყრდნობილი ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

არსებობს მთელი კატეგორია უფლებებისა, რომელებსაც სახელმწიფო საკუთარი წარმომადგენლობითი ბარათით, კონსტიტუციით, იცავს. ასეთებია: პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თანასწორობის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება, საარჩევნო უფლება, საპროცესო უფლება და ა.შ. ეს არასრული ჩამონათვალია იმ უფლებებისა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირებულებებთან და მოწესრიგებულია კონსტიტუციის მუხლებით. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თითუელი ამ უფლებათაგანი ყოველი ადამიანისათვის სიცოცხლის უფლების შემდეგ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეებს წარმოადგენს. ზუსტად ამ უფლებათა ერთიანობა ქმნის პიროვნების მაიდენტიფიცირებელ საშუალებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აღნიშნულ მატერიათა გაერთიანება არის ის ძვირფასი მონაპოვარი ადამიანისათვის, რისთვისაც მთელი ცხოვრების განმავლობაში იღწვის. თითოეული უფლება ადამიანისათვის შეუცვლელი და განუმეორებელია, ასევე აუცილებელია ადამიანის თვითრეალიზაციისა და განვითარებისათვის. მაგალითად, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა არის ადამიანი ყველაზე ფაფუკი სივრცე, რასაც მოფრთხილება ჭირდება. აგრეთვე აღსანიშნავია რწმენისა და აღმსარებლობის უფლება, რისი დაცვაც კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნების გარდა ტოლერანტობის უმაღლეს პრინციპებს ეფუძვნება. ყურადღებას იმსახურებს საპროცესო უფლებაც, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ყველა სხვა უფლებების დამცველობითი ბერკეტების გამოყენებას და ზოგადად ადამიანისათვის სამართლიანი გარემოს აღდგენის შესაძლებლობაა, რაც პირდაპირ კავშირშია სამართლიანი სახელმწიფოს შინაარსთან, რასაც საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი აყალიბებს. ჩამოთვლილ უფლებათა დაცვა სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ პირადი ცხოვრების მასალები დაცული უნდა იქნეს გავრცელებისაგან, ადამიანთა შორის კომუნიკაცია ხელშეუვალი უნდა იქნეს, როგორც ნებისმიერი სხვა პირისგან, ასევე სახელმწიფოსგან. ამასთან, რელიგიისა და პირადი აღმსარებლობის უფლების დაცვა სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას მიეკუთვნება, რაც თავისი არსით მოიცავს სახელმწიფოს ხელშეწყობას და არა აკრძალვას, რომ ადამიანმა გამოთქვას ნებისმიერ საკითხთან

დაკავშირებით საკუთარი აზრი, აირჩიოს მისთვის სასურველი რელიგია და იცხოვროს მის შესაბამისად. რაც შეეხება საარჩევნო უფლებას, იგი გულისხმობს როგორც არჩევნებში მონაწილეობის მიღების, ასევე ხმის მიცემის უფლებას განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ. მნიშვნელოვანია მონაწილეობის საკითხი, რაც გულისხმობს თითოეული მონაწილისათვის სახელმწიფოს მხრიდან თანაბარი მოპყრობის ვალდებულებას.

მიუღებელია ადამიანის უფლებათა კლასიფიცირება და რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება, თუმცა ძირითად უფლებათა შორის არსებობს ისეთი უფლებები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ სხვა უფლებებით უკეთესად სარგებლობას. ამისათვის შეიქმნა ადამიანის უფლებათა კოლიზია, რომელშიც აბსოლუტური უფლებები შედარებით მაღალ საფეხურზე დგანან, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი მცირე ინტენსიობით შეზღუდვაც ავტომატურად ამ უფლების დარღვევას ნიშნავს. თავად აბსოლუტური უფლება თავისი შინაარსით ნიშნავს ადამიანის ხელშეუხებელ უფლებებს, რომელთაგან გადახვევა არ შეიძლება.[8] პრაქტიკული მხრივ აბსოლუტურ უფლებებს მიეკუთვნება ის უფლებები, რომლებშიც ჩარევას კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს. მაგალითად, არაჰუმანური მოპყრობა, წამება, ღირსების შელახვა და მსგავსი. არ მოიძებნება მიზეზი, რომელიც იქნება კანონიერი და გაამართლებს ამ უფლებებში ჩარევას. ეს აზრიც მჭიდრო კავშირშია დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპთან, რადგან მსგავსი ტიპის სახელმწიფოში მხოლოდ თავისუფალი პიროვნებები ცხოვრებენ, რაც თავის მხრივ გამორიცხავს მათი ღირსების შემლახავ საქციელს. დემოკრატია არ იქმნება ისეთი სახელმწიფო მმართველობით თუ სამართლით, რომელიც მოახდენს ადამიანის წამების და ღირსების შემლახველი მოპყრობის ლეგიტიმაციას. თუმცა ყურადსაღებია ის, რომ აბსოუტური უფლებების არსებობა არ გულისხმობს მათთან კოლიზიაში არსებული სხვა უფლებების დარღვევის შესაძლებლობას. დემოკრატიული სახელმწიფო კი საკუთარი პრინციპებით მსგავსია სამართლებრივი სახელმწიფოსი, რომლიც დოქტრინაც მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლება დაცული უნდა იყოს როგორც სახელმწიფოსგან, ასევე სახელმწიფოს მეშვეობით.[9]

ამრიგად შეიძლება **დავასკვნათ,** შემდეგი:

- თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო ხელისუფლება დამოკიდებული გახდა ადამიანთა ძირითად უფლებებთან და თავისუფლებასთან, როგორც კონსტიტუციის უმთავრეს დაცვის საგანთან;
- მოქალაქეს, რომლის უფლებები და თავისუფლება შეიზღუდება, აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს მათი სამართლებრივი გზით დაცვა სახელმწიფოს მხრიდან, რადგან თითოეული ადამიანს ძირითადი უფლებების ფლობასთან ერთად წარმოექმნება საკუთარი ღირებულებების დაცვის ვალდებულება;
- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით დაცული მოქალაქეთა უფლებების ხარისხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების დაცვის ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

[8] აბსოლუტური უფლება.Source: მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a =term&d=6&t=2689

[9] გიორგი ხუბუა. სამართლის თეორია; თბილისი. 2015. გამომცემლობა „მერიდიანი“;

1. ავთანდილ დემეტრაშვილი, გიორგი გოგიაშვილი. კონსტიტუციური სამართალი; თბილისი 2016; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 623 გვ.;
2. იური ტაბუცაძე; ისტორიული წანამძღვრები და ძირითადი პრინციპები http://www.nplg.gov.ge /gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASHb8f3f441659b3 3a51bfdf4.5&gt=1;
3. საქართველოს კონსტიტუცია; https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication= 35;
4. აბსოლუტური უფლება.Source: მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.] http://www.nplg.gov.ge /gwdict/index.php?a=term&d=6&t=2689
5. გიორგი ხუბუა. სამართლის თეორია; თბილისი 2015; გამომცემლობა „მერიდიანი“, 276 გვ.;

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY Faculty of Law

Konstantine Kukhalashvili

Protecting the human rights and constitutional principles is the guarantee of protecting the constitutional system of the state

Summary

Georgian Constition is the most important document in protection of basic human rights.An absolute fulfillment of its principles establishes a significant state fundament, since, secured people themselves are willing, effectionate and determined to the construction and betterment ot their country. The indicated condition is a vital guarantee of protecting the constitutional system of thr country.

Keywords: Constitutional control, constitutional order, legal state, tolerance.

Тбилисский государственный университет им. Иване Джавахишвили Юридический факультет

Константин Кухалашвили

Защита принципов прав человека и конституции как гарант защиты конституционного строя государства

Резюме

Конституция Грузии является важнейшим документом для защиты основных прав человека государством. Защита ее принципов устанавливает фундаментальную основу государства, так как защищённые люди любят и стремятся восстановить государство. Такая ситуация является важной гарантией конституционного строя государства

Ключевые слова: Конституционный контроль, конституционный строй, правовое государство, толерантность.

სარჩევი:

1. თენგიზ ენდელაძე. ტრანსპორტის ობიექტების უშიშროების კონტრსადავერვო უზრუნველყოფის საკითხისათვის>>>